ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში

ქუთაისი – 2000

იოსებ სტალინის თეორიული ნააზრევის ღრეა და საფუძველიანი მეცნიერული შედეგად წიგნში თანაბარზომიერ თვალთახედვითაა გაანალიზებული მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსისა და მოაზროვნის დამოკიდებულება ეროვნული პრობლემისადმი. ავტორი ცდილობს ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმოაჩინოს სტალინის ეროვნული მოძღვრების როგორც პოზიტიური, ისე პრინციპულად მიუღებელი მხარეები.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენშიც და უცხოეთშიც დიდძალი ლიტერატურაა შექმნილი, მისი ღვაწლის სიღრმისეულად გააზრება და სათანადოდ გაცნობიერება კვლავაც რჩება მომავალი კვლევის საგნად. საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, ღღეს უკვე სრული შესაძლებლობა გვაქვს პარტიულ-კლასობრივი პრინციპებისაგან შეუბოჭველად წარმოვაჩინოთ სტალინის მსოფლმხედველობრივი მრწამსის ნამდვილი და შეულამაზებელი არსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნი ამ კუთხით ბევრ ისეთ პრობლემატურ საკითხს წამოჭრის სრულიად ახლებური თვალთახედვით, რომელთაც დიდი ინტერესით გაეცნობა მკითხველი.

რედაქტორი პროფ. ფახტანგ გურული

© ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBM 99928-79-14-9

შესავალი

იმ პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, რომელთაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს კაცობრიობის არა მარტო თანადროული, არამედ სამომავლო ბედის განსაზღვრისა და წარმართვის საქმეში, იოსებ სტალინი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა, ყველა დროისა და ეპოქის დიდ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი უსაჩინოესი პიროვნება.

სტალინის ამ უდიდეს საკაცობრიო ღვაწლსა და დამსახურებას ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებიდან სჯიან და აფასებენ ხოლმე. ერთნი მას სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და ადამიანური კეთილდღეობის იდეალიზებულ სიმბოლოდ სახავენ და დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით მან ისეთი ქვეყნის შექმნა შეძლო, რომლის მოქალაქენი მატერიალურადაც, იდეურადაც და ზნეობრივადაც იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ადამიანები იყვნენ.

მეორენი პრინციპულად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან და თვლიან, რომ სტალინი მხოლოდ ბოროტი გენია იყო, კაცობრიობისათვის უდიდესი ვნების მომტანი ბნელი ძალა, რომელმაც მილიონობით ადამიანს გაუუბედურა ცხოვრება.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ განსაკუთრებული სიმძაფრით დაწყებული ეს კამათი და პოლარულად განსხვავებულ შეხედულებათა ასეთი მწვავე ურთიერთდაპირისპირება დღემდე გრძელდება და შესაძლოა არც არასოდეს დასრულდეს.

ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა, რომელიც სტალინის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შეფასების დროს ხშირად განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს ხოლმე თავს, მისი ეროვნული მრწამსის გარკვევაა. ახლა ძალიან ბევრს საუბრობენ სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების ეროვნულ ნიჰილიზმზე. მიუხედავად იმ ანტიეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ატარებდა მიზანმიმართულად მის შემადგენლობაში

მყოფი ხალხების მიმართ, ამ ხალხთა საუკეთესო შვილები მაინც ახერხებდნენ აქტიურ ზრუნვას ეროვნული თვითშეგნების განსამტკიცებლად.

მკითხველისათვის ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, რა პოზიციაზე იდგა ამასთან დაკავშირებით სტალინი, როგორი იყო მისი ნამდვილი ეროვნული თვალთახედვა და, როგორც ბოლშევიკ-რევოლუციონერს, როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ეროვნული პრობლემის გადაჭრის გზა.

იმისათვის, რომ ნათლად და არგუმენტირებულად გავარკვიოთ სტალინის ეროვნული თვალთახედვის არსი, მოდით, თანამედროვეობის პოზიციებიდან კიდევ ერთხელ გავეცნოთ ღრმად და საფუძვლიანად მის თეორიულ ნააზრევს და რეალურად ვნახოთ, როგორ სჯიდა და აანალიზებდა იგი თავისი დროის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ წინამდებარე წიგნში ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებული სტალინის მხოლოდ თეორიული ნააზრევი იქნება შეძლებისდაგვარად წარმოდგენილი. რაც შეეხება იმას, სინამდვილეში რამდენად მოხერხდა თეორიულად განსაზღვრულ-ჩამოყალიბებული ამ პრინციპების პრაქტიკული ხორცშესხმა, ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს და ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სტალინისეული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები და საბჭოური ხანის რეალური სინამდვილე ხშირად დიამეტრალურადაც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

როგორც ცნობილია, 1894 წელს, გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სტალინმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც აქტიური კავშირ-ურთიერთობა დაამყარა ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ რევოლუციონერებთან. 1898 წელს ის უკვე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი გახდა და ამ დროიდან მოყო-ლებული თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად მარქსისტულ-რევოლუციური იდეოლოგიისადმი უღალატო სამსახური დაისახა.

1901 წლიდან ჯერ ქართულ, შემდგომ კი რუსულ ბოლშევიკურ პრესაში სისტემატურად იბეჭდება სტალინის წერილები, რომლებშიც ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მისი პარტიულ-რევოლუციური მრწამსი.

სოციალ-დემოკრატიული იდეებით ამდაგვარ დაინტერესებას ყრმა სტალინის ცხოვრებაში წინ უძღოდა ხანმოკლე პერიოდი პოეზიით გატაცებისა. კერძოდ, 1895-1896 წლებში ილია ჭავჭავაძის „ივერიასა" და „კვალში" სოსელოსა და ი. ჯ-შვილის ხელმოწერით მან რამდენიმე პოეტური ნაწარმოები გამოაქვეყნა, რომელთაც იმჟამინდელი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მოწონება დაიმსახურეს.

როგორც მათი გაცნობით ვრწმუნდებით, ახალბედა პოეტის ლექსების სულისკვეთებას უპირველეს ყოვლისა ქართველ „სამოციანელთა" ეროვნულ-პატრიოტული იდეები კვებავდნენ და ასაზრდოებდნენ. ყრმა ავტორის რომანტიკული მიზანსწრაფვის შესაცნობად ამ შემთხვევაში ყოველი ქართველისათვის კარგად ცნობილი თუნდაც ამ სტრიქონების გახსენებაც იქნება საკმარისი:

აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!

როგორც ამ ქრესტომატიული სტრიქონებიდანაც ნათლად ჩანს, ავტორის იმდროინდელი რომანტიკული იდეალი სამშობლოს გახარება იყო, მის ბედნიერ მომავალზე ფიქრი და ოცნება. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ცნობილი ქართველი პოეტის – რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსიც ნათლად ადასტურებს, რომელშიც ახალბედა მგოსანი რომანტიკული აღტკინებით საუბრობს თავისი დიდი თანამედროვის მამულიშვილურ დამსახურებაზე. მისი შეფასებით, პირველ ყოვლისა სწორედ ამ დამსახურებამ მოუპოვა რ. ერისთავს დიდი საქვეყნო სიყვარული და ახალგაზრდა პოეტს ქართველ ერში მისებრი მამულიშვილების მომრავლების კეთილშობილური სურვილი გაუჩინა. მეტი სიცხადისათვის, მოდით, კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ ეს პოეტური ხოტბა:

როს მშრომელ გლეხთა ვაებით
საბრალოდ აცრემლებული
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,
ერისთვის თავ-დადებული;
როს ერის კეთილდღეობით
საამოდ აღტაცებული,
სიმთ აჟღერდები ტკბილ-ხმაზედ,
ვით ზეცით მოვლინებული;
როს დაჰგალობდი სამშობლოს,
ის იყო შენი ტრფიალი,
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
გულის წარმტაცი წკრიალი...
მაშინ, მგოსანო, ქართველი
თურმე ციურს ძეგლს გიგებდა
და წარსულს შრომას, ვაებას
აწმყოთი გიგვირგვინებდა.
შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე, წმინდა მხცოვანო,
რაც სიყრმით დაგითესია;
ნამგლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი:
„ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს
მამულში შენებრი შვილი!!!“

სამწუხაროდ, პოეზიით სტალინის გატაცება მეტად ხანმოკლე გამოდგა და სულ მალე თავისი ცხოვრების უმთავრეს აზრად და დანიშნულებად მან რევოლუციური მოღვაწეობა დაისახა. შესაბამისად რადიკალური ცვლილება განიცადა მისმა იდეოლოგიურმა მრწამსმაც და „ივერთ მხარის ლხენასა“ და „ტურფა ქვეყნის აყვავებაზე“ რომანტიკული ოცნების ადგილი მის ცნობიერებაში სოციალური სამართლიანობის დამყარებისთვის აქტიური ბრძოლის იდეებმა დაიმკვიდრეს. ამ ბრძოლის ეპიცენტრად მთელი რუსეთის იმპერია იქცა და სტალინად გარდაქმნილი მარქსისტი რევოლუციონერი უკვე საბოლოოდ გაემიჯნა ყრმა სოსელოს რომანტიკულ პატრიოტულ იდეალებს.

ნაწილი პირველი

საბჭოთა ხელისუფლებამდელი პერიოდი.

ადრინდელი ნაწერები

სტალინის ნაწერებში თავიდანვე დაიჭირა დიდი ადგილი რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გატარებული იმ ანტიეროვნული პოლიტიკის მკაცრმა კრიტიკამ, რომელიც იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა გარუსებისაკენ იყო მიმართული. მაგალითად, 1901 წელს ქართული გაზეთის - „ბრძოლის" მე-2-3 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები" იგი აღშფოთებით საუბრობდა იმაზე, რომ „თვითმპყრო-ბელობის მძიმე თათი" არა მარტო მუშათა კლასს ახრჩობდა უმოწყალოდ, არამედ „სხვა საზოგადოებრივ კლასებსაც" ავტორის თქმით, „მეფის წყობილების უღელქვეშ" უსასოოდ გმინავდნენ და კვნესოდნენ „შევიწროებული ერები და სარწმუნოებანი... ქართველები, სომხები და სხვა ერები მოკლებულნი იყვნენ უფლებას - ჰქო-ნოდათ თავისი სკოლები, ემუშავათ სახელმწიფო დაწესებულებებში და იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ იმ სამარცხვინო და შემავიწროებელ პოლიტიკას **გარუსებისას** (ხაზგასმა ავტორისაა ა.ნ.), რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებდა თვითმპყრობელობა" (ი. სტალინი, თხზ. ტ.1, 1953 წ. გვ. 22).

ეროვნული უსამართლობის ამდაგვარმა მხილებამ და მისი დაძლევის გზათა ძიებამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა ასევე ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" 1904 წლის 1 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ამ სტატიაში სტალინმა პირველად განსაზღვრა ვრცლად და არგუმენტირებულად ეროვნული პრობლემის მისეული გაგების არსი და უმთავრესი პრინციპები.

მათგან ძირითადი და არსებითი ნაციონალური საკითხის კლასობრივი გაგებაა. ავტორის აზრით, ეროვნული პრობლემა „ყველა კლასს თავისებურად ესმის და სხვადასხვა დროს **სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება,** სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ **რომელი** კლასი და **როდის** წამოაყენებს მას" (ხაზგასმა ავტორისაა. ტ.1. გვ. 32).

ეროვნული პრობლემის ამდაგვარმა კლასობრივმა გაგებამ სტალინს ცალ-ცალკე გამოაყოფინა თავადაზნაურული, ბურჟუაზიული და პროლეტარული ნაციონალიზმები და ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ინტერესების გამომხატველ მიმართულებებად მიიჩნია.

კერძოდ, ნაციონალური საკითხის თავადაზნაურულ გააზრებას ი. სტალინი უწინარეს ყოვლისა საქართველოს რუსეთთან შეერთებას უკავშირებს და ამ პერიოდის ფეოდალური არისტოკრატიის ეროვნულ გააქტიურებას უწინარესად „ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვით" ხსნის. ავტორის აზრით, ქართველმა არისტოკრატიამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გააააქტიურა „საქართველოს განთავისუფლებისათვის" ბრძოლა, რომ „ამით მას უნდოდა „საქართველოს" სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი" (იქვე, გვ. 32).

ქართველ თავადაზნაურთა ნაციონალურ შეგნებაში, სტალინის შეფასებით, მკვეთრი გარდატეხა ხდება მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან. ამ პერიოდიდან განვითარებულმა ისეთმა მოვლენებმა, როგორებიც იყო „საქონლის წარმოების განვითარება, ბატონყმობის გადავარდნა, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერება ქალაქსა და სოფელში" და მისთანებმა, „ძირიანად დაანგრია ისედაც სუსტი ეს „მოძრაობა" და ქართველი თავადაზნაურობის „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს" „სასიკვდილო ლახტი დაკრა"

სტალინის აზრით, ყოველივე ამას შედეგად მოყვა ქართველი თავადაზნაურობის ორ ჯგუფად გაყოფა. „ერთმა მათგანმა უარყო

ყოველივე „ნაციონალიზმი“ და ხელი გაუწოდა რუსეთის თვით-“მპყრობელობას, რომ სამაგიეროდ მიეღო მათგან თბილი ადგილები, იაფფასიანი კრედიტი“ და სხვა პრივილეგიები, „ხოლო მეორემ - უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველი თავადაზნაურობისამ - დაიმე-გობრა ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და, ამგვარად, კლერიკალიზმის კალთას შეაფარა ცხოვრებისაგან დევნილი „ნაცი-ონალიზმი“ (იქვე. გვ. 33).

როგორც დამოწმებული ადგილებითაც ადვილად მიხვდება მკითხველი, ი. სტალინი ცალმხრივად და ტენდენციურად აფასებს ქართველი თავადაზნაურობის ეროვნულ მრწამსს და პრინციპულად მცდარი პოზიციებიდან წარმოაჩენს მის მიზანდასახულებას. თუ გა-ვითვალისწინებთ იმას, რომ მე-19 საუკუნის ქართული ინტელიგენ-ციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც თითო-ოროლა გა-მონაკლისის გარდა სწორედ ფეოდალურ არისტოკრატიას მიეკუთვნებოდნენ და მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრების მან-ძილზე ყოველგვარი ანგარებითი მოთხოვნების გარეშე თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფ-ლებისათვის, ადვილად დავინახავთ სტალინისეულ შეფასებათა აშ-კარა უსაფუძვლობას.

„ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“, ი. სტალინის გა-გებით, მე-19 საუკუნის ბოლოს ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა შეც-ვალა. ავტორის თქმით, „როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგ-რძნო, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია „უცხოელ“ კაპიტალისტებთან, ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პირით ატი-ტინდა **დამოუკიდებელ საქართველოზე**. ქართველ ბურჟუაზიას უნ-დოდა საბაჟო წრე შემოევლო ქართული ბაზრისათვის, ძალით გაე-დევნა ამ ბაზრიდან „უცხოელი“ ბურჟუაზია, ხელოვნურად აეწია საქონლის ფასები და ასეთი „პატრიოტული“ ხრიკებით ლელო გაე-ტანა გამდიდრების მოედანზე“ (ხაზგასმა ავტორისაა. გვ. 33-34).

მიუხედავად იმისა, რომ, თავადაზნაურობისაგან განსხვავებით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორი-აში ქართულ ბურჟუაზიას მეტად სუსტი წვლილი აქვს შეტანილი,

ჩემის აზრით, არც ე.წ. „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ ამდაგვარი შეფასება შეესაბამება სინამდვილეს.

მართალია, სტალინის მიერ კლასობრივი პრინციპის საფუძველზე დიფერენცირებული ნაციონალისტური მიმდინარეობანი გ ,რკვეულწილად მართლაცაა აღბეჭდილი შესაბამისი კლასის ინტერესებით, მაგრამ აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისწრაფებების დაყვანა მხოლოდღა კლასობრივ მიზანსწრაფვამდე ყოვლად გაუმართლებელი ფაქტია.

სტალინისა და შესაბამისად სოციალ-დემოკრატების მიერ დაშვებული უმთავრესი შეცდომა ეროვნული პრობლემის გააზრების დროს, რასაც მომავალში, სამწუხაროდ, მრავალი საბედისწერო შედეგი მოჰყვა, უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მცდარი გააზრებიდან იღებს სათავეს.

ფეოდალურ-მონარქიული და ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, ეროვნული პრობლემის გაგებამ პრინციპულად ახალი შინაარსი, სტალინის აზრით, სამოღვაწეო ასპარეზზე პროლეტარიატის გამოსვლით შეიძინა. მიუხედავად ბურჟუაზიული ნაციონალისტების დიდი მცდელობისა, „ბურჟუაზიის გამოფიტული „პატრიოტიზმისათვის“ სულის ჩასადგმელად“ როგორმე მიემხროთ და თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ ქართველი პროლეტარები, „ბურჟუაზიული პუბლიცისტების ტკბილმა ზღაპრებმა ვერ დააძინა ქართველი პროლეტარიატი! ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა და, უფრო კი მედგარმა კლასობრივმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები, თავზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი“ (იქვე. გვ.34).

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ი. სტალინმა პირველად გამოკვეთა მთელი სიცხადით ნაციონალური საკითხის სოციალ-დემოკრატიული გაგების უმთავრესი არსი და ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის გასამარჯვებლად და სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად ძირითადი და არსებითია არა ეროვნული, არამედ კლასობრივი მიზანსწრაფვა. მისი თანაპარტიელების

მსგავსად, პრობლემის სწორედ ამდაგვარმა გაგებამ მიიყვანა იგი იმის აღიარებამდე, რომ „პროლეტარიატის გამარჯვებისათვის საჭიროა ყველა მუშის შეერთება, განურჩევლად ეროვნებისა"

ასე რომ, რევოლუციის გამარჯვების უმთავრეს პირობად სტალინმა უწინარეს ყოვლისა ნაციონალური კედლების დანგრევა და რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარების მჟიდრო შეკავშირება მიიჩნია. ეროვნული და კლასობრივი ინტერესების ამდაგვარი მკვეთრი გამიჯვნითა და ურთიერთდაპირისპირებით სტალინი და მისი თანაპარტიელები მკვეთრად და რადიკალურად შეეწინააღმდეგენ ეროვნული ერთობის მქადაგებელ ჩვენს დიდ მამულიშვილებს (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ჯორჯაძე...), რომელთაც ქართველი ხალხის წინაშე მწვავედ მდგარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტის უმთავრეს პირობად ეროვნულ ძალთა გაერთიანება მიაჩნდათ.

მათგან განსხვავებით, სტალინი ეროვნული ერთობის ამდაგვარ პერსპექტივას ასეთ განზოგადებულ შეფასებას აძლევს: „თუ ამ გზაზე სიარულს გავაგრძელებთ, ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ „ნაციონალური" და კიდევ სხვა „განსხვავებანი", მაგალითად, სომეხი პროლეტარისა ისეთივეა, როგორიც სომეხი ბურჟუაზიის, რომ სომეხ პროლეტარსა და სომეხ ბურჟუას ერთნაირი ხასიათი და ზნე-ჩვეულებები აქვთ, რომ ესენი ერთ ხალხს, ერთ განუყოფელ „ნაციას" შეადგენენ. აქედან დიდი მანძილი აღარ არის საერთო მოქმედების ნიადაგამდე, რომელზედაც უნდა შედგნენ ბურჟუები და პროლეტარები და მეგობრულად ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, როგორც წინაპრებმა ერთი და იმავე „ნაციისა" (იქვე, გვ. 38).

როგორც ვხედავთ, ეროვნული ერთობისა და „საერთო მოქმედების" იმ თეორიას, რომელიც ჩვენი ერის სახელოვანი შვილების ღრმა და დაუეჭვებელი რწმენით ქვეყნის გადარჩენისა და გამარჯვების უპირველეს და უმტკიცეს საფუძველს წარმოადგენდა, სტალინმა და მისმა თანაპარტიელებმა „კლასთა ანტაგონიზმი" დაუპირისპირეს და თავიანთი რევოლუციური მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მი-

ზანსწრაფვად „ნაციონალური კედლების დანგრევა და არა მათი გამაგრება“ დაისახეს (იქვე. გვ. 41).

ი. სტალინის კატეგორიული განმარტებით, სოციალ-დემოკრატების უმთავრესი მიზანია არა ეროვნული ინტერესების საფუძველზე განსხვავებული კლასებისა და სოციალური ძალების გაერთიანება, არამედ „ერთა შორის ამართული ნაციონალური კედლების დანგრევა, რომ უფრო კარგად დავაახლოვოთ ერთმანეთთან რუსეთის პროლეტარები, რომ უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ ისინი“

„ნაციონალური საკითხის“ ამდაგვარი სოციალ-დემოკრატიული გაგება ი. სტალინმა პრინციპულად დაუპირისპირა „ფედერალისტი სოციალ-დემოკრატების“ პარტიულ თვალთახედვას. ფედერალისტების უმთავრესი მოთხოვნა - სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არა „რუსეთის ერთ პარტიად შეერთება ერთი ცენტრით სათავეში, არამედ დანაწილება რამდენიმე პარტიად რამდენიმე ხელმძღვანელი ცენტრით“ - მას კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია, ვინაიდან ეროვნული ნიშნით პროლეტარიატის დაყოფა და ამდაგვარი დანაწილება ნაციონალურ პარტიებად მის რევოლუციურ სიძლიერეს საფუძველს გამოაცლიდა. და ეს მაშინ, როცა რუსეთის პროლეტარები „ერთნაირ პოლიტიკურ პირობებში ერთი და იმავე მტრის“ წინააღმდეგ იბრძოდნენ.

მაგრამ, ი. სტალინის განმარტებით, მისი და მისი თანაპარტიელების უმთავრესი მოთხოვნა - რუსეთის (და არა რუსულ) სოციალ-დემოკრატიულ პარტიას „თავისი დროშის ქვეშ თავი მოეყარა არა მარტო რუსი პროლეტარებისათვის, არამედ რუსეთის ყველა ერის პროლეტარებისათვის“, რითაც „ყოველ ღონეს იხმარდა, ძირს დაეცა მათ შორის ამართული ნაციონალური კედლები“, არამც და არამც არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი სათანადოდ არ დაიცავდნენ რუსეთში მცხოვრებ არარუს ხალხთა ნაციონალურ ინტერესებს.

ამის დასტურად სტალინი კონკრეტულად განიხილავს ფედერალისტ-სოციალდემოკრატების მიერ მათი პარტიის პრიორიტეტულ მოთხოვნებად ფორმულირებულ ეროვნულ პრინციპებს და არგუმენტირებულად ცდილობს იმის დასაბუთებას, რომ ფედერალის-

ტთა ყოველი მოთხოვნა ფაქტობრივად სოციალ-დემოკრატიული პარ-ტიის საპროგრამო მოთხოვნებსაც წარმოადგენს და ამ თვალსაზრი-სით მათ შორის არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს. ეს მოთხოვნებია: რუსეთში მცხოვრებ ერთა მოქალაქეობრივი თა-ნასწორობა, რუსეთის ერთა თვითმმართველობა, ნაციონალურ კულ-ტურათა დაცვა, ენათა თავისუფლება და ა.შ. ი. სტალინის თქმით, მათი ბრძოლის მიზანია, „რუსეთის ერების პროლეტარებს სრული უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ იმ ენით, რომელზედაც უფრო თა-ვისუფლად შეეძლებათ სწავლა-განათლების შეძენა... ამნაირ ენად ცნობილია სამშობლო ენა" (იქვე, გვ. 43).

ი. სტალინის განმარტებით, ენათა თანასწორობის ეს მოთხოვნა ხაზგასმითაა დაფიქსირებული სოციალ-დემოკრატების პარტიულ პროგრამაში. კერძოდ, მისი პარტია მოითხოვს: „სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღების უფლებას ყველა მცხოვრებთათვის, ამისთვის საჯარო სკოლების დაარსებას სახელმწიფოს და თვითმმარ-თველობის ორგანოების ხარჯით; თვითეული მოქალაქის უფლებას ილაპარაკოს სამშობლო ენაზე კრებებზე; სამშობლო ენის შემოღებას სახელმწიფო ენის თანასწორად ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში"

იმისათვის, რომ რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს უფრო მეტად და შეუზღუდველად გამოავლინებინათ თა-ვიანთი ეროვნული ინტერესები, სტალინის აზრით, მათ თავისუფ-ლად უნდა ესარგებლათ „ფართო ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის" უფლებით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიუ-ლი პარტიის პროგრამაში ამ ერებისათვის სრული ეროვნულ-სახელ-მწიფოებრივი თავისუფლების მიცემის თაობაზე გარკვევით არაფე-რი იყო ნათქვამი, ამ და სხვა პარტიულ დოკუმენტებში არაერთგზის იყო ხაზგასმით დაფიქსირებული მათთვის თვითმმართველობის უფ-ლების მინიჭების შესაძლებლობა. მართალია, ი. სტალინის და-სახელებულ ნაშრომში ერთგან საქართველოს „ნაციონალური და-მოუკიდებლობის" მოთხოვნის მიზანშეწონილობის შესახებაცაა გაკვ-რით საუბარი, მაგრამ, ავტორის თქმით, „საქართველოისტების" (იგუ-

ლისხმებიან ქართველი ფედერალისტების მიერ 1903-1905 წლებში პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოცემული გაზეთის - „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილი ქართველი „ნაციონალისტები“) მიერ კატეგორიული დაჟინებით დასმულ შეკითხვაზე: „სასარგებლოა თუ საზარალო პროლეტარიატისათვის ნაციონალური დამოუკიდებლობა“, „გადაჭრილი პასუხი“ არ შეიძლება არსებობდეს. ამ კითხვაზე „ასე ახირებულად „გადაჭრილი“ პასუხის მოთხოვნას სტალინი სისულელეს უწოდებს და ამბობს, რომ ამდაგვარი საკითხი თავად ერებმა უნდა გადაჭრან და გაარკვიონ, „სასარგებლოა მათთვის თუ საზარალო „ნაციონალური დამოუკიდებლობა“

თავად სტალინის პოზიცია კი ამ საკითხთან დაკავშირებით ქვემოთ ამდაგვარადაა ჩამოყალიბებული: „ჩვენ ვალდებული ვართ შევეცადოთ, რომ ერთა სურვილები ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული იყოს, რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდეს. ამისათვის კი საჭიროა სოციალ-დემოკრატიულად გავანათლოთ ამ ერთა პროლეტარები, სოციალ-დემოკრატიული კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ზოგიერთი რეაქციული „ნაციონალური“ ზნე-ჩვეულება და დაწესებულება“ (იქვე, გვ. 51).

როგორც ციტირებული ფრაგმენტითაც ნათლად დაინახავს მკითხველი, სტალინი ფაქტობრივად წინააღმდეგიც კი გამოდის საქართველოს „ნაციონალური დამოუკიდებლობის“ მოთხოვნისა და მასზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად „პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული სურვილების“ აღსრულებისთვის ბრძოლას მიიჩნევს.

იგივე უნდა ითქვას არარუს ერთა „ნაციონალური კულტურის“ დაცვის სიტყვიერ გარანტიებზეც. გამოთქვამდა რა უდიდეს აღშფოთებას იმის გამო, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა „ავიწროებდა და სულს უხუთავდა რუსეთის „უცხო“ ერებს“, სტალინი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ ის და მისი თანაპარტიელები „ყველგან და ყოველთვის შეებრძოლებოდნენ მეფის მთავრობის გა-

მათახსირებელ პოლიტიკას“ და აქტიურად დაიცავდნენ „უცხო ერთა „ნაციონალურ კულტურას“ (იქვე, გვ. 45).

თუმცა იქვე, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ავტორი იმასაც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ სინამდვილეში „სქელშუბლიანი „საქართველოისტების“ მიერ გაფეტიშებული არც „არავითარი ნაციონალური სული“ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“ (იქვე, გვ. 52).

„ნაციონალიზმის გზით. წერილი კავკასიიდან“

1904 წლიდან მოყოლებული 1913 წლამდე ი. სტალინს ეროვნულ პრობლემაზე თავის ნაწერებში განსაკუთრებული ყურადღება აღარ გაუმახვილებია. ამ წელს კი მან ერთმანეთის მიყოლებით ამასთან დაკავშირებით ორი სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა - „ნაციონალიზმის გზით“ (გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1913 წ. №30) და „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (ჟურნ. „პროსვეშჩენიე“, 1913 წ. №3-5). მათში კიდევ უფრო გაღრმავდა და გამოიკვეთა ავტორისეული თვალსაზრისი ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

ეროვნული საკითხით სტალინის ამდაგვარი დაინტერესება იმხანად პირველ ყოვლისა ათიანი წლების დასაწყისში არსებული ვითარებით იყო განპირობებული. კერძოდ, რსდმ პარტიის პრაღის 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე და ცენტრალური კომიტეტის კრაკოვისა (1912 წლის დეკემბერი) და პორონინის (1913 წლის სექტემბერი) პარტიულ მუშაკთა თათბირებზე დიდი ადგილი დაეთმო პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გარკვევას. ასე რომ, 1913 წელს სტალინის განსაკუთრებული დაინტერესება ეროვნული პრობლემატიკით უწინარეს ყოვლისა იმხანად განვითარებულმა მოვლენებმა განსაზღვრეს და განაპირობეს არსებითად.

პირველ სტატიას („ნაციონალიზმის გზით“) ქვესათაურად „წერილი კავკასიიდანაც“ ჰქვია და მასში ეროვნულ საკითხზე მსჯელობა ძირითადად კავკასიაში, უპირატესწილად კი საქართველოში, ამ

თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ავტორისეულ ანალიზს წარმოადგენს. კერძოდ, ეკამათება რა ლიკვიდატორებს, სტალინი პოლემიკური ფორმით გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ეროვნული პრობლემის ცალკეული ასპექტების შესახებ.

ხსენებულ სტატიაში კიდევ ერთხელ იქცა საგანგებო მსჯელობის საგნად ეროვნული თვითმმართველობის მიღება-არმიღების მიზანშეწონილობის საკითხი, ვინაიდან, ავტორის შეფასებით, პარტიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ გამოიყენებდა ერი ამ უფლებას და „როგორ გადაწყვეტდა თავის ბედს - ცენტრალიზმის თუ სეპარატიზმის სასარგებლოდ" (ტ.2, 1947 წ. გვ. 307). ი. სტალინი პარტიის მოვალეობად თვლიდა, აქტიურად ჩარეულიყო ამ პრობლემის გადაწყვეტაში და „გავლენა მოეხდინა ეროვნებინებაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერებოდა პროლეტარიატის ინტერესებს" (იქვე).

თუ გავითვალისწინებთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა გადაწყვეტის იმ პრინციპებს, რომელნიც მარქსისტული პარტიის საპროგრამო დებულებებს წარმოადგენდა, აშკარად დავინახავთ, რომ პროლეტარიატის ინტერესების დაცვის ამდაგვარი მოთხოვნით სტალინი ფაქტობრივად რუსეთში მცხოვრებ ხალხთა, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალურ მოწინააღმდეგედ გამოდის.

ეროვნული „სეპარატიზმისაკენ" მისწრაფებას ამ შემთხვევაში იგი მკვეთრად უპირისპირებს თავისი პარტიის ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას და სიამაყით აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის „კავკასიის ორგანიზაციები თავისი წარმოშობიდანვე (90-იანი წლების დამდეგი) უაღრესად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდნენ... ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი მუშებისა, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ებრძოდნენ მტრებს - ასეთი იყო პარტიული ცხოვრების სურათი" (იქვე, გვ. 308).

ამ დროიდან მოყოლებული, სტალინის თქმით, „კავკასიის სოციალ-დემოკრატია იზრდებოდა ნაციონალიზმთან ბრძოლაში. ქარ-

თველი სოციალ-დემოკრატები ებრძოდნენ „თავიანთ“ ნაციონალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს“ მოვლენათა არსში გარკვეულ მკითხველს კარგად მოეხსენება ის საბედისწერო შედეგები, რომლებიც მე-19 საუკუნის 90-იან წლებსა და 900-910-იან წლებში „ნაციონალისტების“ წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების მიერ გაჩაღებულ ამ გააფთრებულ ბრძოლას მოჰყვა. მათგან თუნდაც მარტო წიწამურის ტრაგედიისა და მისი შემღგომი მოვლენების გახსენებაც რად ღირს.

სტალინი თავისი პარტიული მოღვაწეობის პირველ ეტაპზე არაოთუ საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აშკარა მოწინააღმდეგე იყო, არამედ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისაც კი. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე ხსენებული სტატიის ეს ფრაგმენტიც ნათლად მეტყველებს: „1906 წელს, კავკასიის საოლქო კონფერენციაზე პირველად წამოიჭრა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი. იგი წამოაყენა ღა მის გადაწყვეტას მოითხოვდა ქუთაისელთა პატარა ჯგუფი. საკითხი, როგორც მაშინ ამბობდნენ, „სამარცხვინოდ ჩაფლავდა“, სხვათა შორის, იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ერთნაირად მკაცრად გაილაშქრა ორივე ფრაქციამ (იგულისხმებიან ბოლშევიკები და მენშევიკები - ა. ნ.) კოსტროვისა (ნ. ჟორდანიას ფსევდონიმია - ა.ნ.) და ამ სტრიქონების დამწერის სახით. გადაწყდა, რომ ეგრეთ წოდებული „კავკასიის საოლქო თვითმმართველობა“ ნაციონალური საკითხის საუკეთესო გადაწყვეტაა და ყველაზე უფრო შეეფერება ბრძოლაში გაერთიანებული კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს. დიახ, ასე იყო 1906 წელს და ეს გადაწყვეტილება მეორდებოდა შემდგომ კონფერენციებზე. მას იცავდნენ და მის პოპულარიზაციას ეწეოდნენ კავკასიის როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ პრესაში, ლეგალურსა და არალეგალურში“ (იქვე, გვ. 309).

გარკვეული დროის შემდეგ, 1912 წელს, ავტორმა რამდენადმე შეიცვალა პოზიცია, ერთგვარად „დაიხია“ უკან და მხარი იმათ დაუჭირა ვინც თვლიდა, რომ „ჩვენ“ გვესაჭიროება კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, რა თქმა უნდა (რა თქმა უნდა!), პროლეტარი-

ატისათვის!" (იქვე. გვ. 310). თუმცა, როგორც წერილიდან ჩანს, ავტორი დიდი [illegible]ფრთოვანებით არ ეთანხმება ამ კომპრომისულ წინადადებას, მაგრამ იძულებულია მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს და წერს: „მაშ რაშია საქმე? რა შეიცვალა? იქნებ კავკასიის პროლეტარიატი ნაკლებ სოციალისტური გახდა? მაგრამ მაშინ ხომ ყველაზე მეტი უგუნურებაა ნაციონალური ორგანიზაციული და „კულტურული" ზ[illegible]ლდეების აღმართვა მუშებს შორის! იქნებ იგი უფრო სოციალისტური გახდა? მაგრამ ამ შემთხვევაში რა უნდა ეწოდოს იმ, უკაცრავად პასუხია, „სოციალისტებს", ვინც ხელოვნურად ქმნის და ამაგრებს იმ ზღუდეებს, რომლებიც ინგრევა და არავისთვის საჭირო არ არის?... მაშ რაშია საქმე? სწორედ იმაში, რომ გლეხურმა ქუთაისმა თან გაიყოლა თბილისის „სოციალ-დემოკრატი ოქტიაბრისტები" კავკასიის ლიკვიდატორების საქმეებს ამიერიდან გადაწყვეტს მებრძოლი ნაციონალიზმით დაშინებული ქუთაისელი გლეხი" (იქვე, გვ. 310).

სავსებით ბუნებრივია, მუშებს შორის აღმართული „ნაციონალური და „კულტურული" ზღუდეების" წინააღმდეგ მძვინვარედ მებრძოლი ავტორი, რომელიც ნაციონალიზმს „ყველაზე მეტ უგუნურებად" ნათლავს, პრინციპულად ვერ გაიზიარებდა იმ ქართველ (და არა მარტო ქართველ) მამულიშვილთა ეროვნულ იდეალებს, რომელთა უმთავრესი მიზანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა იყო. ამდაგვარ მისწრაფებას ი. სტალინი „სეპარაციას" უწოდებს და პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოდის რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის დამცველის როლში.

„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"

ეროვნული პრობლემის ავტორისეულმა განსჯა-გაანალიზებამ კიდევ უფრო ვრცელი მასშტაბები შეიძინა ფართოდ გახმაურებულ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" ნაშრომისადმი

ინტერესს არსებითად განაპირობებს ის გარემოება, რომ მასში მკაფიოდაა განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ერის რაობის არსი. და ამ შემთხვევაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ი. სტალინის მიერ გამოთქმული ბევრი დებულება დღემდე რჩება სპეციალისტთა ცხოველი ინტერესის საგნად, როგორც მახვილგონივრულად მიგნებული განმარტებები ერისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშან-თვისებებისა.

მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც და მის შემდგომ ხანაშიც ერის რაობის განსამარტად მრავალი საგულისხმო თეორია შეიქმნა ჩვენშიც და უცხოეთშიც, ბევრი სპეციალისტის აზრით, ერის სტალინისეული დეფინიცია მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მისაღები და მართებულია. სტალინის განმარტებით, „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (ტ. 2, გვ. 319). ერისთვის დამახასიათებელი ყველა ეს ნიშანი ნაშრომში ღრმა და საფუძვლიანი მსჯელობის შედეგადაა გამოკვეთილი და სათანადოდ განმარტებული.

ნაშრომისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ ავტორი ერის რაობის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებათა თეორიულ დახასიათებას სისხლხორცეულად უკავშირებს ისტორიიდან და თანადროულობიდან მოხმობილ კონკრეტულ მაგალითებს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ითქვა, სტალინის ხსენებული ნაშრომი თეორიული აზროვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია, ავტორისეულ მსჯელობას თავიდან ბოლომდე გამჭოლ ხაზად მაინც გასდევს ნათლად და მკაფიოდ გამოვლენილი პარტიულ-იდეოლოგიური თვალთახედვა.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ერის სტალინისეულ განმარტებაში თავიდანვე იქცა დიდი დავისა და კამათის საგნად, ერების ჩამოყალიბების დროის განსაზღვრაა. ავტორის აზრით, ერისთვის აუცილებლად დამახასიათებელი არსებითი ნიშანი ეკონომიკური ცხოვრების ერთობაა. ხალხთა ამდაგვარი ერთობის დამკვიდ-

რება კი, მისი მტკიცებით, მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარებამ გახადა შესაძლებელი.

ავტორი ცდილობს თეორიული მსჯელობის საფუძველზე ჩამოყალიბებული ეს თვალსაზრისი კონკრეტული არგუმენტ ების მოშველიებითაც დაასაბუთოს და ამ მიზნით სანიმუშოდ ქართველი ერის მაგალითიც მოჰყავს. მისი მტკიცებით, იმისდა მიუხედავად, რომ რეფორმამდელ ხანაში (იგულისხმება ბატონყმობის გაუქმება საქართველოში) „ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად" (იქვე, გვ. 317).

ასე რომ, „საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი" (იქვე, გვ. 318).

მიუხედავად იმისა, რომ ი. სტალინის მიერ დასახელებულმა სოციალ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა მართლაც არსებითი ზეგავლენა მოახდინეს ქართველი ერის ფორმირებისა და განვითარების რთულ პროცესზე, ალბათ არანაირი გამართლება არა აქვს იმის მტკიცებას, თითქოს ქართველი ხალხი, როგორც ერი, კაპიტალიზმამდელ ხანაში არ არსებობდა და მისი ფორმირება მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. ჩემის ღრმა რწმენით, საკითხის ამდაგვარი დასმა პრინციპულად მცდარია და არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება ისტორიულ-ფაქტოლოგიურ სინამდვილეს.

როგორც უკვე ითქვა, სტალინის დასახელებულ ნაშრომს აშკარად აზის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დაღი, რაც არსებითად განსაზღვრავს იმ გარემოებას, რომ ეროვნული პრობლემატიკის ბევრი ასპექტი ავტორს პარტიული ტენდენციურობით აქვს გააზრებული.

ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა ეროვნულობისა და კლასობრიობის ავტორისეული მკვეთრი ურთიერთგამიჯვნა და დაპირისპირებულობა უნდა აღინიშნოს. სტალინი არც ამჯერად ღალატობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმთავრეს პრინციპს და ამ ორი მხარის ურთიერთმიმართების დროს უპირატესობას უწინარესად კლასობრივ ერთობას ანიჭებს. ეროვნულ ერთობაზე გაცილებით უფრო მყარად და მისაღებად მას სწორედ კლასობრივი ერთობა მიაჩნია და თვლის, რომ ეროვნულ განსხვავებულობათა მიუხედავად ერთი და იმავე კლასის შვილებს (კერძოდ, პროლეტარებს) ბევრად მეტი რამ აქვთ საერთო, ვიდრე ერთი და იმავე ერის სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს.

კლასობრივი ერთობის ამდაგვარმა დაუეჭვებელმა რწმენამ არსებითად განსაზღვრა აშკარად გამოვლენილი ის აგრესია, რომელსაც სტალინი და მისი თანაპარტიელები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი იჩენდნენ. კერძოდ, იგი შეშფოთებით საუბრობს 1905 წლის რევოლუციის შემდგომ წლებში „ნაციონალიზმის გაძლიერებაზე სომხებში, ქართველებში, უკრაინელებში“ ი. სტალინი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ნაციონალიზმის ტალღა უფრო და უფრო მძლავრად მოგორავდა და მუშათა მასების ჩათრევასაც ლამობდა და რაც უფრო კლებულობდა განმათავისუფლებელი მოძრაობა, მით უფრო დიდებულად იფურჩქნებოდა ნაციონალიზმის ყვავილი“ (იქვე, გვ. 313).

როგორც სტალინი ამბობდა, „ამ მძიმე მომენტში“ სოციალ-დემოკრატიას განსაკუთრებით „მაღალი მისია ეკისრებოდა“, რაც, ავტორის აზრით, იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ „წინააღმდეგობა გაეწია ნაციონალიზმისათვის და მასები დაეცვა ამ საერთო სნეულებისაგან“ სოციალ-დემოკრატიას ამის გაკეთება პირველ ყოვლისა იმით შეეძლო, რომ „ნაციონალიზმს იგი დაუპირისპირებდა ინტერნაციონალიზმის ნაცად იარაღს - კლასობრივი ბრძოლის ერთიანობასა და განუყოფელობას“ (გვ. 313).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ დიად მისიაზე საუბრის დროს სტალინი ყურადღებას უწინარესად „განაპირა მხარე-

თა სოციალ-დემოკრატებზე" ამახვილებდა, რომელთაც „განსაკუთ-რებული სიმტკიცე თუნდაც იმიტომაც მოეპოვებოდათ", რომ ისინი მათ რეგიონებში არარუსი მოსახლეობის გამო ხშირად „უშუალოდ ეჯახებოდნენ ხოლმე ნაციონალისტურ მოძრაობას"

სტალინი ერთ-ერთ ასეთ რეგიონად კავკასიასაც მიიჩნევდა და აშკარა პარტიულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „კავ-კასიელი სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი, რომელიც წინათ, დანარჩენ კავკასიელ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, „კულტუ-რულ-ნაციონალურ ავტონომიას" უარყოფდა, ახლა სწორედ ასეთ ავტონომიას აყენებდა მორიგ მოთხოვნად" (იქვე, გვ. 314).

ვფიქრობ, თანამედროვე მკითხველი ყოველგვარი ზედმეტი კო-მენტარების გარეშეც ნათლად დაინახავს იმ ფაქტს, ეროვნული და კლასობრივი ინტერესების შეჯახება-შეპირისპირების დროს სტალინი კლასობრივი ერთობის თავგამოდებულ დამცველად რომ გვევლი-ნება და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აშკარად მიუ-ღებელ მოვლენად მიიჩნევს.

როგორც ციტირებული მაგალითებითაც ნათლად და არაორაზ-როვნად ჩანს, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის სათა-ვეში ფანატიკური ერთგულებით დგომა მას ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ავალდებულებდა თავისი და თავისი თანაპარტიელების ცხოვ-რების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად „ნაციონალისტური ბურუსის წინააღმდეგ ერთსულოვან და დაუღალავ მუშაობას"

***

მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს აქვე ისიც უსათუოდ ითქვას, რომ ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ერთი მხარეა სტალინის ეროვ-ნული თვალთახედვისა და ამ პრობლემის გააზრების დროს იგი, რა-გინდ უცნაურიც არ უნდა გვეჩვენოს, ბოლომდე თანმიმდევარი არ არის. ეს არათანმიმდევრობა და პოზიციათა ერთგვარი გაორება თავ-დაპირველად ყველაზე მეტად მის ცნობილ ნაშრომში - „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" გამოვლინდა.

სახელდობრ, ნაშრომის შესავალსა და პირველ თავში აშკარად გამოხატულ ავტორის ანტინაციონალისტურ პოზიციას მეორე თავში ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის აღიარება უპირისპირდება. აქვე ერთი ტენდენციაც იკვეთება საკმაოდ ხელშესახებად: ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევისა და ამა თუ იმ ფორმის დამოუკიდებლობაზე (ავტონომია, ფედერაცია, სრული დამოუკიდებლობა...) ზოგადთეორიული მსჯელობის დროს სტალინი აქაც და შემდგომი პერიოდის სხვა ნაშრომებშიც დაბეჯითებით იცავს ხოლმე იმ აზრს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისას ერს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შეუზღუდველი უფლება უნდა ჰქონდეს.

მაგრამ როცა საქმე კონკრეტულ ვითარებას შეეხება, კერძოდ, რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა სახელმწიფოებრიობის ბედის განსაზღვრა-გადაწყვეტას, მისი თვალსაზრისი ხშირად აშკარად წინააღმდეგობრივიცაა და არათანმიმდევრულიც.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, როგორაა წარმოდგენილი ამ პრობლემის ავტორისეული გააზრების ერთი მხარე ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" ახლა მოკლედ მის საპირისპირო პოზიციასაც შევეხოთ; კერძოდ, როგორია ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემის ავტორისეული შეფასება ერთის მხრივ ზოგადთეორიული თვალსაზრისით, მეორეს მხრივ კი ევროპასა და რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა ყოფისა და რეალობის გათვალისწინებით.

განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, სადაც, სტალინის აზრით, „ერების წარმოშობა ამავე დროს მათ დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად გადაქცევას ნიშნავდა", აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ კი რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთში „რამდენიმე ეროვნებისაგან შემდგარი საეროვნებათაშორისო სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ" (ტ.2, გვ. 326). აღმოსავლეთ ევროპაში „სახელმწიფოების შექმნის ამ თავისებურ წესს" სტალინი იმით ხსნის, რომ ეს პროცესი აქ „ჯერ კიდევ არალიკვიდირებული კაპიტალიზმისა და სუსტად განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში" წარიმართა, როდესაც „უკანა რიგში მოქცეულ ეროვნებებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ კონსოლიდაცია ეკონომიურად მთლიან ერებად"

შედარებით გვიან აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში კაპიტალიზმის განვითარებამ აქაც შეუწყო ხელი „ერების ეკონომიურ კონსოლიდაციას", „მოძრაობაში მათ მოყვანასა" და „ნაციონალური გრძნობების გაძლიერებას" მაგრამ, სტალინის აზრით, „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამოღვიძებული გარიყული ერები უკვე ველარ ყალიბდებიან დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად· თავიანთ გზაზე მათ ხვდება უძლიერესი წინააღმდეგობა იმ მბრძანებელ ერთა ხელმძღვანელი ფენებისა, რომელნიც უკვე დიდი ხანია სახელმწიფოს სათავეში ჩამდგარან. დაიგვიანეს!...(იქვე, გვ. 327-328).

სწორედ ასეთ „დაგვიანებულ" ერებად მიიჩნევს სტალინი ქართველებს, უკრაინელებს, ლატვიელებს, ლიტვიელებს, სომხებსა· და სხვ.

ნაციონალური სახელმწიფოებრიობის არმქონე ერებში აქტიურად იწყება ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების პროცესი, რაც ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევისკენაა მიმართული. მაგრამ, სტალინის აზრით, ამდაგვარი ნაციონალისტური მოძრაობის მთავარი მოქმედი პირი კაპიტალიზმის პირობებში ბურჟუაზიაა. ასე რომ, ეს ბრძოლა „არსებითად დაიწყო და გაჩაღდა არა ერებს შორის მთლიანად, არამედ მბრძანებელი და გარიყული ერების გაბატონებულ კლასებს შორის. ბრძოლას ჩვეულებრივ აწარმოებს ან ჩაგრული ერის საქალაქო წვრილი ბურჟუაზია მბრძანებელი ერის მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ან ჩაგრული ერის სოფლის ბურჟუაზია გაბატონებული ერის მემამულეების წინააღმდეგ, ანდა ჩაგრულ ერთა მთელი „ნაციონალური" ბურჟუაზია მბრძანებელი ერის მმართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ (პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა რუსეთში)" (იქვე, გვ. 328).

როგორც ვხედავთ, ნაციონალური ბრძოლის უპირველეს მიზანსწრაფვად ამ ბრძოლის მთავარი წარმმართველი პირი - ბურჟუაზია, სტალინის აზრით, „თავისი მშობლიური" ბაზრის დასაკუთრებას სახავს. მისი თქმით, სწორედ „ბაზარია პირველი სკოლა, საღაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს"

სტალინის შეფასებით, ამ ფაქტორმა არსებითად განსაზღვრა ის გარემოება, რომ „საქართველოში ცოტად თუ ბევრად სერიოზული ანტირუსული ნაციონალიზმი" არ განვითარებულა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ აქ არც რუსი მემამულეები იყვნენ და არც რუსი მსხვილი ბურჟუაზია, რომელნიც „საზრდოს მისცემდნენ ასეთ ნაციონალიზმს" სამაგიეროდ, სტალინი თვლის, რომ „საქართველოში არის ანტისომხური ნაციონალიზმი", რადგანაც აქ საკმაოდ ძლიერი იყო „სომეხთა მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც ამარცხებდა წვრილ, ჯერ მოუმაგრებელ ქართველ ბურჟუაზიას და ანტისომხური ნაციონალიზმისაკენ უბიძგებდა ამ უკანასკნელს" (იქვე, გვ. 330).

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში სტალინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროლეტარიატისა და მისი პარტიის როლისა და მიზანდასახულობის განსაზღვრას ეროვნულ მოძრაობაში. სწორედ ამ პრობლემის გააზრების დროს იჩინა ყველაზე მეტად თავი ავტორის მსოფლგაგებისათვის დამახასიათებელმა შინაგანმა წინააღმდეგობამ. კერძოდ, თუ ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ ზოგადთეორიული მსჯელობის დროს გამოთქმული მისი არაერთი დებულება დღესაც სავსებით მისაღებია, რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა მიმართ გამოვლენილი მისეული პოზიცია ხშირად პრინციპულად მცდარია და გაუმართლებელი. ეს განსაკუთრებით იმ შეფასებებზე ითქმის, რომელსაც სტალინი კავკასიელთა, კერძოდ კი ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გააზრების დროს ავლენს.

იმისათვის, რომ ყოველივე ზემოთქმულმა მეტი სიცხადე და დასაბუთებულობა შეიძინოს, მოვიშველიოთ შესაბამისი მაგალითები ნაშრომიდან.

ნაციონალურ მოძრაობაში პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელი პარტიის მონაწილეობის უმთავრეს მისიად სტალინს ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მიაჩნია. მისი აზრით, „თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვა, საარჩევნო უფლებათა წართმევა, ენის შევიწროება, სკოლების შემცირება და სხვა რეპრესიები

მუშებს ნაკლებად არ ეხებათ, თუ მეტად არა, ვიდრე ბურჟუაზიას" (ტ. 2, გვ. 332).

ი. სტალინის აზრით, ეს კარგად აქვს კიდეც გაცნობიერებული პროლეტარიატსა და მის პარტიას, რის გამოც ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული ბრძოლა მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროგრამო მოთხოვნაა. მაგრამ, სავსებით სწორ და მართებულ ამ მსჯელობას პარტიული ტენდენციურობით განპირობებული უკუფენაც აქვს, რაც ავტორს აიძულებს იქვე სოციალ-დემოკრატიული თვალთახედვისათვის პრინციპულად მიუღებელ საშიშროებაზეც ისაუბროს. მისი შეფასებით, „ნაციონალისტური რეპრესიების პოლიტიკა" პროლეტარიატის საქმისთვის იმ მხრივაცაა სახიფათო, რომ „იგი ფართო ფენების ყურადღებას აშორებს სოციალურ საკითხებს და მიმართავს მას ნაციონალური საკითხებისაკენ, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიისათვის „საერთო" საკითხებისაკენ. ეს კი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის „ინტერესთა ჰარმონიის" ყალბი ქადაგებისათვის, პროლეტარიატის ინტერესების მიჩქმალვისათვის, მუშების სულიერი დამონებისათვის, ხოლო ამით სერიოზული დაბრკოლება ექმნება ყველა ეროვნების მუშების გაერთიანების საქმეს" (იქვე, გვ. 331).

როგორც ვხედავთ, „ყველა ეროვნების მუშების გაერთიანება" კლასობრივ-სოციალური ინტერესების საფუძველზე სტალინს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის დროს განსხვავებულ კლასთა გაერთიანებას „ინტერესთა ჰარმონიის" საფუძველზე. ამიტომაც მიაჩნია მას პრინციპულად მიუღებლად ამ ბრძოლაში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ყოველგვარი თანამოკავშირეობა.

„მარქსიზმისა და ნაციონალური საკითხის" ერთ-ერთი მთავარი საკითხი ერთა თვითგამორკვევის უფლების აქტიური დაცვაა. ი. სტალინის არაერთგზისი განცხადებით, ეს მოთხოვნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირითადი საპროგრამო დებულებათაგანია, ვინაიდან „მხოლოდ თვითონ ერს აქვს უფლება განსაზღვროს თავისი ბედი. არავის არა აქვს უფლება ძალდატანებით ჩაერიოს ერის ცხოვ-

რებაში, დაანგრიოს მისი სკოლები და სხვა დაწესებულებები, დაარღვიოს მისი ზნე-ჩვეულებანი, შეავიწროვოს მისი ენა, შეუკვეცოს უფლებები" (იქვე, გვ. 333-334).

ცხადია, ყველა ეს მოთხოვნა დღესაც ყავლგაუსვლელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს და სადავო და საკამათო ავტორთან ამ შემთხვევაში კაცს არაფერი შეიძლება ჰქონდეს. იგივე უნდა ითქვას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის იმ ფორმებზეც, რომელთაც სტალინი ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემაზე მსჯელობის დროს გამოყოფს. ეს ფორმებია: ავტონომია, ფედერაცია და სრული დამოუკიდებლობა. ამ ფორმათა დახასიათების დროს სტალინი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ „ყოველი ერი სუვერენულია და თანასწორუფლებიანი", რომ ყოველ ერს შეუძლია თავიდანვე განსაზღვროს თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა, რომ „იბრძვის რა ერთა თვითგამორკვევისათვის, სოციალ-დემოკრატია ამასთანავე მიზნად ისახავს ბოლო მოუღოს ერის ჩაგვრის პოლიტიკას" (იქვე, გვ. 334).

მაგრამ დღევანდელი თვალთახედვითაც სავსებით მისაღები და მხარდასაჭერი ამ ზოგადთეორიული მსჯელობის შედეგად გამოთქმულ დებულებებს პრინციპულად ეწინააღმდეგება თავად სტალინის მიერ ცალკეულ ერთა ცხოვრებიდან დამოწმებული მაგალითები. სახელდობრ, ნაშრომის მე-3 თავში („საკითხის დაყენება"), მსჯელობს რა ერის უფლებაზე - „თავისუფლად გადაწყვიტოს თავისი ბედი" ავტორი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ ავტონომიური თვითმმართველობისაკენ ერის მისწრაფება არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეწინააღმდეგოს „ერის უმრავლესობის", უფრო ზუსტად, პროლეტარიატის ინტერესებს და იმის დასტურად, რომ „ავტონომია თუ სეპარაცია ყველგან და ყოველთვის სასარგებლო არ იქნება ერისთვის", ასეთი კონკრეტული მაგალითი მოჰყავს: „ამიერკავკასიის თათრებს, როგორც ერს, შეუძლიათ შეიკრიბონ, ვთქვათ, თავიანთ ზეიმზე, დაემორჩილონ თავიანთი ბეგებისა და მოლების გავლენას და აღადგინონ ძველი წესები, გადაწყვიტონ სახელმწიფოსგან გამოყოფა. თვითგამორკვევის პუნქტის აზრის მიხედვით მათ ამის სრული უფ-

ლება აქვთ. მაგრამ განა ეს სასარგებლო იქნება თათარი ერის მშრომელი ფენებისათვის? შეუძლია თუ არა სოციალ-დემოკრატიას გულგრილად უყუროს, როგორ იმხრობენ ბეგები და მოლები მასებს ნაციონალური საკითხის გადაჭრის საქმეში? განა სოციალ-დემოკრატია არ უნდა ჩაერიოს საქმეში და გარკვეული გავლენა არ უნდა მოახდინოს ერის ნებაზე?" (იქვე, გვ. 336).

როგორც ვხედავთ, სტალინი ამ კონკრეტულ შემთხვევაში აშკარად წინააღმდეგია რუსეთის იმპერიიდან ამიერკავკასიელი თათრების (იმავე აზერბაიჯანელების) გამოყოფისა. იგივე პოზიცია აქვს მას სხვა ხალხთა მიმართაც. ასე რომ, ერთა თვითგამორკვევის შესახებ სავსებით სწორი და მართებული ზოგადთეორიული მსჯელობის მიუხედავად, იგი ფაქტობრივად კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთის იმპერიის არა თუ დაშლას ეროვნულ სახელმწიფოებად, არამედ მასში მცხოვრებ ხალხთა ავტონომიური მმართველობის რაიმე ფორმით შემოღებასა და ამით ცენტრალური ხელისუფლებისაგან მათ გამოყოფასაც კი. ეს თვალსაზრისი ხსენებულ ნაშრომში ცხადად და აშკარადაა გამოხატული.

რაგინდ უცნაურიც არ უნდა გვეჩვენოს, ეს გარემოება იმით იყო განპირობებული, რომ, სტალინის აზრით, „რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ღერძს წარმოადგენდა არა ნაციონალური საკითხი, არამედ აგრარული. ამიტომაც, - წერდა იგი, - რუსეთის საკითხის ბედი და, მაშასადამე, ერთა „განთავისუფლების" ბედიც, რუსეთში დაკავშირებულია აგრარული საკითხის გადაწყვეტასთან, ე.ი. ბატონყმური ნაშთების მოსპობასთან... სწორედ ამით აიხსნება, რომ რუსეთში ნაციონალური საკითხი გვევლინება არა როგორც დამოუკიდებელი და გადამწყვეტი საკითხი, არამედ როგორც ნაწილი ქვეყნის განთავისუფლების საერთო და უფრო მნიშვნელოვანი საკითხისა" (იქვე, გვ. 343).

როგორც ვხედავთ, სტალინი არც ამჯერად არღვევს ტრადიციას და რუსეთის იმპერიაში ეროვნული თვალსაზრისით არსებულ უმწვავესად პრობლემატურ საკითხს, სხვა საკითხთა მსგავსად, უწინარეს ყოვლისა, კლასობრივ-სოციალური თვალთახედვით ხსნის და

განმარტავს. სწორედ ამ გარემოებამ მიიყვანა იგი იმის აღიარებამდე, თითქოს რუსეთის იმპერიაში ნაციონალური პრობლემა აგრარული საკითხის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და არა მისგან „დამოუკიდებელ და გადამწყვეტ საკითხს“ ასე რომ, სტალინის თქმით, „პროგრესის ბედს რუსეთში არა ნაციონალური, არამედ აგრარული საკითხი წყვეტდა და ნაციონალური საკითხი აქ მხოლოდ მასთან დაქვემდებარებული საკითხი იყო“

ნაშრომში საკმაოდ კრიტიკულადაა განხილული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ის ფორმა, რომელსაც ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები თვლიდნენ მისაღებად. ამდაგვარი ავტონომია, მათი აზრით, ერებს უნდა მიცემოდათ არა ტერიტორიული, არამედ ნაციონალური პრინციპის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, ქვეყნის რომელ კუთხეში მოსახლეობდნენ ისინი. ამ ავტონომიის საფუძველზე შექმნილ საერთო-ნაციონალურ დაწესებულებებს უნდა განეგოთ მხოლოდ კულტურული საკითხები, რის გამოც მას კულტურული ავტონომიაც უნდა დარქმეოდა.

სტალინი კრიტიკულად განიხილავს ავტონომიის ამ ფორმას და არაორაზროვნად დაასკვნის, რომ „ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება ერთა განვითარების მთელ მსვლელობას“ მის მავნებლობას ავტორი პირველ ყოვლისა იმაში ხედავს, რომ ავტონომიის ეს ფორმა „ნიადაგს ამზადებს არა მარტო ერების განკერძოებისთვის, არამედ ერთიანი მუშათა მოძრაობის დაქუცმაცებისთვისაც. ნაციონალური ავტონომიის იდეა ქმნის ფსიქოლოგიურ წანამძღვრებს ერთიანი მუშაოა პარტიის დანაწილებისთვის ცალკეულ, ეროვნებათა მიხედვით აგებულ პარტიებად... ასე იქსაქსება ერთიანი კლასობრივი მოძრაობა ცალკეულ ნაციონალურ ნაკადულებად“ (იქვე, გვ. 356).

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის „მავნებლობისა“ და „უვარგისობის“ დასაბუთებას ნაშრომში სხვაგანაც არაეროგზის ესმება ხაზი და ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად მრავალი არგუმენტია მოშველიებული. ავტორის რწმენით, ავტონომიის ეს ფორმა არა თუ წინ ეწევა ერის კულტურულ განვითარებას, არამედ, პირიქით, „პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს, ვინა-

იდან იგი ძველ ნაჭუჭებში ამწყვდევს ერებს, აჩერებს მათ კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე, ხელს უშლის მათ, კულტურის უმაღლეს საფეხურებზე ავიდნენ" (იქვე, გვ. 378-379).

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის „უვარგისობის" ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ავტორს ისიც მოაქვს, რომ „იგი გვეწევა ნაციონალიზმისაკენ, ვინაიდან მას მივყავართ ადამიანთა ნაციონალურ კურიებად „გამიჯვნის" თვალსაზრისისაკენ, ერების „ორგანიზაციის" თვალსაზრისისაკენ, „ნაციონალურ თავისებურებათა" „შენარჩუნებისა და დანერგვის თვალსაზრისისაკენ, - ეს კი ისეთი რაჰ არის, რაც სრულებით არ შეეფერება სოციალ-დემოკრატიას" (იქვე. გვ. 389).

ი. სტალინის ამ მსჯელობიდან, ვფიქრობ, აშკარად და არაორაზროვნად ჩანს ავტორის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ავტონომიის ყველა იმ ფორმისადმი, რომელიც ნაციონალიზმის ნიშნით აღმოჩნდება გამოყოფილი ცენტრალიზებული სახელმწიფოსაგან. ნაციონალიზმის ამდაგვარ „მავნებლობას" იგი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრინციპულად ახალ მოდელს უპირისპირებს, რომელიც თავისი არსით ფაქტობრივად მთლიანად ინტერნაციონალურია და პრობლემის მხოლოდ რეგიონალიზმის საფუძველზე გადაწყვეტას გულისხმობს.

კერძოდ, სტალინის თქმით, რუსეთში ეროვნული პრობლემის „ერთადერთი სწორი გადაწყვეტა **საოლქო** ავტონომიაა, ისეთი ჩამოყალიბებული ერთეულების ავტონომია, როგორიცაა პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, კავკასია და ა.შ." (იქვე, გვ. 390).

ამ თვალსაზრისამდე სტალინი იმ უპირატესობათა გაცნობიერებამ მიიყვანა, რითაც კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასთან შედარებით საოლქო ავტონომია გამოირჩევა. ამ უპირატესობათა ავტორისეული დახასიათება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მთელი ძალით ყოველგვარი მოვლენისადმი კლასობრივი და პარტიული მიდგომის იმ პრინციპებს, რაც სტალინისა და მისი თანაპარტიელების მოღვაწეობას უდევს საფუძვლად.

ავტორის აზრით, „საოლქო ავტონომიის უპირატესობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ამ ავტონომიის დროს საქმე გვაქვს..

განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ განსაზღვრულ მოსახლეობასთან" და ის ადამიანებს ერთმანეთისაგან „არ მიჯნავს ერების მიხედვით. იგი არ ამაგრებს ნაციონალურ ტიხრებს და აერთიანებს მოსახლეობას იმისათვის, რომ გზა გაუხსნას სხვაგვარ გამიჯვნას, კლასების მიხედვით გამიჯვნას" (იქვე, გვ. 390).

ასე რომ, მხოლოდ ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე შექმნილი საოლქო ავტონომია, სტალინის აზრით, საფუძველს გამოაცლის ნაციონალიზმს და მმართველობის ამ ფორმის შემოღება პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა იქნება. არც ერთ ასეთ ოლქში, მისი თქმით, საქმე არავითარ შემთხვევაში არ გვექნება „მთლიან ნაციონალურ ერთგვაროვნებასთან, ვინაიდან თვითეულ მათგანში აქა-იქ ნაციონალური უმცირესობანიც იქნებიან შერეულნი" (იქვე).

იმისათვის, რომ ამ უმცირესობათა ეროვნული უფლებები სათანადოდ იყოს დ·ცული და ის პრობლემებიც დადებითად გადაწყვეტილი, რომლებიც „განსაკუთრებით აღელვებს ნაციონალურ უმრავლესობას", სტალინის აზრით, მათ უნდა მიეცეთ დედაენით შეუზღუდველი სარგებლობის უფლება და კანონის ძალით აიკრძალოს „გამოუკლებლივ ყველა სახის ნაციონალური პრივილეგია და ნაციონალურ უმცირესობათა ყოველგვარი შევიწროება ან შეზღუდვა" (იქვე, გვ. 391).

ნაშრომის ბოლოს საოლქო ავტონომიის სიკეთეებთან შეპირისპირებით სტალინი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ „მავნებლურ" მხარეებს, რითაც კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ხასიათდება. სამწუხაროდ, მისი ამდაგვარი მსჯელობა არცთუ იშვიათად ანტიეროვნულ თვალთახედვაშიც გადაიზრდება ხოლმე და ავტორი ხშირად თავადვე უპირისპირდება ერთა თვითგამორკვევისა და თანასწორობის მის მიერვე ნაქადაგევ დებულებებს.

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, სტალინისათვის, როგორც მარქსისტი სოციალ-დემოკრატისათვის, უმთავრესი და არსებითი იყო ხალხთა არა ეროვნული ნიშნის მიხედვით გაერთიანება, არამედ კლასობრივი ერთობის დამკვიდრება და ეროვნული „ტიხრების" სრული და უპირობო დანგრევა. ამიტომაც იბრძოდა

ივი ეროვნებათა მიხედვით მუშების ერთმანეთისაგან გამიჯვნის წი-
ნააღმდეგ, რასაც „ერთიანი მუშათა პარტიის დაშლა და სოციალ-
დემოკრატიის რიგებში სრული დემორალიზაცია“ მოჰყვებოდა შე-
დეგად. სტალინი ამ საშიშროების თავიდან აცილების ერთადერთ
გზას ხედავს – „ინტერნაციონალიზმის საფუძვლებზე“ „რუსეთის ყვე-
ლა ეროვნების მუშების ადგილობრივ შეკავშირებას ერთიან და
მთლიან კოლექტივებად, ასეთი კოლექტივების შეკავშირებას ეროვ-
ან პარტიად“ (იქვე, გვ. 392).

ი. სტალინის აზრით, ამის გაკეთების საფუძველს ის გარემოება
ქმნის, რომ „მუშები უწინარეს ყოვლისა ერთი კლასობრივი ოჯახის
წევრები, სოციალიზმის ერთიანი არმიის წევრები არიან... ამიტომ
ორგანიზაციის ინტერნაციონალური ტიპი წარმოადგენს ამხანაგუ-
რი გრძნობების სკოლას, უდიდეს აგიტაციას ინტერნაციონალიზმის
სასარგებლოდ“ მისგან განსხვავებით, ეროვნებათა მიხედვით შექ-
მნილ ორგანიზაციებში კი „მუშები ნაციონალურ ნაჭუჭში იკეტებიან
და ორგანიზაციული ტიხრებით ემიჯნებიან ერთმანეთს... ამიტომ ორ-
განიზაციის ნაციონალური ტიპი ნაციონალური შეზღუდულობის
და დახავსებულობის სკოლას წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 393-394).

ასე და ამრიგად, ავტონომიის ამ ორი საჩეობის საფუძვლიანი
და კრიტიკული განხილვის შემდეგ ი. სტალინი კიდევ ერთხელ და-
ასკვნის ხაზგასმული კატეგორიულობით იმას, რომ „მუშების ინ-
ტერნაციონალური შეკავშირების პრინციპით“ საოლქო ავტონო-
მიების შექმნა რუსეთში ნაციონალური პრობლემის გადაწყვეტის
საუკეთესო გზაა.

„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ნათლად გამოხატავს
ავტორის მეტად ტენდენციურ და პრინციპულად მცდარ დამოკი-
დებულებას კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში ეროვნული თვალ-
საზრისით არსებული ვითარებისადმი. სამწუხაროდ, ნაშრომში ამას-
თან დაკავშირებით გამოთქმული არაერთი დებულება არათუ უბრა-
ლოდაა მიუღებელი, არამედ, ნებსით თუ უნებლიეთ, იმავდროუ-
ლად ძირსაც კი უთხრის საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ჩვენს
ეროვნულ ერთობას და ქართველ ხალხს ტომობრივადაც და ენობრი-

ვადაც ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ხალხთა მექანიკურ კონგლომერატად წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით რამდენიმე სიტყვა უსათუოდ უნდა ითქვას ნაშრომის მე-6 თავზე - „კავკასიელები, ლიკვიდატორთა კონფერენ-' ცია", რომელშიც ავტორისეული კრიტიკის ობიექტებად ის სოციალ-დემოკრატები არიან ქცეულნი, რომლებიც კავკასიასა და საქართველოში ეროვნული პრობლემის გადაჭრის მიზნით კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შექმნის მოთხოვნით გამოდიოდნენ. მათგან სტალინი განსაკუთრებით აკრიტიკებს მათ ლიდერს ნ-ს (ნოე ჟორდანიას ფსევდონიმია) წერილს, რომელიც მენშევიკების გაზეთ „ჩვენს ცხოვრებაში" დაიბეჭდა 1912 წელს (№12).

სტალინი პრინციპულად არ იზიარებს ნ-ს მიერ გამოთქმულ ისეთ დებულებებს, როგორებიცაა: „კულტურულად გაძლიერებული ერი ძლიერია ეკონომიკურ სფეროშიაც" „ხოლო ერს კულტურულათ განვითარება შეუძლია მხოლოდ ეროვნულ ენაზე..." „ქართული ენის სვე-ბედი ერთნაირად აინტერესებს ქართველს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის. თქმა იმისა, რომ ქართული კულტურა მარტო საქართველოში მცხოვრებ ქართველთ ეხებაო - დიდი სიბრიყვე იქნება"

ამდაგვარი მსჯელობის საწინააღმდეგოდ სტალინის მიერ ჩვეული კატეგორიულობით გამოტანილი დასკვნა ასეთია: კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, რომელიც უვარგისია საერთოდ, კიდევ უფრო უაზრო და სულელურია კავკასიის პირობების თვალსაზრისით" (იქვე, გვ. 376).

საინტერესოა, მაინც რატომ მიიჩნევს ავტორი მისი აზრით ავტონომიის ისედაც მიუღებელ ამ ფორმას „კიდევ უფრო უაზროდ და სულელურად" კავკასიისთვის. აი, რა არგუმენტები მოაქვს მას ამის დასტურად: „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობებოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა" კავკასიაში მცხოვრებ „მთელ რიგ ხალხებს" კი, სტალინის აზრით,

„პრიმიტიული კულტურა და განსაკუთრებული ენა აქვთ“ და „მოკლებული არიან მშობლიურ ლიტერატურას“

ეს ყველაფერი ავტორს მყარ საფუძველს აძლევს საიმისოდ, ავტონომიის ზემოთ აღნიშნული ფორმის მოთხოვნის სრული აბსურდულობაში ღრმად დარწმუნებულმა იკითხოს: „როგორ მივუყენოთ მათ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია? რა ვუყოთ ასეთ ხალხებს? როგორ „მოვაწყოთ“ ისინი ცალკეულ კულტურულ-ნაციონალურ კავშირებად, რასაც კულტურულ-ნაციონალური ავტონომია უეჭველად გულისხმობს?“ (იქვე, გვ. 377).

მკითხველს ბუნებრივად დაებადება კითხვა, თუ ვინ არიან „პრიმიტიული კულტურისა და განსაკუთრებული ენის“ მქონე ეს ხალხები. სტალინის აზრით, ესენი არიან მეგრელები, აფხაზები, აჭარლები, სვანები, ლეკები და სხვები, რომლებიც თუმცა „სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ, რა ერებს მივაკუთვნოთ ისინი? - გაოცებით კითხულობს იქვე ავტორი. - შესაძლებელია თუ არა მათი „მოწყობა“ ნაციონალურ კავშირებად? რა „კულტურული საქმეების“ გარშემო „მოვაწყოთ“ ისინი?“ (იქვე).

ამდაგვარი მსჯელობის აბსურდული ხასიათი იმდენად აშკარა და ცხადია, რომ მისი საწინააღმდეგო არგუმენტების მოშველიება დღეს უკვე აღარავის სჭირდება. მეგრელების, აჭარლების, სვანებისა და ქობულეთლების ცალკე ერებად გამოცხადება ფაქტობრივად იმავე პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება თუ უნებლიე გამოძახილია, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობა ატარებდა საქართველოში მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე. როგორც ისტორიული დოკუმენტებით ცნობილია, რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ოფიციალურად არც საქართველოს აღიარებდა და არც ქართველ ხალხს და აქ მცხოვრებ მოსახლეობას ისეთ „ეროვნებებად“ ყოფდა და ანაწილებდა, როგორებიც იყვნენ: მეგრელი, სვანი, აჭარელი, იმერელი და ა.შ.

ამდენად, ქართველი ერის სტალინისეული დაყოფა-დანაწილება ზემოთ დასახელებულ „ეროვნებებად“ ახალი არ არის და იგი ფაქტობრივად რუსეთის თვითმპყრობელების მიერ გატარებული ანტიეროვნული პოლიტიკის თავისებური გაღრმავება თუ გამოძახილია.

სამწუხაროდ, სტალინი ცალკეულ შემთხვევაში უფრო შორსაც კი მიდის და ე.წ. „აჭარელი ერისგან“ ქობულეთელებს ცალკე ეროვნებად გამოყოფს. „რომელ ნაციონალურ კავშირს მივაკუთვნოთ აჭარლები, რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თურქული კულტურით ცხოვრობენ და ისლამის რჯულს აღიარებენ? - გაოცებანარევი აღშფოთებით კითხულობს ავტორი... - ახლა ქობულეთელები? ახლა ინგუშები? ახლა ინგილოები?

ეს რა ავტონომიაა, მთელ რიგ ხალხებს სიიდან რომ რიცხავს?“ (იქვე, გვ. 377).

ყოველივე ამას ისიც ემატება, თითქოს ქართველები ამიერკავკასიელი ოსების ასიმილაციასაც ახდენენ. თუმცა ავტორი დაკონკრეტებით იმას არსად აკონკრეტებს, რეალურად ვისლა ტოვებს სხვადასხვა ეროვნებებად დაქუცმაცებული ქართველი ერის შემადგენლობაში.

საბოლოო დასკვნა, რითაც სტალინი კავკასიაში ნაციონალური პრობლემის კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შექმნის გზით გადაჭრის მომხრეთა თვალსაზრისს აფასებს, ასეთია: „არა, ეს არ არის ნაციონალური საკითხის გადაჭრა, ეს ფუჭი ფანტაზიის ნაყოფია“ (იქვე). ი. სტალინის აზრით, „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ. მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა შეიძლება იყოს პროგრესული და სოციალ-დემოკრატიისათვის მისაღები“ (იქვე, გვ. 378).

ასეთად კი მას საოლქო ავტონომია მიაჩნია, რომელიც სასურველ პირობებს შექმნის „ვიწრო ნაციონალური კარჩაკეტილობის ნაჭუჭიდან“ ერების გამოსაყვანად. კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კი, რომელსაც მისი მომხრენი კავკასიაში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო ვარიანტად მიიჩნევენ, სტალინის რწმენით, „ერებს ძველ ნაჭუჭში ამწყვდევს, აჩერებს მათ კულტურის განვითარების დაბალ საფეხურებზე, ხელს უშლის მათ კულტურის უმაღლეს საფეხურებზე ავიდნენ.

ამით ნაციონალური ავტონომია აქარწყლებს საოლქო ავტონომიის დადებით მხარეებს, ნულად აქცევს მას... ამრიგად, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, საზოგადოდ უვარგისი, კავკასიაში უაზრო რეაქციულ წამოწყებად გადაიქცეოდა" (იქვე. გვ. 378-37?)

მართალია, ნაშრომში ერთა თვითგამორკვევის უფლება სიტყვიერად არაერთგზისაა აღიარებული, მაგრამ ავტორი იქვე იმასაც ყოველთვის დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ ამ უფლებისადმი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერა მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მისი პრაქტიკული გამოყენება პროლეტარიატის ინტერესებს არ შეეწინააღმდეგება. როგორც ნაშრომიდან ნათლად ჩანს, სტალინისათვის ერთა თვითგამორკვევის პრობლემის გადაწყვეტის დროს მთავარი და არსებითი ერის ნება კი არა პარტიული მიზანსწრაფვაა.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამ ციტატითაც ნათლად ჩანს: „სოციალ-დემოკრატია ვალდებულია გასწიოს აგიტაცია და გავლენა მოახდინოს ერთა ნებაზე ისე, რომ ერები მოეწყონ იმ ფორმით, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება პროლეტარიატის ინტერესებს. სწორედ ამიტომ იგი, ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის რომ იბრძოლებს, ამავე დროს აგიტაციას გასწევს, ვთქვათ, თათრების გამოყოფის წინააღმდეგაც და კავკასიის ერების კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის წინააღმდეგაც, ვინაიდან ერთიც და მეორეც, მართალია, არ ეწინააღმდეგება ამ ერების უფლებებს, მაგრამ ეწინააღმდეგება პროგრამის „ზუსტ აზრს", ე.ი. კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს" (იქვე, გვ. 383).

როგორც ვხედავთ, პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე სტალინი კატეგორიულად უარყოფს კავკასიის ერებისათვის თეორიულად, სიტყვიერად მიკუთვნებული ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალურ გამოყენებას და მას არა თუ ამ ერების, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ქართველი ხალხის, რუსეთის იმპერიისგან გამოყოფა მიაჩნია მიზანშეუწონლად, არამედ მისთვის ავტონომიის მინიჭების ფაქტობრივ მოწინააღმდეგედაც კი გვევლინება. მთავარი არგუმენტი, რომელიც ამ შემთხვევაში მის ამდაგვარ ქმედებას უდევს სა-

ფუძვლად, ის არის, რომ ასეთი რამის გაკეთება პრინციპულად ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატთა პარტიულ პროგრამასაც და პროლეტარიატის ინტერესებსაც.

1917 წლის მარტიდან აგვისტომდე

1913 წლიდან 1917 წლის მარტამდე ეროვნულ პრობლემას სტალინის თეორიულ ნააზრევში საგულისხმოდ მნიშვნელოვანი ადგილი აღარ დაუჭერია. ამ საკითხისადმი ინტერესმა ავტორის ნაშრომებში ახალი ძალით თავი 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იჩინა და არაერთგზის იქცა ცხოველი ყურადღების საგნად.

ეს გარემოება იმით იყო განპირობებული, რომ რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული დროებითი ხელისუფლების წინაშე მწვავედ დ ,ასვა საკითხი რუსეთის იმპერიაში არსებული ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის შესახებ.

როგორც 1917 წლის მარტიდან 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე გამოქვეყნებული ნაშრომების გაცნობა ცხადყოფს, ეროვნული პრობლემის თეორიულმა გააზრებამ სტალინის ცნობიერებაში ახალი მასშტაბები შეიძინა, ზოგიერთი ძველი შეხედულება გარკვეულწილად დაზუსტდა და ახლებური კუთხით წარმოჩინდა. იგი მწვავედ და პრინციპულად ილაშქრებს ეროვნული ჩაგვრისა და შევიწროების წინააღმდეგ და აქტიურად ეძებს რუსეთისა და მის შემადგენლობაში შემავალი ხალხების სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მისაღებ ფორმებს.

სტალინი არც ამჯერად არღვევს ტრადიციას და ყველა ამ საკითხს პირველ ყოვლისა ნათლად გამოვლენილი კლასობრივ-პარტიული თვალთახედვით სჯის და განიხილავს. ამ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მის ნაშრომებში არცთუ იშვიათად იჩენს თავს შინაგანი წინააღმდეგობა თეორიულად გამოთქმულ მოსაზრებებსა და კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით გაკეთებულ შეფასებებს შორის.

მეტი სიცხადისათვის მოკლედ განვიხილოთ სტალინის აღნიშნული პერიოდის ნაშრომები.

1917 წლის 25 მარტს, რევოლუციიდან არცთუ ისე დიდი დროის გასვლის შემდეგ, გაზეთ „პრავდაში" სტალინმა გამოაქვეყნა წერილი „ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ" (ტ. 3, გვ. 17-21), რომელშიც კიდევ ერთხელ აქცია მსჯელობის საგნად რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული პრობლემები. მისი მართებული შეფასებით, „ძველი რუსეთის ერთ-ერთი იარა, რომელიც სამარცხვინო ლაქას ცხებდა მას, ნაციონალური ჩაგვრის იარა იყო. რელიგიური და ნაციონალური დევნა, „უცხოტომელთა" ძალდატანებით გარუსება, ნაციონალურ კულტურულ დაწესებულებათა დევნა, საარჩევნო უფლებათა წართმევა, მისვლა-მოსვლის თავისუფლების წართმევა, ეროვნებების ერთი-მეორეზე წასისიანება, რბევა და ხოცვა-ჟლეტა, - აი, იგი, ავად მოსაგონარი ნაციონალური ჩაგვრა"

როგორც ციტირებული ფრაგმენტითაც ნათლად ჩანს, ი. სტალინი ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოაჩენს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს უხდებოდათ ცხოვრება. თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებამ და ხელისუფლების სათავეში დროებითი მთავრობის მოსვლამ რეალური პერსპექტივა შექმნა ამ პრობლემის გადასაწყვეტად. სტალინი, პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ერთვება ამ პროცესში და კონკრეტულად ცდილობს მოძებნოს პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

მისი აზრით, იმ მომენტში პირველ ყოვლისა ორი რამის გაკეთება იყო სასწრაფოდ აუცილებელი: „ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ეროვნებათა უფლებების ჩამოყალიბება და ამ უფლებების კანონმდებლობითი განმტკიცება" იგი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ დროებითმა მთავრობამ ეროვნული პრობლემის მოსაგვარებლად უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი და გამოსცა დეკრეტი სარწმუნოებრივ და ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ, რაც რუსეთის მოქალაქეებს იმის შესაძლებლობას აძლევდა, „ახლა უკვე

შვებით ამოესუნთქათ და თავი რუსეთის მოქალაქეებად ეგრძნოთ"

მაგრამ ი. სტალინს ეს ყველაფერი არასაკმარისად მიაჩნდა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ „დეკრეტი არ ამყარებდა ნაციონალურ თანასწორუფლებიანობას ენის მხრივ" იგი პრინციპულად მოითხოვდა უფლებათა მხრივ არარუსი ეროვნებების ენათა გათანაბრებას რუსულ ენასთან, რაც ეროვნული თანასწორობის დამკვიდრების ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნებოდა.

იმისათვის, რომ რეალურად ყოფილიყო მიღწეული ერთა ნაციონალური თანასწორუფლებიანობა, სტალინის აზრით, ასევე აუცილებელი იყო მთავრობას სასწრაფოდ შეემუშავებინა „ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის დადებითი გეგმა" და იქვე თავადვე განსაზღვრა ამ გეგმის ორ მთავარი პუნქტი: „1) პოლიტიკური ავტონომია (არა ფედერაცია!) იმ ოლქებისა, რომლებიც წარმოადგენენ მთლიან სამეურნეო ტერიტორიას მოსახლეობის განსაკუთრებული ყოფაცხოვრებით და ნ კიონალური შემადგენლობით, მშობლიურ ენაზე „საქმისწარმოებითა" და „სწავლებით";

2) თვითგამორკვევის უფლება იმ ერებისათვის, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლიათ დარჩნენ სახელმწიფოებრივი მთელის ფარგლებში"

ი. სტალინის მართებული აზრით, სწორედ „ასეთია ის გზა, რომელსაც ნაციონალური ჩაგვრის მოსპობისაკენ, ეროვნებათა თავისუფლების იმ მაქსიმუმის უზრუნველყოფისაკენ მივყავართ, რომელიც შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს"

ზემოთ დასმულ პრობლემებზე მსჯელობა ავტორმა სამი დღის შემდეგ, 28 მარტს, „პრავდაში" გამოქვეყნებულ ახალ წერილშიც გააგრძელა („ფედერალიზმის წინააღმდეგ", ტ 3, გვ. 25-30). ამ სტატიის უმთავრესი მიზანსწრაფვა რუსეთისა და მის შემადგენლობაში მყოფი ხალხების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმათა ძიებაა.

კერძოდ, ი. სტალინი მწვავედ ეკამათება ესერების გაზეთ „დელო ნაროდაში" გამოქვეყნებული სტატიის - „რუსეთი - ოლქთა კავშირი" (1917 წ. №5) ავტორს ი. ოკულიჩს, რომელიც მოითხოვდა,

აშშ-ის გამოცდილების გათვალისწინებით, რუსეთი გადაქცეულიყო ოლქთა კავშირისაგან შექმნილ „ფედერალურ სახელმწიფოდ“ ავტორს სწორედ ასეთ განცალკევებულ ოლქებად ჰქონდა წარმოდგენილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ისეთი რეგიონები, როგორებიც იყო: მალოროსია, საქართველო, ციმბირი, თურქისტანი და სხვ.

ი. სტალინი პრინციპულად ეწინააღმდეგება ამ წინადადებას და დაბეჯითებით ამტკიცებს იმას, რომ არც აშშ-სა და არც სტრუქტურულად მისი მსგავსი სხვა ქვეყნების (კანადა, შვეიცარია) მაგალითი ამ თვალსაზრისით თუნდაც იმიტომაც არ გამოდგება, რომ „ამერიკა (ისევე, როგორც კანადა და შვეიცარია) შტატებად (კანტონებად) იყოფა არა ნაციონალური, არამედ გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. იქ შტატები განვითარდნენ კოლონია-თემებიდან, დამოუკიდებლად მათი ნაციონალური შემადგენლობისა... ასე როდია რუსეთში. ის, რასაც რუსეთში ჩვეულებრივ ეწოდება ოლქები, რომლებსაც, ვთქვათ, ავტონომია ესაჭიროებათ (უკრაინა, ამიერკავკასია, ციმბირი, თურქისტანი და სხვ.), უბრალო გეოგრაფიული ოლქები როდია, როგორც, მაგალითად, ურალი ან ვოლგისპირეთი, არამედ რუსეთის გარკვეული კუთხეები გარკვეული ყოფაცხოვრების და მათი მოსახლეობის (არარუსული) ნაციონალური შემადგენლობით. სწორედ ამიტომ შტატების ავტონომია (ან ფედერაცია) ამერიკასა თუ შვეიცარიაში არა თუ არ წყვეტს ნაციონალურ საკითხს (იგი არც ისახავს ასეთ მიზანს!), არამედ არც კი აყენებს მას. ხოლო რუსეთის ოლქთა ავტონომიას (ან ფედერაციას) არსებითად იმისათვის აყენებენ, რომ დასვან და გადაწყვიტონ ნაციონალური საკითხი რუსეთში, ვინაიდან რუსეთის ოლქებად დანაწილებას საფუძვლად უდევს ნაციონალური ნიშანი“

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტალინს თავად შემდეგნაირად ესახება რუსეთში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის გზა:

„1) გამოყოფის უფლება რუსეთის განსაზღვრულ ოლქებში მოსახლე იმ ერებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ, არ სურთ დარჩნენ მთელის ფარგლებში;

2) პოლიტიკური ავტონომია ერთიანი (გაერთიანებული) სახელმწიფოს ფარგლებში კონსტიტუციის ერთიანი ნორმებით იმ ოლქებისათვის, რომლებიც განსაზღვრული ნაციონალური შემადგენლობით განირჩევიან და მთელის ფარგლებში რჩებიან"

მართალია, სტალინი რუსეთის იმპერიაში ცალკეული ოლქებისათვის რაიმე ფორმით საოლქო ავტონომიის მინიჭების უფლებას ადრეც უჭერდა მხარს, მაგრამ ამდაგვარი ოლქის შექმნის საფუძვლად იგი ძირითადად არა ნაციონალურ, არამედ ტერიტორიულ და რეგიონულ-პრინციპს მიიჩნევდა. ამჯერად კი ის რამდენადმე ცვლის თავის ადრინდელ თვალსაზრისს და ავტონომიური ოლქის შექმნის პირობად „განსაზღვრული ნაციონალური შემადგენლობით მის გამორჩეულობას" მიიჩნევს

როგორც წერილის სათაურიდანაც ნათლად ჩანს, სტალინი იმხანად პრინციპულად წინააღმდეგი იყო რუსეთის სახელმწიფოს ფედერალიზმის საფუძველზე მოწყობისა. ამ თვალსაზრისს მაშინ მისი პარტიის სხვა ლიდერებიც აქტიურად იცავდნენ. მაგალითად, ლენინი 1913 წელს პირდაპირ აცხადებდა, რომ ისინი „მხარს უჭერდნენ დემოკრატიულ ცენტრალიზმს და ფედერაციის წინააღმდეგნი იყვნენ", რადგანაც ფედერაცია „ასუსტებს ეკონომიკურ კავშირს" ამიტომაც, ლენინის შეფასებით, ფედერაცია სახელმწიფოებრივი მართვის „უვარგისი ტიპი" იყო.

მაგრამ, როგორც სტალინის ხსენებული სტატიისათვის 1924 წელს გაკეთებული მინაწერიდან ნათლად ჩანს, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკურმა პარტიამ და შესაბამისად თავად სტალინმაც პრინციპულად შეიცვალა პოზიცია და საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მისაღებ ფორმად სწორედ ფედერაცია აღიარა. კერძოდ, 1918 წელს მიღებულ „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში" გარკვევითაა ნათქვამი, რომ „რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაცია"

ჩაგრულ ერთა პოლიტიკური ცხოვრების მოწყობის პრინციპების გარკვევას სტალინმა დიდი ყურადღება დაუთმო რუსეთის ბოლშე-

ვიკთა მე-7 (აპრილის) კონფერენციაზე გამოსვლის დროსაც. კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში (ტ. 3, გვ. 54-61) იგი კიდევ ერთხელ შეეხო ამ პრობლემას და მკაფიოდ ჩამოაყალიბა მისი და მისი თანაპარტიელების პოზიცია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებთან დაკავშირებით.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოთ ჩაგრულ ერთა პოლიტიკური ცხოვრება, სტალინი გარკვევით პასუხობს, რომ „რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩაგრულ ხალხებს უნდა მიეცეთ უფლება თვითონ გადაწყვიტონ საკითხი - რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩენა სურთ თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოყოფა"

საკითხის ამდაგვარი დასმა და გადაწყვეტა, ცხადია, უაღრესად პროგრესულია და მთლიანად მისაღები, მაგრამ კონკრეტულ ვითარებასთან მისადაგებით გამოტანილი ზოგიერთი ავტორისეული დასკვნა და შეფასება აშკარად ავლენს ზემოთქმულ თეორიულ დებულებასთან მათს შეუსაბამობას. კერძოდ, თუ იმხანად რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ფინეთის პრობლემაზე საუბრის დროს სტალინი არაორაზროვნად მოითხოვს პრინციპულად დაუჭირონ მხარი ფინელი ხალხის უფლებას რუსეთიდან მის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის შესახებ, რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ხალხების ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას იგი ფაქტობრივად მხოლოდ სიტყვიერად აღიარებს და მათი რეალური გამოყოფის მოწინააღმდეგედ გამოდის.

ნათქვამის დასტურად მოვიშველიოთ კონკრეტული არგუმენტები. სტალინის აზრით, ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების აღიარება არამც და არამც არ უნდა გავაიგივოთ ერის გამოყოფის აუცილებლობასთან. მისი თქმით, მათი „ერთმანეთში არევა შეუწყნარებელია და ეს საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, ვითარების მიხედვით. როდესაც ჩაგრულ ეროვნებათა გამოყოფის უფლებას, თავიანთი პოლიტიკური ბედის გადაჭრის უფლებას ვაღიარებთ, ჩვენ ამით არ ვწყვეტთ საკითხს - უნდა გამოეყონ თუ არა

რუსეთის სახელმწიფოს მოცემულ მომენტში ეს და ეს ერები. მე შემიძლია ვაღიარო ერის გამოყოფის უფლება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე იგი ვალდებული გავხადე ასე მოიქცეს"

როგორც ვხედავთ, სტალინის მიერ თავად ერის მიერ გადასაწყვეტ უზენაეს ნებად გამოცხადებული ეროვნული თვითგამორკვევის უფლება ფაქტობრივად მხოლოდ სიტყვიერი ქადაგების დონეზე დარჩა და ავტორი ამ უფლების რეალური აღსრულების მთავარ პირობად თავად ერის ნებას კი არ მიიჩნევს, არამედ მის გადაწყვეტას მხოლოდ პარტიულ-ბოლშევიკური პრინციპების საფუძველზე თვლის მიზანშეწონილად.

სტალინისა და მისი პარტიის აზრი კი ამასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად ამიერკავკასიასთან (ამ შემთხვევაში საგულისხმო ისიცაა, რომ რუსეთის იმპერიის ამ რეგიონს, როგორც ავტონომიურ ერთეულს, სტალინი თითქმის ყოველთვის ამიერკავკასიად ან კავკასიად მოიხსენიებს ხოლმე და არა საქართველოდ) დაკავშირებით, ასეთია: „მე პირადად, მაგალითად, წინააღმდეგი ვიქნებოდი ამიერკავკასიის გამოყოფისა, ვიღებ რა მხედველობაში საერთო განვითარებას ამიერკავკასიასა და რუსეთში, პროლეტარიატის ბრძოლის განსაზღვრულ პირობებს და სხვ"

ამ თვალსაზრისით ამიერკავკასია გამონაკლისი რომ არ არის და სტალინი ფაქტობრივად მთელი რუსეთის იმპერიის დაშლის მოწინააღმდეგედაც რომ გამოდის, ეს, ვფიქრობ, ამ ციტატითაც ნათლად ჩანს: „მე ვფიქრობ, რომ ეროვნებათა 9/10 ცარიზმის დამხობა შემდეგ არ მოისურვებს გამოყოფას" თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცოტა ზემოთ ავტორმა ფინეთის გამოყოფას ღიად დაუჭირა მხარი, გამოდის, რომ იგი რუსეთიდან სხვა ხალხების გამოყოფის აშკარა წინააღმდეგია.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამით აიხსნება მისი აქტიური მცდელობა, მოძებნოს ყველაზე რეალური და მისაღები ფორმა ჩაგრულ ხალხთა ეროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

როგორც თავის ადრინდელ წერილებში გამოთქმული მოსაზრებებითაა ცნობილი, სტალინს ასეთ ფორმად საოლქო ავტონომია

მიაჩნია. ამიტომაც იძლეოდა იგი კიდევ ერთხელ წინადადებას, „მოეწყოთ საოლქო ავტონომიები იმ ოლქებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან ყოფაცხოვრების, ენის თავისებურებებით, როგორც, მაგალითად, ამიერკავკასია, თურქისტანი, უკრაინა“

საოლქო ავტონომიის ფორმის დაცვასთან ერთად სტალინმა იქვე კიდევ ერთხელ უარყო ბუნდისა და ზოგიერთი სოციალ-დემოკრატის მიერ წამოყენებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეა და მის წინააღმდეგ მიმართულ ზემოთ უკვე მოხსენიებულ არგუმენტებს მისთვის დამახასიათებელი ერთი ასეთი „ნაკლიც“ მოუძებნა: კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი და რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში „ნაციონალურად დაქსაქსული“ ერების გაერთიანება „ნიშნავს შეუდგე ერის ხელოვნური ორგანიზაციის საქმეს, ერის კონსტრუირებას. ხოლო შეუდგე ადამიანთა ხელოვნურად შეკრებას ერებად - ეს ნიშნავს დადგე ნაციონალიზმის თვალსაზრისზე“

როგორც ამ მსჯელობიდან გამოდის, ნებსით თუ უნებლიეთ, სტალინი ნაციონალურ უმცირესობათა რუს ერში გათქვეფისა და ასიმილაციის მომხრედაც კი გამოდის და „ნაციონალურად დაქსაქსულ“ ხალხთა „ერად ორგანიზებისა და კონსტრუირების“ ფაქტობრივ მოწინააღმდეგედ გვევლინება.

მისი მტკიცებით, ბოლშევიკური პარტიის უმთავრესი მიზანი ხალხში ნაციონალური თვითშეგნების გამძაფრება კი არ უნდა იყოს, არამედ იმის მიღწევა, „როგორ დავრაზმოთ სხვადასხვა ერის პროლეტარიატი ერთ საერთო პარტიად“ მას პრინციპულად მიუღებლად მიაჩნია მშრომელთა გაერთიანება ეროვნული ნიშნის მიხედვით, ვინაიდან „ამა თუ იმ სახელმწიფოს პროლეტარიატის ეროვნებათა მიხედვით დარაზმვა მხოლოდ კლასობრივი სოლიდარობის იდეის დაღუპვას იწვევს“

1917 წელს ი. სტალინი კიდევ ერთი სტატიით გამოეხმაურა ეროვნულ პრობლემას. ესაა 1917 წლის 13 აგვისტოს „პროლეტარის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი წერილი „კონტრრევოლუცია და რუსეთის ხალხები“ (ტ. 3, გვ. 233-237), რომელშიც აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით ავტორის პარტიული თვალთახედვა შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ჩვენ სრულებითაც არა ვართ წინააღმდეგნი ხალხთა ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანებისა. ჩვენ სრულებითაც არ ვემხრობით დიდი სახელმწიფოების წვრილ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას, ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ წვრილი სახელმწიფოების დიდ სახელმწიფოებად გაერთიანება ერთ-ერთი პირობაა, რომელიც აადვილებს სოციალიზმის განხორციელების საქმეს“

მართალია, ი. სტალინის აღნიშნული დასკვნა განზოგადებული სახითაა ჩამოყალიბებული და ავტორი ამ დასკვნის მიღმა ნაგულისხმევ კონკრეტულ სახელმწიფოებს არ ასახელებს, მაგრამ აქ იგი პირველ ყოვლისა რუსეთის იმპერიას რომ გულისხმობს, ეს ნათლად და არაორაზროვნად ჩანს აღნიშნული წერილის სხვა ადგილებიდან, სადაც რუსეთში ეროვნული თვალსაზრისით არსებული ვითარებაა დახასიათებული.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ იმ ფრთხილ დამოკიდებულებასაც უსათუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელსაც სტალინი „დიდი სახელმწიფოს წვრილ სახელმწიფოებად“ დაქუცმაცების საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკის გატარების დროს მოითხოვს. მისი აზრით, ამდაგვარი დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება უწინარეს ყოვლისა „ნებაყოფლობითი უნდა იყოს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი გაერთიანებაა ნამდვილი და მტკიცე... მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია გააძლიეროს ხალხის ნდობა და მეგობრობა“ და „გზა გაუკაფოს ხალხთა ნამდვილი გაერთიანების საქმეს“

მოკლედ, ასეთია ის უმთავრესი პარტიულ-მსოფლმხედველობრივი პრინციპები, რომლებიც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდელი პერიოდის ი. სტალინის ეროვნულ თვალთახედვას უდევს საფუძვლად.

ნაწილი მეორე

საბჭოთა პერიოდი

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლით, პრინციპულად და არსებითად იცვლება სტალინისა და მისი პარტიის როლი ქვეყნის ბედის წარმართვის საქმეში. ამიერიდან ლენინთან ერთად იგი თავად ხდება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელიცა და რეალურად გამტარებელი უდიდესი ფიგურაც.

ასე რომ, მისი წერილებიცა და სხვადასხვა სახის თავყრილობებზე წარმოთქმული სიტყვებიც იმავდროულად ხელისუფლების თვალსაზრისსაც გამოხატავენ. სახელმწიფოებრივი მმართველობის ყოველ სფეროში, მათ შორის ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის საქმეშიც, სტალინს ქვეყანაში ერთ-ერთი უპირველესი ლიდერის ფუნქცია დაეკისრა. რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იგი გახდა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი და ა. შ.

მის გარეშე ქვეყანაში უკვე აღარ წყდება რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა. ამდენად, სტალინს პრაქტიკულად მიეცა იმის შესაძლებლობა, რეალურად განეხორციელებინა რუსეთში მცხოვრებ ერთა თვითგამორკვევისა და ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრის ის პროგრამა, რომელიც მას და მის პარტიას რევოლუციამდე ჰქონდათ თეორიულად ჩამოყალიბებული.

ქვემოთ შევეცდები, ი. სტალინის თეორიულ ნააზრევზე დაყრდნობით კონკრეტულად ვაჩვენო, ახალ ეპოქალურ სინამდვილეში რეალურად რა გზით წარიმართა სტალინისა და მისი თანაპარტიელების ეროვნული იდეების პრაქტიკული განხორციელების პროცესი.

საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ ხანებში, როცა ომის ქარცეცხლში გახვეული ქვეყნის ხელისუფლების წინაშე მთელი სიმ-

წვავით იდგა ძალაუფლების შენარჩუნების პრობლემა, მის მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკა რამდენადმე ლოიალურია და კომპრომისული. სათანადო სამხედრო ძლიერების არქონის გამო ხელისუფლება მმართველობითი კონტროლის დაწესებას უკვე ვეღარ ახერხებს რუსეთის განაპირა მხარეებზე, რომლებიც თანდათანობით გამოდიან მპყრობელი ქვეყნის შემადგენლობიდან და აქტიურად ემზადებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირებისათვის.

ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა კიდეც ამის გაკეთება, მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ ძალთა პირველი მოკრებისთანავე აქტიურად დაიწყო ბრძოლა იმპერიის ძველ საზღვრებში აღსადგენად და ჩამოშორებული ქვეყნების კვლავ დასამორჩილებლად.

ყოველივე ამაზე ყურადღებას თავიდანვე იმიტომაც ვამახვილებ, რომ ამ პოლიტიკის მთავარი შემოქმედი და წარმმართველი ლენინთან ერთად სტალინიც იყო.

ვითარების არსში უკეთ გასარკვევად მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

ფინეთის საკითხი

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ფინეთი რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. დამოუკიდებლობადაკარგული ფინელი ხალხი აქტიურად იბრძოდა სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვებისათვის. ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ ამ ბრძოლამ კიდევ უფრო მეტი მასშტაბები შეიძინა. ი. სტალინს არაერთგზის დაუჭერია მხარი ფინელი ხალხის ამ ბრძოლისათვის და არაორაზროვნად მოუთხოვია ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, 1917 წლის 14 ნოემბერს, ამ პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტის მიზნით, ქალაქ ჰელსინგფორსში სტალინმა მონაწილეობა მიიღო ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობაში, სადაც უკ-

ვე ოფიციალურად განაცხადა, რომ ის და მისი პარტია არაორაზროვნად უჭერდნენ მხარს ფინეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

ამასთან ერთად, თავის სიტყვაში სტალინმა ის პიროვნებანიც მკაცრად გააკრიტიკა, რომლებიც თვლიდნენ, რომ 2 ნოემბერს ლენინისა და მისი ხელმოწერით მიღებული დოკუმენტი - „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია" რუსეთს „მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დააქუცმაცებდა" და „სახალხო კომისართა მიერ გამოცხადებული ერთა თვითგამორკვევის უფლება „დამღუპველი შეცდომა" იყო რუსეთისათვის. სტალინი კატეგორიულად არ ეთანხმება ამ აზრს და აცხადებს, რომ „ჩვენ დემოკრატები არ ვიქნებოდით (აღარას ვამბობ სოციალიზმზე!), რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება რომ არ გვეცნო. მე ვაცხადებ - ჩვენ სოციალიზმს ვუღალატებდით, ყველა ზომა რომ არ მიგვეღო ფინეთისა და რუსეთის მუშებს შორის ძმური ნდობის აღსადგენად. მაგრამ ყველამ იცის, რომ თუ გადაჭრით აღიარებულ არ იქნა ფინელი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება, ასეთი ნდობის აღდგენა წარმოუდგენელია. და აქ მნიშვნელოვანია ამ უფლების არა მარტო სიტყვიერი, თუნდაც ოფიციალური, აღიარება. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სიტყვიერი აღიარება საქმით იქნება დადასტურებული სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, რომ იგი უყოყმანოდ გატარდება ცხოვრებაში, ვინაიდან სიტყვების დრო წავიდა" (ი. სტალინი, თხზ. ტ. 4, 1948 წ. გვ. 3-4).

და აი, სტალინმა, როგორც რუსეთის ახალი ხელისუფლების ერთ-ერთმა ლიდერმა, დეკლარაციულად ამცნო ფინელი სოციალ-დემოკრატების ყრილობას მისი ხელისუფლების გადაწყვეტილება: „თავისი ცხოვრების მოწყობის სრული თავისუფლება ფინელი ხალხისათვის, ისე როგორც რუსეთის სხვა ხალხებისათვის! ფინელი ხალხის ნებაყოფლობითი და პატიოსანი კავშირი რუს ხალხთან! არავითარი მეურვეობა, არავითარი ზედამხედველობა ფინელ ხალხზე! ასეთია სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო საწყისები" (იქვე, გვ. 4).

ი. სტალინის ამ განცხადებას სულ მალე ოფიციალური გადაწყვეტილებაც მოჰყვა - 1917 წლის 18 დეკემბერს ლენინმა და სტალინმა ხელი მოაწერეს დეკრეტს ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ, 22 დეკემბერს კი სტალინი ფინეთის დამოუკიდებლობის თაობაზე უკვე მოხსენებითაც გამოდის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე.

ფინეთის პრობლემის ამდაგვარი გადაწყვეტით ახალი ხელისუფლება შეეცადა კონკრეტულად დაენახვებინა მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც, რომ იგი რეალურად იწყებდა მის მიერ სიტყვიერად ნაქადაგევი ეროვნულ-დემოკრატიული პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას.

უკრაინის საკითხი

როგორც ცნობილია, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კლასობრივ-პარტიული ინტერესების მკვეთრი განსხვავებულობის გამო განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება რუსეთის ახალ ხელისუფლებასა და უკრაინის რადას შორის. სტალინი აქტიურად ჩაერთო ამ პრობლემის მოგვარების საქმეში და ყველანაირად ცდილობდა უკრაინასთან გამწვავებული ურთიერთობის ნორმალიზებას. ამ მიზნით, მისი ინიციატივით, 1917 წლის 16 ნოემბერს სახკომსაბჭომ საგანგებო გადაწყვეტილება მიიღო უკრაინელი ხალხისთვის კუთვნილ ისტორიულ ფასეულობათა გადაცემის შესახებ.

სხვადასხვა სახის თავყრილობებზე წარმოთქმულ სიტყვებსა და პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში სტალინი კონკრეტულად განმარტავს უკრაინასთან ეროვნულ საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტის განმაპირობებელი მიზეზების არსს და სათანადო მითითებებს იძლევა მათ მოსაგვარებლად. იგი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ რადასთან კონფლიქტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გაგებული, „როგორც კონფლიქტი უკრაინელ

ხალხსა და რუს ხალხს შორის... უკრაინელ ხალხსა და რუს ხალხს შორის კონფლიქტი არ არის და არც შეიძლება იყოს" (ი. სტალინი, თხზ. ტ. 4, 1948 წ. გვ. 7).

1917 წლის 13 დეკემბერს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულ წერილში „პასუხი ამხანაგ უკრაინელებს ზურგში და ფრონტზე" სტალინმა კიდევ ერთხელ განაცხადა ხაზგასმით, რომ „სახალხო კომისართა საბჭო თავიდანვე იდგა და კვლავ დგას თავისუფალი თვითგამორკვევის თვალსაზრისზე. მას იმის საწინააღმდეგოც კი არაფერი აქვს, რომ უკრაინელი ხალხი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოიყოს. მან ეს რამდენჯერმე განაცხადა ოფიციალურად" (იქვე, გვ.8).

მაგრამ, მიუხედავად ამდაგვარი განცხადებისა, რომელიც უკრაინელ ხალხს სიტყვიერად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების უფლებასაც კი აძლევდა, იქვე ი. სტალინი იმასაც გარკვევით აღნიშნავს, რომ სახალხო კომისართა საბჭო არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება რადას გენერალური სამდივნოს სურვილს - უკრაინელი ხალხის ნებად გამოცხადდეს „კაზაკთა გენერლების კონტრრევოლუციური თარეში" სტალინის შეფასებით, ამ შემთხვევაში რადას „გენერალური სამდივნო თვითგამორკვეობიას თამაშობს და ამ თამაშით ფარავს თავის კავშირს კალედინთან და როძიანკოსთან ჩვენ, - ამბობს იგი, - მხარს ვუჭერთ ხალხთა თვითგამორკვევას, მაგრამ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ თვითგამორკვევის დროშით კონტრაბანდულად გააპარონ თვითმპყრობელობა კალედინისა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ფინეთის ჩახრჩობას მოითხოვდა" (იქვე, გვ.8).

როგორც ციტირებული ფრაგმენტითაც ჩანს, სტალინი ერთსა და იმავე დროს რუსეთის შემადგენლობიდან უკრაინის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფასაც უჭერს მხარს და ამ გამოყოფის ფაქტობრივ მოწინააღმდეგედაც გამოდის. ამ ორი რადიკალურად განსხვავებული პოზიციიდან სინამდვილეში იგი მეორე თვალსაზრისს რომ იცავდა მტკიცედ და უალტერნატივოდ, ეს მოვლენათა შემდგომმა განვითარებამაც და ამ მოვლენებში მისმა აქტიურმა მონაწილეობამაც ნათლად დაადასტურა. როგორც ახალი ხელისუფლების ერთ-ერთმა

უპირველესმა ლიდერმა, მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უკრაინა, ისევე როგორც მეფის რუსეთის შემადგენლობაში შემავალი სხვა ქვეყნები, რეალურად კვლავ მის დაქვემდებარებაში დარჩენილიყვნენ.

ამიტომაც მისი განცხადება - სახალხო კომისართა საბჭო „მზად არის სცნოს რუსეთის ყოველი ნაციონალური ოლქის რესპუბლიკა, თუ ეს ამ ოლქის მშრომელ მოსახლეობას სურსო", - ფაქტობრივად, სიტყვიერი დაპირება უფროა, ვიდრე რეალობა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე ნათლად და არაორაზროვნად მეტყველებს საბჭოთა რუსეთის მიერ მის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მიმართ ღიად თუ შენიღბულად გატარებული მოდერნიზებული იმპერიული პოლიტიკა.

მიუხედავად საბჭოთა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების აქტიური მცდელობისა, როგორც ცნობილია, უკრაინამ დროებით მაინც შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებს და ‹ ‹ მცხოვრები არარუსი ხალხები აქტიურად იბრძვიან რუსეთისგან გამოსაყოფად. ეს პროცესი განსაკუთრებით მძაფრად მიმდინარეობდა კავკასიაში, რაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები გაჩაღდა აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაშიც. 1918 წლის 23 მაისს კიევში გამართულ რუსეთისა და უკრაინის გეტმანური მთავრობის წარმომადგენელთა საზავო კონფერენციაზე უკრაინამ რუსეთს ოფიციალურად ამცნო, „დონისა და ჩრდილოეთ კავკასიის „მთავრობების" გადაწყვეტილება რუსეთიდან მათი გამოყოფისა და „უკრაინულ-გერმანულ მთავრობასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ" (ტ. 4, გვ. 112).

სტალინი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „სამხრეთ რუსეთის ამდაგვარი მითური „მთავრობების" წარმოშობის" „ოფიციალურ მფარველად უკრაინის გეტმანის მთავრობა გამოდიოდა,

რომელიც მხოლოდ გუშინ გაჩნდა წყალობითა... ყოველ შემთხვევაში არა ხალხისათა“ და მუქარაგარეული ტონით კითხულობდა: „რა უფლებით ბედავს უკრაინის დელეგაცია ასე ელაპარაკოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც თავისუფლად არჩეულია რუსეთის ფედერაციის ათეულმილიონობით მოსახლეობის მიერ და რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა, სხვათა შორის, დონის, კუბანის, შავი ზღვის მხარის, თერგის ფართო საოლქო საბჭოები, ამ ოლქების მილიონობით მოსახლეობის მიერ არჩეულნი?“

როგორც ცნობილია, სამხრეთ რუსეთად მონათლულ დასახელებულ რეგიონებში მოვლენათა ამდაგვარ განვითარებას სამოქალაქო ომის შემდგომი გამძაფრება მოჰყვა, რაც საბოლოოდ საბჭოთა რუსეთის გამარჯვებითა და ამ რეგიონების კვლავ რუსეთის შემადგენლობაში შეყვანით დამთავრდა.

ახალი რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სტალინური გეგმა

როგორც უკვე ვნახეთ, ი. სტალინი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც ბევრს ფიქრობდა რუსეთის განახლებული სახელმწიფოს ისეთი მოდელის შექმნაზე, რომელიც ამ ქვეყნის ხალხთა წინაშე მწვავედ მდგარ ეროვნულ პრობლემებს გადაწყვეტდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ამ პრობლემამ თეორიული განსჯის სფეროდან უკვე პრაქტიკული გადაწყვეტის სფეროში გადაინაცვლა და განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად აქტიურად დაწყებული რუსეთის იმპერიის რღვევის პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა და მასშტაბური გახადა უმძიმესმა საშინაო და საგარეო ვითარებამ.

არარუსი ეროვნებებით დასახლებული განაპირა რეგიონები ნელ-ნელა და თანდათანობით გამოდიოდნენ რუსული სახელმწიფოს დაქვემდებარებიდან და აქტიურად ემზადებოდნენ დამოუკი-

დებელი სახელმწიფოების შესაქმნელად. ეს პროცესი რამდენიმე რეგიონში წარმატებით დაგვირგვინდა კიდეც, მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება ამ ფაქტს ვერაფრით ურიგდებოდა და ყველაფერს აკეთებდა რუსეთის იმპერიის მოდერნიზებული ფორმით შესანარჩუნებლად ძველ საზღვრებში.

ამ საქმის თავკაცობა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებიდან მეორე დღესვე, 26 ოქტომბერს, ლენინმა სტალინს დაავალა, როდესაც იგი რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად დაამტკიცა. ამ დროიდან მოყოლებული სტალინი კიდევ უფრო ენერგიულად ჩაერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში. მისი, როგორც ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის, მოღვაწეობა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა: ერთის მხრივ, იგი აქტიურად ცდილობდა მრავალეროვნული რუსული სახელმწიფოს ყველაზე მისაღები და ოპტიმალური მოდელის შექმნას. მეორეს მხრივ კი ენერგიულად თავკაცობდა იმ პრობლემათა სასწრაფოდ და ოპერატიულად გადაჭრა-მოგვარებას, რომლებმაც რუსეთის იმპერიის ცალკეულ ნაციონალურ რეგიონებში იჩინეს თავი.

ქვემოთ შევეცდები, მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შევუქმნა ახალი რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის იმ მოდელზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებშივე წამოაყენა სტალინმა.

ამ თვალსაზრისით პირველი სერიოზული განცხადება მან 1918 წლის 10-18 იანვარს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე გამოსვლების დროს გააკეთა. 15 იანვარს ეროვნულ საკითხზე გაკეთებულ მოხსენებაში სტალინმა კიდევ ერთხელ ისაუბრა ნაციონალური ჩაგვრისა და რუსიფიკაციის იმ პოლიტიკაზე, რომელსაც მეფის მთავრობა ატარებდა რუსეთში. მისი თქმით, მართალია, „კერენსკის კოალიციურმა მთავრობამ მოსპო ეს ნაციონალური ზღუდეები, მაგრამ, თავისი კლასობრივი ხასიათის გამო, მას არ შეეძლო მთელი სისრულით გადაეჭრა ნაციონალური საკითხი“ (ი. სტალინი, თხზ. ტ. 4, 1948 წ. გვ. 33). უმთავრესი ბრალდება, რომელიც სტალინმა კოალიციურ მთავ-

რობას წაუყენა, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი „არა თუ არ დაადგა ერთა სრული განთავისუფლების გზას, არამედ ბევრ შემთხვევაში რეპრესიული ზომების მიღებასაც არ ერიდებოდა ნაციონალური მოძრაობის დასათრგუნად“.

მათგან განსხვავებით, ეროვნული პრობლემის გადაწყვეტამ რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში, სტალინის აზრით, რეალური ხასიათი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად მიიღო. ახალმა ხელისუფლებამ „აშკარად გამოაცხადა ყველა ერის თვითგამორკვევის უფლება რუსეთიდან სრულ გამოყოფამდე“ და ამ მხრივ იგი „უფრო რადიკალური აღმოჩნდა, ვიდრე ნაციონალური ჯგუფებიც კი ზოგიერთი ერის შიგნით“

ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ამდაგვარმა დეკლარირებამ მწვავედ დასვა რუსეთში მცხოვრებ ხალხთა სამომავლო ბედის გარკვევისა და პრაქტიკული გადაწყვეტის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მათგანმა მართლაც ისარგებლა პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული ამ უფლებით და აქტიურად გადადგა პირველი მყარი ნაბიჯები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, როგორც მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა, საქმე ასე მარტივად არ იყო და სიტყვიერი განაცხადი და რეალური ვითარება ნაკლებად შეესაბამებოდა ერთმანეთს.

სტალინმა ერთა თვითგამორკვევის უფლების ზემოთ დამოწმებულ თვალსაზრისს იქვე ასეთი განმარტებაც მიაყოლა: „თვითგამორკვევის პრინციპი სოციალიზმისათვის ბრძოლის საშუალება უნდა იყოს და სოციალიზმის პრინციპებს უნდა ექვემდებარებოდესო“ (გვ. 35).

ერთა თვითგამორკვევის უფლების სოციალიზმის პრინციპებისათვის დაქვემდებარება კი სულაც არ გულისხმობდა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე „წვრილ-წვრილი სახელმწიფოების“ შექმნას.

მაშ, სად იყო გამოსავალი? ი. სტალინის აზრით, ამ ეტაპზე ეროვნული პრობლემის ყველაზე ოპტიმალური და გონივრული გადაჭრის გზა რამდენიმე თვის წინათ თავად მის მიერ მკაცრად გაკრიტიკებული და დაგმობილი ფედერალიზმი იყო. განსხვავებით ადრინ-

დელი თვალსაზრისისაგან, ახალ ვითარებაში ნაციონალური რეგიონებისათვის ფედერალური ავტონომიის მინიჭება სტალინს რუსეთის ახალი სახელმწიფოს შექმნის ყველაზე მისაღებ მოდელად მიაჩნდა.

სწორედ ამდაგვარი პროექტი წარუდგინა მან საბჭოების მესამე ყრილობას განსახილველად. ამ პროექტში ნათლად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფოს შექმნის ფუძემდებლური პრინციპები. კერძოდ, სტალინის აზრით, რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა უნდა დაარსებულიყო „რუსეთის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე, როგორც ამ ხალხების საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია" ხელისუფლების უმაღლესი ორგანო უნდა ყოფილიყო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელიც აირჩევდა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ფედერალურ მთავრობაში საბ.ითა რესპუბლიკებად გარდაქმნილი „იმ ცალკეული ოლქების მონაწილეობის წესს, რომლებიც განსაკუთრებული ყოფაცხოვრებითა და ნაციონალური შემადგენლობით განირჩეოდნენ, სტალინის აზრით, შექმნისთანავე განსაზღვრავდნენ რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები" (იქვე, გვ. 35-36).

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ორგანიზაციის საკითხები კიდევ უფრო დაკონკრეტებული სახით განმარტა სტალინმა გაზეთ „პრავდის" თანამშრომელთან საუბარში („პრავდა", 1918 წ. 3 და 4 აპრილი. იხ. თხზ. ტ. 4, გვ. 72-79). მან კვლავ გაიხსენა ერთ-ერთ ადრინდელ წერილში უკვე დამოწმებული და კრიტიკულად დახასიათებული ამერიკული და შვეიცარული ფედერალიზმი და იქაური ფედერაციებისაგან განსხვავებით, რუსეთში გამოყოფილი ოლქები „ყოფაცხოვრებისა და ნაციონალური შემადგენლობის მხრივ სავსებით გარკვეულ ერთეულებად" მიიჩნია. მისი აზრით, სწორედ ასეთ ერთეულებს წარმოადგენდნენ უკრაინა, ყირიმი, პოლონეთი, ამიერკავკასია, თურქისტანი, შუა ვოლგისპირეთი და ყირგიზეთის მხარე. სტალინის თქმით, „ეს ოლქები შეადგენდნენ არა თა-

ვისუფალ და დამოუკიდებელ ტერიტორიებს, არამედ მთელი რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმში ძალადობით ჩაჭედილ ერთეულებს, რომლებიც ახლა მიისწრაფიან მიიღონ მოქმედების თავისუფლება ფედერაციული ურთიერთობის ან სრული დამოუკიდებლობის სახით"

ფედერალური პრინციპის საფუძველზე რუსეთის ახალი სახელმწიფოს მოწყობის უმთავრეს სიკეთეს სტალინი იმაში ხედავდა, რომ ფედერალურ ოლქებად გამოყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხები „განთავისუფლდებოდნენ ძველი იმპერიალისტური ჩაგვრისაგან" სტალინის თქმით, ეს იქნებოდა გზა „უნიტარიზმიდან ფედერალიზმისაკენ" ე. ი. მეფის რუსეთის უნიტარული სახელმწიფო ამით ისეთ ფედერაციულ რესპუბლიკად გარდაიქმნებოდა, რომლის მრავალეროვანი მოსახლეობის ეროვნული ინტერესები აღარ შეიბღალებოდა.

უმთავრესი განსხვავება, რომელიც რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთის ქვეყნების ფედერაციებს შორის იარსებებდა, სტალინის განმარტებით, ის იქნებოდა, რომ ამერიკა-შვეიცარიაში უბრალო ტერიტორიული პრინციპით შექმნილ ფედერალურ ერთეულებს აქ ეროვნულ საფუძველზე შექმნილი ოლქები შეცვლიდნენ, რომლებიც ერთმანეთისაგან „განსხვავდებოდნენ როგორც განსაკუთრებული ყოფაცხოვრებით, ისე ნაციონალური შემადგენლობით"

ხსენებულ ინტერვიუში სტალინმა სახელდებულად დაასახელა რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცალკე ერთეულებად გასაერთიანებელი სუბიექტები. მისი აზრით, ესენი იქნებოდნენ: პოლონეთი (რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა), უკრაინა, ფინეთი (1917 წლის 18 დეკემბრის დეკრეტით, რომელსაც ლენინი და სტალინი აწერენ ხელს, მართალია, ფინეთს უკვე მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ სტალინს იგი მაინც შეჰყავს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში), ყირიმი, ამიერკავკასია (სტალინის აზრით, გამორიცხული არ იყო შესაძლებლობა, რომ ამიერკავკასია გარკვეულ ნაციონალურ-ტერიტორიულ ერთეულებადაც დაყოფილიყო. კერ-

ძოდ, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანელი თათრებისა და სხვ.), თურქისტანი, ყირგიზეთის მხარე, თათარ-ბაშკირთა ტერიტორია, ციმბირი და სხვ.

ი. სტალინის აზრით, ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გამიჯნულიყო სახალხო კომისართა ცენტრალური საბჭოს მოქმედების სფერო და ფედერირებული ოლქებისა და ნაციონალური უმცირესობების უფლებანი. კერძოდ, სახალხო კომისართა ცენტრალური საბჭოს უფლებამოსილების სფეროში უნდა დარჩენილიყო ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა: „სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საქმე, საგარეო საქმეები, რკინიგზები, ფოსტა და ტელეგრაფი, ფული, სავაჭრო ხელშეკრულებანი, საერთო ეკონომიური, საფინანსო და საბანკო პოლიტიკა... მთელი დანარჩენი საქმეები და, უწინარეს ყოვლისა, საერთო დეკრეტების გატარების ფორმები, სკოლა, სამართალწარმოება, ადმინისტრაცია და სხვ. საოლქო სახკომსაბჭოს ხელში უნდა გადასულიყო“ (ტ. 4, გვ. 76).

ერთა თანასწორუფლებიანობის რეალური დამკვიდრების აუცილებელ პირობად სტალინს ისიც მიაჩნდა, რომ „არავითარი სავალდებულო „სახელმწიფო“ ენა - არც სამართალწარმოებაში, არც სკოლაში“ არ უნდა არსებულიყო და თვითეულ ოლქს თავად უნდა აერჩია ის ენა, რომელიც ამ ოლქის მოსახლეობის შემადგენლობას შეეფერებოდა. ამასთან, დაცული უნდა ყოფილიყო როგორც უმცირესობათა, ისე უმრავლესობათა ენების სრული თანასწორუფლებიანობა ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დაწესებულებებში.

როგორც ამ განმარტებებიდაც ნათლად ჩანს, ახალი რუსეთის სახელმწიფოებრივ-ფედერაციული მოწყობის სტალინური მოდელი თეორიული თვალსაზრისით მეფის რუსეთის დროინდელ რეალობასთან შედარებით აშკარად პროგრესული იყო და საკმაოდ იცავდა არარუსი მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს. მართალია, იგი ბოლომდე არ შეესატყვისებოდა თავად სტალინის მიერ ადრე არაერთგზის აღიარებულ უზენაეს ეროვნულ პრინციპს ერებისათვის სრული და შეუზღუდველი თვითგამორკვევის უფლების მიცემის შე-

სახებ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მასში ბევრი რამ მაინც იყო უთუოდ პროგრესული და თუნდაც დღევანდელი თვალთახედვითაც აშკარად მისაღები.

არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, როგორც ცნობილია, სტალინის მიერ წამოყენებული სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის გეგმა კიდევ უფრო დაიხვეწა, ახალ სახელმწიფოში შესაყვანი ფედერალური ერთეულები თავიანთი სტატუსით ფორმალურად ერთმანეთს გაუთანაბრეს და საბოლოოდ ახლად შექმნილ ქვეყანას სახელად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უწოდეს.

მაგრამ, როგორც რეალური ისტორიული სინამდვილე გვიჩვენებს, ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკათა სრული თანასწორუფლებიანობა და სუვერენიტეტი ძირითადად მხოლოდ სიტყვიერ დეკლარაციად დარჩა და ახლად შექმნილი სახელმწიფო ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა.

მართალია, თვითმპყრობელური რუსეთისაგან განსხვავებით, ამ იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები ბევრად უკეთ იყო დაცული და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სახელდებულ ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებს სიტყვიერად სსრ კავშირიდან გამოყოფის შეუზღუდველი უფლებაც კი ჰქონდათ მინიჭებული, მაგრამ როგორც მოვლენათა ისტორიულმა განვითარებამ დაადასტურა, რესპუბლიკებისათვის კონსტიტუციურად მინიჭებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უფლებები და რეალური ვითარება ხშირად რადიკალურადაც კი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ რუსეთის ახალი სახელმწიფოს შექმნის სტალინურ მოდელს. მიუხედავად რუსეთში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნული უფლებების დაცვის გარანტიების მოთხოვნისა, ქვეყნის ფედერალური მოწყობის სტალინური გეგმა არც პარტიული ტენდენციურობისგანაა დაზღვეული და არც იმპერიული მიზანსწრაფულობისაგან. კერძოდ, საუბრობს რა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს - საბჭოების ყრილობის, და მისი შემცვლელი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

არჩევის წესზე, სტალინი პრინციპულად მოითხოვს, „გამოვეთხოვოთ ბურჟუაზიულ ცრურწმენას საყოველთაო საარჩევნო უფლების „პრინციპის“ აუცილებლობის შესახებ“ და საარჩევნო უფლება მოსახლეობის მხოლოდ იმ ფენებს მივცეთ, რომლებიც „ექსპლოატაციას განიცდიან ან, ყოველ შემთხვევაში, სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან. ეს არის პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბთა დიქტატურის ფაქტის ბუნებრივი შედეგი“ (ტ. 4, გვ. 77).

რაც შეეხება ფედერაციული მმართველობის სამომავლო პერსპექტივას, სტალინის აზრით, იგი რუსეთში მხოლოდ გარდამავალი საფეხური იქნება სოციალისტური უნიტარიზმისაკენ. მისი თქმით, ფედერალიზმმა ამდაგვარი როლი რუსეთზე ადრე ამერიკაში, შვეიცარიასა და კანადაში შეასრულა. ერთ დროს ფედერალიზმის საფუძველზე შექმნილი ეს ქვეყნები სტალინის შეფასებით აწ უკვე უნიტარულ სახელმწიფოებად არიან გარდაქმნილნი. ასე რომ, ფედერალიზმი მათთვის მხოლოდ „გარდამავალი საფეხური აღმოჩნდა დამოუკიდებლობიდან იმპერიალისტური უნიტარიზმისაკენ“

სტალინი თვლის, რომ დაახლოებით ანალოგიური პროცესი წარიმართება რუსეთშიც. მართალია, აქ „იძულებით ცარისტულ უნიტარიზმს ნებაყოფლობითი ფედერალიზმი სცვლიდა“, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო, ვინაიდან „დროთა განმავლობაში ფედერალიზმი აქ ადგილს დაუთმობდა რუსეთის ყველა ერისა და ტომის მშრომელი მასების ნებაყოფლობით და ძმურ გაერთიანებას“ ასე რომ, სტალინის რწმენით, ფედერალიზმს რუსეთში მხოლოდ გარდამავალი როლი უნდა შეესრულებინა „მომავალი სოციალისტური უნიტარიზმისაკენ“

ასე რომ, სოციალისტური უნიტარიზმის ამდაგვარი აღიარებით სტალინმა ფაქტობრივად თავადვე გამოაცალა საფუძველი ეროვნული თვითმყოფადობისა და თავისთავადობის განმსაზღვრელი ნიშანთვისებების დაცვის მისეულ პრინციპებს.

სტალინი პრინციპულად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ავტონომიას და ნაციონალური პრობლემის გადაჭრას იარაღის გზით მოითხოვს. მისი შეფასებით,

„ეს გზა სრულიად უვარგისია საბჭოთა ხელისუფლებისათვის". ამ-დაგვარი პოლიტიკის გატარებას „შეუძლია მხოლოდ დარაზმოს მა-სები ბურჟუაზიულ-ნაციონალური ზედაფენების გარშემო, ხოლო ეს ზედაფენები ხალხს მოაჩვენოს „სამშობლოს" მხსნელ ებად, „ე-რის" დამცველებად, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება საბჭოთა ხელისუფლების ვარაუდებს" (იქვე, გვ. 82).

ასე რომ, სტალინის აზრით, ეროვნული პრობლემის გონივრუ-ლი გადაწყვეტის გზაზე „საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცა-ნას" ავტონომიის უარყოფა კი არა, მისი აღიარება წარმოადგენს.

ამიტომაც იყო, რომ სტალინი ოქტომბრის რევოლუციის პირ-ველ წლებში არაერთი ავტონომიის შექმნის აქტიური ინიციატივით გამოვიდა. ადრინდელი პერიოდისაგან განსხვავებით, ამჯერად იგი მრავალგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ნაციონალურ სა-ფუძველზე დამყარებული ამდაგვარი ავტონომიების შექმნის „იდეა ოქტომბრის რევოლუციის თვით არსებობიდან გამომდინარეობს", ვინაიდან „ამ რევოლუციამ თავისუფლება მისცა ეროვნებებს" (იქვე გვ. 92).

ობიექტურობა მოითხოვს აქვე ისიც ითქვას, რომ სტალინის გა-მოსვლებში ზოგჯერ რეალური ვითარების მიზანმიმართულ გაყალბებასთანაც გვაქვს ხოლმე საქმე. მაგალითად, თათრეთ-ბაშ-კირეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამფუძნებელი ყრილობის მოსაწ-ვევად გამართულ თათბირზე, 1918 წლის 10 მაისს წარმოთქმულ სიტყვაში მან თათბირის მონაწილეებს ასეთი ინფორმაცია მიაწო-და: საბჭოების III ყრილობის ცნობილი გადაწყვეტილების საფუძ-ველზე „რუსეთი მოსახლეობის განსაკუთრებული ყოფაცხოვრებითა და შემადგენლობით განსხვავებული ავტონომიური ოლქების ფედე-რაციად გამოცხადდა...

ყველა ოლქიდან, ვგონებ, მხოლოდ ფინეთმა და უკრაინამ გა-მოსთქვეს გარკვეულად აზრი... დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. და მას შემდეგ, რაც სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნდა, რომ ამ ქვეყნების არა მარტო ბურჟუაზია, არამედ პროლეტარული ელე-

მენტებიც დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფიან, - მათ, ამ ქვეყნებმა, დაუბრკოლებლივ მიიღეს, რასაც მოითხოვდნენ.

რაც შეეხება სხვა ოლქებს, მათი მშრომელი ელემენტები რამდენადმე ინერტული აღმოჩნდნენ ნაციონალური მოძრაობის საკითხებში" (იქვე, გვ. 93).

აქ მოწვდილი ინფორმაცია რომ ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს, სხვებს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ამიერკავკასიის ქვეყნების მაგალითითაც ნათლად დასტურდება. როგორც ცნობილია, 1918 წლის მაისის თვე, როცა სტალინი ზემოთ მოხსენიებული თათბირის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას, ფაქტობრივად დამამთავრებელი ეტაპი გამოღგა რუსეთის იმპერიიდან იმხანად უკვე ჩამოშორებული ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის ცალკე სახელმწიფოებად გამოცხადებისათვის.

სტალინი ერთმანეთისაგან განარჩევს ავტონომიის ორ ტიპს. პირველი ესაა „პირწინდად ნაციონალისტური" ავტონომია, რომელიც „აგებულია ექსტერიტორიულად, ნაციონალიზმის საფუძვლებზე" მისი აზრით, ამდაგვარი ავტონომიებისათვის დამახასიათებელია „მოსახლეობის გამიჯვნა ნაციონალურ კურიებად, ამასთან გარდუვალი ნაციონალური შუღლი"

პრინციპულად ეწინააღმდეგება რა ავტონომიის აღნიშნულ ტიპს, სტალინი აყენებს მისგან არსებითად განსხვავებული „სხვა ტიპის ავტონომიას, სადაც ერთი ან რამდენიმე ეროვნება სჭარბობს. არავითარი ნაციონალური კურია, არავითარი ნაციონალური ზღუდე! ავტონომია საბჭოური უნდა იყოს, დეპუტატთა საბჭოებზე დამყარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ოლქში ადამიანთა გამიჯვნა უნდა მოხდეს არა ნაციონალური ნიშნის, არამედ კლასობრივი ნიშნის მიხედვით" (იქვე, გვ. 95).

როგორც ვხედავთ, დამოწმებული დებულებით სტალინი ფაქტობრივად კვლავ მიუბრუნდა საოლქო ავტონომიის იმ იდეას, რომელიც მან ოქტომბრის რევოლუციამდე წამოაყენა და რომლის შექმნასაც საფუძვლად ეროვნულ ფაქტორზე მეტად ტერიტორიულ-გეოგრაფიული პრინციპი უნდა დასდებოდა.

კლასობრივ-პარტიული ინტერესებისადმი უღალატო ერთგულებამ სტალინს კიდევ ერთხელ დაასმევინა დღის წესრიგში „საერთო-რუსეთის ძლიერი ხელისუფლების“ შექმნის პრობლემა. მისი თქმით, „ძველი, კაპიტალისტური სამყაროს ნგრევისა და ახალი, სოციალისტური სამყაროს მშენებლობის მომენტში ქვეყანას ესაჭიროებოდა“ ისეთი ძალაუფლების მქონე ხელისუფლება, რომელსაც „უნარი ექნებოდა საბოლოოდ გაენადგურებინა სოციალიზმის მტრები და მოეწყო ახალი, კომუნისტური მეურნეობა“ სტალინის აზრით, ეს ფუნქცია ქვეყანაში პირველ ყოვლისა პროლეტარიატის დიქტატურას უნდა შეესრულებინა.

„ასეთ მომენტში ცენტრალური ხელისუფლების პარალელურად ხელისუფლების ადგილობრივი და საოლქო სუვერენული ორგანოების შექმნა, სტალინის რწმენით, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სინამდვილეში ყოველგვარი ხელისუფლება დარღვეულიყო და უკან დავბრუნებოდით კაპიტალიზმს“ (იქვე, გვ. 96-97). ამიტომაც მოითხოვს იგი „ცენტრალური ხელისუფლებისათვის მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ყველა ფუნქციის დატოვებას“, საოლქო ორგანოების უფლებამოსილებას კი მხოლოდ „წმინდა საოლქო ხასიათის საკითხებით, უმთავრესად ისეთ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და კულტურული ფუნქციებით“ შემოფარგლავს, როგორებიცაა: სკოლა, სასამართლო, ადმინისტრაცია, აუცილებელი პოლიტიკური ღონისძიებანი, ნაციონალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაბამისად საერთო დეკრეტების გატარების ფორმები და საშუალებანი....

სტალინის აზრით, სწორედ ამდაგვარი უნდა ყოფილიყო „ავტონომიის ის ტიპი“, რომლის შექმნის აუცილებლობასაც იმჟამინდელ „გარდამავალ მომენტში“ მოითხოვდა „როგორც პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ინტერესები, ისე რუსეთის ყველა ერის პროლეტართა საერთო ბრძოლა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან, იმპერიალიზმის ამ უკანასკნელ დასაყრდენთან“ (გვ. 97).

როგორც ითქვა, რუსეთის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად ფედერალიზმის აღიარებით სტალინი ფაქტობრივად ცხადად და არაორაზროვნად ეწინააღმდეგება იქ მცხოვრები

ხალხების მიერ საკუთარი სახელმწიფოების შექმნას და რუსეთისგან გამოყოფას. ქვეყნის განაპირა მხარეების ამდაგვარ მოთხოვნას იგი „კონტრრევოლუციურ წამოწყებას“ უწოდებს და პირდაპირ ამბობს, რომ, როცა საქმე „ანტანტისგან ინდოეთის, არაბეთის, ეგვიპტის, მაროკოს და სხვა კოლონიების გამოყოფას“ შეეხება, იგი ამას უყოყმანოდ უჭერს მხარს, „ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოყოფა ნიშნავს ამ ჩაგრული ქვეყნების განთავისუფლებას იმპერიალიზმისაგან“, მაგრამ როდესაც საქმე „რუსეთისაგან მისი განაპირა მხარეების გამოყოფაზე“ მიდგება, ის და მისი პარტია ამ პროცესის კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან, ვინაიდან „ამ შემთხვევაში გამოყოფა ნიშნავს იმპერიალისტურ მონობას განაპირა მხარეებისათვის, რუსეთის რევოლუციური ძლიერების შესუსტებას, იმპერიალიზმის პოზიციების გაძლიერებას“ (იქვე, გვ. 405-406).

ასე მიჰყავს ავტორი კლასობრივ-პარტიული პრინციპებისადმი განუსჯელ ერთგულებას ორი სტანდარტის, ორი ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისის ნებსით თუ უნებლიე აღიარებამდე.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად და დამაჯერებლად დაესაბუთებინა განაპირა მხარეების რუსეთისაგან გამოყოფისა და ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბების პროცესის სრული მიზანშეუწონლობა, სტალინს კონკრეტული მაგალითებიც ხშირად მოჰყავს. მისი აზრით, სწორედ ასეთი ბედი ხვდათ წილად „რუსეთისაგან გამოყოფილ საქართველოს, სომხეთს, პოლონეთს, ფინეთს და სხვ., რომლებმაც მხოლოდ მოჩვენებითი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, ნამდვილად კი ანტანტის აშკარა ვასალებად გადაიქცნენ (იქვე, გვ. 384). მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, სტალინის შეფასებით, „მხოლოდ მაცდური მოჩვენებაა, რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების დამოკიდებულებას იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან“

გარდა ავტონომიის ზემოთ დასახელებული ფორმებისა, სტალინი ცალკე გამოყოფს აგრეთვე საბჭოთა საოლქო ავტონომიის სხვა სახეობებსაც. მიაჩნია რა, რომ „საბჭოთა ავტონომია არ არის გაყინული და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ“, ი. სტალინის აზ-

რით, იგი შეიძლება იყოს „ვიწრო, ადმინისტრაციული“ სახისა (ვოლგისპირეთის გერმანელები, ჩუვაშები, კარელები). ავტონომიის ეს ფორმა „გადადის უფრო ფართო, პოლიტიკურ ავტონომიაზე (ბაშკირები, ვოლგისპირეთის თათრები, ყირგიზები), ფართო პოლიტიკური ავტონომიიდან მის კიდევ უფრო გაფართოებულ ფორმაზე (უკრაინა, თურქისტანი), ბოლოს, ავტონომიის უკრაინული ტიპიდან - ავტონომიის უმაღლეს ფორმაზე, სახელშეკრულებო ურთიერთობაზე (აზერბაიჯანი). სტალინის აზრით, საბჭოთა ავტონომიის ეს ელასტიკურობა მის ერთ-ერთ პირველ ღირსებას შეადგენს“ (იქვე, გვ. 386-387).

საქართველოსა და კავკასიის პრობლემა

ეროვნულ პრობლემათა განსჯა-გაანალიზების დროს სტალინი ამ თვალსაზრისით კავკასიაში არსებულ ვითარებაზეც ხშირად ამახვილებს ხოლმე ყურადღებას. თუმცა ამ შემთხვევაში იგი თითქმის ყოველთვის თანაბარი ინტერესით მსჯელობს აქ მცხოვრები ყველა ხალხის ნაციონალურ და სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებზე და მიუხედავად იმისა, რომ თავად ქართველი იყო, არანაირ განსაკუთრებულ დაინტერესებას საკუთრივ საქართველოსა და ქართველების მიმართ არასოდეს იჩენს.

ასე რომ, მისთვის, როგორც ინტერნაციონალისტისათვის, ფაქტობრივად თანაბრად მნიშვნელოვანი იყო რუსეთში მცხოვრები ნებისმიერი ერის ბედ-იღბალზე ზრუნვა და მათი პრობლემების განსჯა კლასობრივ-პარტიული თვალთახედვით. თუ ზოგჯერ ეს წესი დაირღვეოდა და კავკასია რუსეთის სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო მეტად წამოიწეოდა წინა პლანზე, ეს უწინარეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ იგი ეროვნული შემადგენლობით სხვათაგან მკვეთრად გამორჩეულ რეგიონს წარმოადგენდა, რის გამოც ნაციონალური საკითხი აქ ყოველთვის გაცილებით უფრო მწვავედ იდგა ხოლმე.

ამას ემატებოდა ისიც, რომ, სტალინის თქმით, აქ მცხოვრებ „არც ერთ ნაციონალურ ჯგუფს არ ჰქონდა ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები. ისინი ყველანი დაქუცმაცებულად, ერთმანეთში შერეულად ცხოვრობდნენ, და არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც" სტალინი უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ გარემოებით ხსნის იმ ფაქტს, რომ „ამიერკავკასიის ნაციონალური ჯგუფების საერთო ბრძოლა რუსეთის ცენტრის წინააღმდეგ ძალიან ხშირად იჩრდილებოდა მათი გააფთრებული ბრძოლით ერთმანეთს შორის. ეს კი ფრიად „მარჯვე" ვითარებას ქმნიდა კლასობრივი ბრძოლის დასაფარად ნაციონალური დროშებითა და საჟღარუნოებით" (ტ.4, გვ. 55).

სტალინმა თავიდანვე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა რუსეთისაგან გამოყოფის იმ პოლიტიკისადმი, რომელიც ამიერკავკასიაში ნათლად და მკაფიოდ გამოიკვეთა 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ პერიოდში. იგი პრინციპულად დაუპირისპირდა 1917 წლის ნოემბერში თბილისში შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატს. ამ დაპირისპირების უმთავრესი საფუძველი, სტალინისავე განმარტებით, იმაში მდგომარეობდა, რომ „კავკასიის კომისარიატი აშკარად აგრესიულ პოლიტიკას ეწეოდა კავკასიის საბჭოთა ორგანიზაციებისა და საფრონტო საბჭოს წინააღმდეგ. ამავე დროს მას კონტაქტი ჰქონდა კავკასიაში კონტრრევოლუციური მოძრაობის გმირთან - გენერალ პრჟევალსკისთან" (ტ. 4, გვ. 39).

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე 1918 წლის 15 იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში ი. სტალინმა რუსეთის განაპირა მხარეების, მათ შორის, ამიერკავკასიის ხალხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბრძოლას „ნაციონალური დამოუკიდებლობის" დასაცავად „მხოლოდ და მხოლოდ ფარისევლური საფარი უწოდა მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ლაშქრობისა" (იქვე).

სხვადასხვა სახის თავყრილობებზე წარმოთქმულ სიტყვებსა და საგაზეთო პუბლიკაციებში სტალინი მწვავედ უპირისპირდება ამი-

ერკავკასიელ ხალხთა ნაციონალისტ ლიდერებს და მკაცრად აკრიტიკებს მათ „ანტიეროვნულ“ და ანტისაბჭოურ პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებულ აგრესიულობას იჩენს „ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენტების“ ისეთი ლიდერების, ღმი, როგორებიც ნ. ჟორდანია და ე. გეგეჭკორი იყვნენ. სტალინის შეფასებით, ისინი „ანტისაბჭოთა კოალიციის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენდნენ.

ამ მოძრაობის ცენტრად სტალინი თბილისს მიიჩნევს, რომელსაც „ანტისაბჭოთა კოალიციის დედაქალაქსა“ და „მძინარა“ ქალაქს უწოდებს.

სტალინი არა მარტო გარედან აღევნებდა თვალყურს ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს, არამედ თავადაც ხშირად გამოდიოდა ამ მოვლენათა წარმმართველის როლში. როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, იგი საგანგებო მისიით რამდენჯერმე ჩამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ბაქოში და აქტიური მონაწილეობა მიიღო აქ მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების გააქტიურების საქმეში.

1918 წელს გაზეთ „პრავდის“ 26 და 27 მარტის ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“ სტალინი უდიდესი კმაყოფილებითა და ღაიმედებით ამცნობს საზოგადოებას იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის ფრონტზე საბჭოთა რუსეთის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შედეგად „ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა რევოლუციის ტალღა უბოდიშოდ შეიჭრა ამიერკავკასიის კოალიციის სამეფოში და მის არსებობას დაემუქრა“ (იქვე, გვ. 64).

სტალინი აღფრთოვანებას ვერ მალავს იმის გამო, რომ „ჩრდილოეთიდან მომავალმა რევოლუციამ“ „ახალი ბრძოლისათვის იმდენად აამხედრა ამიერკავკასიის პროლეტარიატი“, რომ „მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენის, მძინარა თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას“ (იქვე, გვ. 65).

ამიერკავკასიაში რევოლუციის გამარჯვების მთავარ პირობად სტალინს ის ეკონომიკური სიძნელეებიც მიაჩნია, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა შექმნა იქ. მისი თქმით, „რევოლუციური ჩრდილოეთ კავკასია გადაჭრით აცხადებს უარს იმაზე, რომ კონტრრევოლუციური თბილისი გამოეკვება" ამას ემატებოდა „ფულის ნიშნების უქონლობა (ბონები მათ ვერ შეცვლიდა!), რაც არღვევდა საშეურნეო ცხოვრებას და აძლიერებდა ქალაქის დაბალი ფენების უკმაყოფილებას" (იქვე, გვ. 65).

როგორც ითქვა, ი. სტალინი არა მარტო გარედან აღევნებდა თვალყურს კავკასიაში მიმდინარე პროცესებს, არამედ პირადადაც მონაწილეობდა მათი წარმართვის საქმეში. ნათქვამის დასტურად თუნდაც მისი ბიოგრაფიიდან ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღიც გავიხსენოთ. 1920 წლის ოქტომბერში რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ვითარების სასურველი მიმართულებით უკეთ წარმართვის მიზნით იგი საგანგებოდ ჩავიდა ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში, საიდანაც სისტემატურად აწვდიდა ცნობებს ლენინსა და პარტიის სხვა პასუხისმგებელ პირებს იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. 4 ნოემბერს კი მან აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხლომის მუშაობაშიც მიიღო მონაწილეობა, რომელზეც საგანგებოდ განიხილებოდა ამიერკავკასიის რეგიონში არსებული ვითარება.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილი მდგომარეობით გამოწვეული შეშფოთება სტალინს მით უფრო უძლიერდებოდა, რაც ახლოვდებოდა ამ რესპუბლიკათა ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადების დრო. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა 1918 წლის 23 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამი დღით ადრე, გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული მისი წერილი „მდგომარეობა კავკასიაში" სტალინი უღრმეს შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ამიერკავკასიის მდგომარეობა სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. სეიმის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ (22 აპრილს), რასაც ხელ-ფეხი

უნდა გაეხსნა თბილისის „მთავრობისათვის“, მისი შეფასებით, ნამ-დვილად საერთაშორისო ხაფანგში გაბა იგი“ (ტ. 4, გვ. 103).

სტალინი მეტისმეტად ნეგატიურ შეფასებას აძლევდა თბილი-სის მენშევიკური მთავრობის სწრაფვას დამოუკიდებლობ ,საკენ და თვლიდა, რომ მისი ამდაგვარი მისწრაფება და რუსეთისგან ჩამო-შორება „გარდუვალად გადაიქცეოდა მის მონურ დამოკიდებულებად თურქ-გერმანელ „ცივილიზებულ“ მტაცებლებთან. ეს იქნებოდა ხელისუფლების სათავეში მოქცეული თბილისელი მენშევიკების კავ-შირი თურქ-გერმანელ იმპერიალისტებთან რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ “(იქვე, გვ. 103).

„თბილისის „მთავრობის“ შავი ბანდების“ ამდაგვარი მოქმედებით აღშფოთებული სტალინი მკითხველს უდიდესი კმაყოფილებით ამ-ცნობს იმ ამბავს, რომ „თვითმარქვია თბილისის „მთავრობის“ უზურ-პატორობის წინააღმდეგ მთელი სომხეთი აცხადებდა პროტესტს“ მისი მტკიცებით, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო „დამაიმედებელი“ მდგომარეობა იყო ბაქოში - „ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფ-ლების ციტადელში“, რომელმაც „თავის გარშემო დარაზმ,ა მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია და იარაღასხმული ამკვიდრებდა ამიერ-კავკასიის ხალხთა უფლებებს, ხალხებისა, რომლებიც მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ კავშირი საბჭოთა რუსეთ-თან. აღარას ვამბობთ გმირ აფხაზეთზე, შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც ერთსულოვნად აჯანყდა თბილისის „მთავრობის“ შავი ბან-დების წინააღმდეგ და იარაღით ხელში იცავს მათ წინააღმდეგ სოხუმ-სო, - კმაყოფილებით აღნიშნავს იქვე და ნათქვამისათვის მეტი და-მაჯერებლობის მისაცემად აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კო-მიტეტის თავმჯდომარის - ე. ეშბას მიერ მიწერილი წერილიდან ამ სიტყვებსაც იმოწმებდა: „მთელი აფხაზეთი, დიდი და პატარა - აჯანყდა სამხრეთიდან მოსულ დამპყრობთა ორიათასიანი ბანდის წინააღმდეგ და უკვე 8 დღეა იცავს სოხუმის მისადგომებს 20 ვერ-სზე სოხუმის სამხრეთით“

იმისათვის, რომ უფრო სწორი და ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს სტალინის მიერ აღწერილ მოვლენებზე, მკითხველს კიდევ

ერთხელ შევახსენებ იმჟამინდელ აფხაზეთში არსებულ ვითარებას. საბჭოთა რუსეთის აქტიური დახმარებით ბოლშევიკები „შეეცადნენ სოხუმში 1918 წლის 16 თებერვალს დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება, შეიქმნა რევოლუციური კომიტეტიც, რომლის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ე. ეშბას მეთაურობით მატროსთა ხიშტებს ეყრდნობოდა...

სულ მალე სოჭიდან მოსული ბოლშევიკური რაზმები საბჭოთა ხელისუფლებას ამყარებენ გაგრასა და გუდაუთაში. 8 აპრილს ბოლშევიკმა მეამბოხეებმა აიღეს სოხუმი, კვლავ იქმნება რევკომი. მან ხელში აიღო მთელი ძალაუფლება... ბოლშევიკებმა ფაქტიურად მოახდინეს აფხაზეთის მეტი ნაწილის ოკუპაცია და ემზადებოდნენ ლაშქრობისათვის საქართველოს სხვა რაიონებში“ (ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, 1991, გვ. 46).

მაგრამ, საბედნიეროდ, მოვლენები იმხანად სულ სხვაგვარად განვითარდა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით „ბოლშევიკებისაგან აფხაზეთის გასაწმენდად“ და იქ სახელმწიფო-ებრივი წესრიგის დასამყარებლად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონში სახალხო გვარდიის გაგზავნის შესახებ შტაბის უფროსის ვ. ჯუღელის ხელმძღვანელობით (გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1990, გვ. 55-58). 1918 წლის 17 მაისს გვარდიელებმა დაამარცხეს ბოლშევიკების ჯარი და ზეიმით შევიდნენ სოხუმში.

თბილისის ნაციონალისტურ „მთავრობას“ (ამ სიტყვას ავტორი, როგორც წესი, ყოველთვის ბრჭყალებში სვამს ხოლმე) სტალინი იმაშიც დებდა ბრალს, თითქოს იგი სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩართვასაც ცდილობდა აქტიურად ნაციონალისტურ და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში, რითაც „თვითმარქვია თბილისის „მთავრობის“ შავი ბანდები“ პრინციპულად შორდებოდნენ და უპირისპირდებოდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ეროვნულ ინტერესებს.

ასე რომ, ი. სტალინის განცხადებით, ამიერკავკასიის მოსახლეობა აქტიური წინააღმდეგი იყო როგორც თბილისის „მთავრობისა“, ისე რუსეთისაგან გამოყოფისა (იქვე, გვ. 105). ვითარების ამდაგვარი

შეფასება მოვლენათა ტენდენციური და არაობიექტური შეფასების შედეგი რომ იყო, იმითაც ნათლად დადასტურდა, რომ ამ წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკამ დიდი ზარ-ზეიმით გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და პრინციპულად თქვა უარი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში ყოფნაზე.

სტალინის მუქარანარევი განცხადება იმის შესახებ, რომ „საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალღონით დაიცავდა ამიერკავკასიის მშრომელი მასების უცილობელ უფლებებს დამპყრობლურ ხელყოფათა წინააღმდეგ" (გვ. 106), ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერ მუქარად დარჩა და იმხანად მას, საბედნიეროდ, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

თუმცა ამ თვალსაზრისით სტალინი განსაკუთრებულ აქტიურობას რომ იჩენდა, ეს თუნდაც იმ წერილითაც ნათლად ჩანს, რომელიც მან 1918 წლის 31 აგვისტოს გაუგზავნა ლენინს. აი, როგორი სიტყვებით თხოვდა იგი მას ჩრდილოეთ კავკასიისა და ბაქოს შესანარჩუნებლად მიმდინარე გააფრთებულ ბრძოლებში წარმატების მისაღწევად სასწრაფო დახმარებას: „წარმოებს ბრძოლა საბჭრეთისა და კასპიისათვის. მთელი ეს რაიონი რომ შევინარჩუნოთ (და იგი შეიძლება შევინარჩუნოთ!), საჭიროა გვქონდეს მსუბუქი ტიპის რამდენიმე ნაღმოსანი და ორიოდე წყალქვეშა ნავი... **გეპუდარებით დაამსხვრიოთ ყველა დაბრკოლება** (ხაზგასმა ჩემია - ა.ნ.) და ამით გააადვილოთ - წინ წასწიოთ დაუყოვნებლივ ყოველივე იმის მიღების საქმე, რაც საჭიროა. ბაქო, თურქისტანი, ჩრდილოეთ კავკასია ჩვენი იქნება (უეჭველად!), თუ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნა მოთხოვნები. ფრონტზე ჩვენი საქმე კარგად მიდის. ეჭვი არ მეპარება, რომ კიდევ უკეთ წავა" (ტ. 4, გვ. 136).

როგორც ხსენებული წერილისათვის თანდართული შენიშვნიდან ირკვევა, ლენინმა სტალინის წერილის ტექსტი მიღებისთანავე პეტროგრადში გადააგზავნა სასწრაფოდ შესასრულებლად, როგორც თავისი დირექტივა.

მაგრამ, მიუხედავად ამდაგვარი აქტიურობისა, 1920-21 წლამდე ამიერკავკასიის რესპუბლიკების „გაწითლება“ და განმეორებით შეყვანა რუსეთის შემადგენლობაში მაინც ვერ მოხერხდა. მართალია 1920-21 წლებში ამ ქვეყნებში მოვლენათა ტრაგიკული განვითარების შედეგები დღეს ყველამ იცის. მაგრამ ამ მოვლენათა წარმართვის საქმეში სტალინის განმსაზღვრელი როლის გასაცნობიერებლად კვლავ გავიხსენოთ რამდენიმე ფრაგმენტი მისი წერილებიდან.

1920 წლის 30 ნოემბრის გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში - „მდგომარეობა კავკასიაში“, რომელიც გაზეთის თანამშრომელთან საუბარს წარმოადგენს, კავკასიიდან დაბრუნებული სტალინი დაწვრილებით მიმოიხილავს იქ არსებულ ვითარებას და მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოთა რუსეთის პარტიულ-სახელმწიფოებრივ სტრატეგიას ამ რეგიონთან დაკავშირებით. იგი პირდაპირ და არაორაზროვნად აცხადებს იმას, რომ „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა“ მარტო იმით კი არაა განპირობებული, რომ ეს მხარე „ნედლეულის, საბობისა და სურსათის წყაროა, არამეღ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი - ბაქო, ბათუმი - თავრიზი, ბათუმი - თავრიზი - არზრუმი“ (იქვე, გვ. 444).

ამიტომაცაა, რომ, სტალინის აზრით, რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, „ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში - რევოლუცია თუ ანტანტინა“ იმ დროს, როცა სტალინის აღნიშნული წერილი დაიბეჭდა, აზერბაიჯანში რუსეთის აქტიური ძალისხმევით მიზანი უკვე მიღწეული იყო და საბჭოთა ხელისუფლება დამყარებული. ეს ამბავი, როგორც ცნობილია, 1920 წლის 28 აპრილს მოხდა.

დღის წესრიგში ახლა სომხეთსა და საქართველოში ასეთივე „წარმატების“ სასწრაფოდ მიღწევის პრობლემა იდგა. სტალინი რომ ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ამ მიზნის მისაღწევად, ეს ხსენებული წერილითაც ნათლად ჩანს. იგი განსაკუთრებული გუ-

ლისწყრომით საუბრობს იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთს ამ დიდი სტრატეგიული მიზნის პრაქტიკული ხორცშესხმის საქმეში ყველაზე მძლავრ წინააღმდეგობას საქართველო უწევდა.

კერძოდ, მისი შეფასებით, იმდროინდელი თბილისი „კონტრრევოლუციური მუშაობის ბაზად" იყო გადაქცეული და ანტანტის ძლიერ დასაყრდენ ცენტრს წარმოადგენდა. სწორედ „ანტანტის სახსრებითა და ბურჟუაზიული საქართველოს დახმარებით" გახდა შესაძლებელი „აზერბაიჯანის, დაღესტნისა და თერგის ოლქის მთიელთა ბურჟუაზიული მთავრობების ჩამოყალიბება"

ერთმანეთთან შეპირისპირებით აფასებდა რა რევოლუციისა და ანტანტის შესაძლებლობებს კავკასიაში, სტალინი თვლიდა, რომ ანტანტის შანსები აზერბაიჯანში განსაკუთრებით მას შემდეგ შემცირდა, რაც ამ რესპუბლიკამ „თავისი დამოუკიდებლობა მოიპოვა და რუსეთის ხალხებთან ნებაყოფლობითი კავშირი დაამყარა" მკითხველისათვის, ალბათ, ნათელია, რა დამოუკიდებლობასა და „რუსეთის ხალხებთან რომელი ნებაყოფლობითი კავშირის დამყარებაზეც" საუბრობს ავტორი.

სტალინი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ანალოგიური პროცესები ვითარდებოდა სომხეთშიც და საქართველოშიც. მისი შეფასებით, სომხეთს უკვე აღარ „დარჩენია ხსნის არავითარი შესაძლებლობა, გარდა ერთისა: საბჭოთა რუსეთთან კავშირისა. ეს გარემოება, ეჭვი არ არის, გაკვეთილი იქნება ყველა ხალხისათვის, რომელთა ბურჟუაზიული მთავრობები არ იშლიან მონურად ქედის მოხრას ანტანტის წინაშე, და უწინარეს ყოვლისა - საქართველოსთვის" (იქვე, გვ. 446).

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, სტალინი იქვე ერთგვარი ნიშნისმოგებით იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა" უკვე აშკარა ფაქტი იყო. იგი კმაყოფილებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ „ანტანტის ბადეში გახვეულმა საქართველომ... დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური" მისი თქმით, „ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაქ-

ცეული“ და „საბჭოთა რუსეთთან მტრულ ურთიერთობაში მყოფი“ „დამყაყებული და ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო“ „იმჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა“ (იქვე, გვ. 446-447).

როგორც ვხედავთ, სომხეთსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენათა კლასობრივ-პარტიული თვალთახედვით განსჯა-შეფასებამ სტალინი, იმ პერიოდის სხვა ქართველი თანაპარტიელების მსგავსად, არა მარტო უბრალოდ ჩააყენა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლთა რიგებში, არამედ ამ დამოუკიდებლობის დამხობა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ამჯერად უკვე განახლებული რუსული იმპერიის მონობის ახალი უღლის დადგმა სწორედ მათი განსაკუთრებული ძალისხმევითა და თავკაცობით გახდა შესაძლებელი.

და როცა 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოცხადდა, „პრავდის“ 4 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ სტალინის მისასალმებელ წერილში - „გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!“ ავტორი უდიდესი სიხარულით ამცნობდა საზოგადოებას, რომ ბოლოს და ბოლოს „განაწამებმა და მრავალტანჯულმა სომხეთმა“, როგორც იქნა საწადელს მიაღწია და „თავი საბჭოთა ქვეყნად გამოაცხადა“, რითაც „ხსნისა და ნაციონალური განახლების“ გზა პოვა (ტ. 4, გვ. 449).

სტალინი თვლიდა, რომ ამით „სომხეთსა და მის გარშემო მცხოვრებ მუსლიმანებს შორის საუკუნო მტრობა გადაწყდა ერთი დაკვრით, სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის ძმური სოლიდარობის დამყარების გზით“ ავტორის თქმით, „სომხეთის „პრობლემად“ ცნობილი იმ საკითხების გადაწყვეტა, რაზეც „ამაოდ იმტვრევდნენ თავს იმპერიალისტური დიპლომატიის ბებერი მგლები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო“

მოვლენათა არსში თუნდაც ზერელედაც გარკვეული მკითხველი ალბათ ყოველგვარი ზედმეტი არგუმენტაციის გარეშეც მიხვდება იმას, რომ სტალინის მიერ გაკეთებული ამდაგვარი შეფასებები ხელაღებით გააცამტვერა მოვლენათა ისტორიული განვითარების პრო-

ცესმა და საბჭოთა აზერბაიჯანის მიერ საბჭოთა სომხეთისთვის 1920 წლის ღეკემბერში თითქოსდა „ნებაყოფლობით" ნაჩუქარი სადავო ტერიტორიების (მთიანი ყარაბაღი, ნახჭევანი) გამო ამ ქვეყნებს შორის რა ტრაგიკული მოვლენებიც განვითარდა, ეს უკომენტაროდაც ცხადია და ნათელი.

როგორც სტალინის ნაშრომების გაცნობა მოწმობს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ყველაზე კრიტიკულ დამოკიდებულებას იგი პირველ ყოვლისა საქართველოსადმი იჩენდა. ამდაგვარმა კრიტიციზმმა თავი განსაკუთრებული ძალით 1918 წლის 26 მაისის შემდგომ პერიოდში იჩინა. „გაკოტრებული ქართველი სოციალ-მედუქნეების" (სტალინის სიტყვებია) „ნაციონალისტური" პოლიტიკით უკმაყოფილო სტალინი საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას განწირულად მიიჩნევდა და სახელდებულად ასახელებდა ამ გარემოების განმაპირობებელ მისეულ მიზეზებს.

მისი შეფასებით, საქართველოს, როგორც „დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს, წარმოშობამ ვერ დაამყარა და არც შეეძლო დაემყარებინა ეროვნებათა მშვიდობიანი თანაცხოვრება, ვერ მოსპო და არც შეეძლო მოესპო ნაციონალური უთანასწორობა, არც ნაციონალური ჩაგვრა, ვინაიდან კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა:

ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (პოლონეთი, რომელიც ჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს; **საქართველო, რომელიც ჩაგრავს ოსებს, აფხაზებს, სომხებს** (ხაზგასმა ჩემია - ა.ნ.), იუგოსლავია, რომელიც ჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.);

ბ) თუ მეზობლების ხარჯზე თავიანთ ტერიტორიას არ გააფართოებენ, რაც იწვევს კონფლიქტებსა და ომებს (პოლონეთი - ლიტვის, უკრაინის, რუსეთის წინააღმდეგ; იუგოსლავია - ბულგარეთის წინააღმდეგ; **საქართველო – სომხეთის, თურქეთის წინააღმდეგ** (ხაზგასმა ჩემია - ა.ნ.) და სხვ.)" (ტ. 5, გვ. 19).

სტალინმა ეს მოსაზრება 1921 წლის 10 თებერვალს გამოთქვა. სხვა ფაქტორებთან ერთად, მისი უკმაყოფილების საფუძველი ამ

შემთხვევაში იმითაც უნდა აიხსნას, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და იქ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად წითელი რუსეთი იმხანად უკვე ის-ის იყო იწყებდა ფართომასშტაბიან და აქტიურ ბრძოლას.

ლენინთან ერთად სტალინიც ამ ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი რომ იყო, ამას საქართველოში რევკომის შექმნის პროცესში მისი ენერგიული მონაწილეობაც ნათლად აღასტურებს. მაგალითად, 1921 წლის 17 თებერვალს, გაეცნო რა რევკომის წევრთა შემადგენლობას, ი. სტალინმა ს. ორჯონიკიძეს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „რევკომის შემადგენლობა არ არის კარგი. წინადადებას გაძლევ მიუმატე სიას არაქელა, ცხაკაია, ელისაბედაშვილი, ვინმე თათართაგან და აგრეთვე ფედერალისტთაგან. რევკომს შეუძლია გამოყოს აღმასკომი ხუთი კაცის შემადგენლობით. მაგალითად, მახარაძე, მდივანი, ელისაბედაშვილი, ერთი სომეხი, ერთი თათარი... ჟორდანიას შეცდომა - მისი მთავრობა შედგენილი იყო თითქმის გურულებისაგან, რის გამოც იგი არ სარგებლობდა აღმოსავლეთ საქართველოს თანაგრძნობით, ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ. სხვანაირად რევკომი იკოჭლებს“ (ციტირებულია ლ. თოიძის წიგნიდან „საქართველოს პოლიტიკური ისტორია“, 1921-1923 წლები, 1999, გვ. 23).

ამდაგვარი აქტიურობის მიუხედავად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფილი საქართველოს გასაბჭოების ფაქტი სტალინმა, სომხეთ-აზერბაიჯანში მომხდარი მსგავსი მოვლენებისაგან განსხვავებით, ოფიციალურად საკმაოდ დაგვიანებით შეაფასა კერძოდ, ეს მოხდა ამ მოვლენიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ. 1921 წლის 6 ივლისს გამართულ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“

ამ მოხსენების უმთავრეს პათოსსა და სულისკვეთებას ამიერკავკასიის აწ უკვე გასაბჭოებულ და რუსეთთან აგრესიის გზით და-

კავშირებულ რესპუბლიკათა, პირველ ყოვლისა კი საქართველოს სამომავლო ბედის განსაზღვრა განაპირობებდა. მისცა რა საკმაოდ მკაცრი და კრიტიკული შეფასება საქართველოში იმხანად არსებულ ეკონომიკურ, სამხედრო და ეროვნულ მდგომარეობას, სტალინმა ხსნის ერთადერთ გზად სომხეთთან და აზერბაიჯანთან ჩვენი ქვეყნის გაერთიანება მიიჩნია.

მისი თქმით, „საბჭოთა საქართველოს სრულიად განმარტოებით არსებობა... წარმოუდგენელია როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მეურნეობრივი განვითარების თვალსაზრისითაც... მეორეც, ცხადია, რომ საქართველო, რომელსაც სურსათ-სანოვაგე აკლია, საჭიროებს რუსეთის პურს, თავს ვერ გაიტანს უმისოდ.

მესამეც, საქართველო, რომელსაც თხევადი სათბობი არა აქვს, ცხადია ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროებს აზერბაიჯანის ნავთის პროდუქტებს, თავს ვერ გაიტანს უიმათოდ.

მეოთხეც, უეჭველია აგრეთვე, რომ საქართველო, რომელსაც აკლია საექსპორტო ფონდები, საჭიროებს რუსეთის მხრივ ოქროთი დახმარებას საქონლის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

ბოლოს, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს საქართველოს მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის თავისებურ პირობებს, რის გამოც ამ მოსახლეობის მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენენ სომხები, ხოლო თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი სომხობაა, რაც, უეჭველია, საქართველოს ავალებს მმართველობის ყოველგვარი ფორმის დროს საზოგადოდ, საბჭოთა რეჟიმის დროს კი განსაკუთრებით, შეინარჩუნოს უეჭველი მშვიდობიანობა და ძმური თანამშრომლობა როგორც საქართველოში მცხოვრებ სომხებთან, ისე სომხეთთან“ (ტ. 5, გვ. 102-103).

ვითარების ამდაგვარმა ანალიზმა და შექმნილი მდგომარეობიდან თავდასაღწევი ყველაზე ოპტიმალური გზის ძიებამ სტალინი იმის აღიარებამდე მიიყვანა, რომ ერთადერთი გონივრული გამოსავალი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნა იყო. მან განსა-

კუთრებული სიმკაცრით დაგმო და კლასობრივ-პარტიული ტენდენციურობით წარმოაჩინა ის „მავნე შედეგები“, რომლებიც თითქოსდა ამ რესპუბლიკებში გაღვივებულმა ნაციონალიზმმა დაატეხა თავს აქაურ მოსახლეობას.

სტალინი უდიდესი გულისწყრომით საუბრობს „ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ნაციონალიზმზე, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე საშინლად გაძლიერდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და აფერხებს გაერთიანების საქმეს“ ამ თვალსაზრისით მის განსაკუთრებულ აღშფოთებას მაინც საქართველოში შექმნილი მდგომარეობა იწვევდა.

განსხვავებით 1905-1917 წლებში ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საზოგადად მშრომელებს შორის არსებული „სრული ძმური სოლიდარობისაგან“, თბილისში ხელმეორედ ჩამოსვლისას, სტალინის თქმით, იგი გაოცებული დარჩა იმით, რომ „ამიერკავკასიის ეროვნებათა Მუშებს შორის აღარ არის წინანდელი სოლიდარობა. მუშებსა და გლეხებში განვითარებულია ნაციონალიზმი, გაძლიერებულია უნდობლობის გრძნობა თავისი სხვატომელი ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბზე ჭარბადაა. ძმური ნდობის ძველი კავშირი გაწყვეტილია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. ჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, რომელნიც თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას ეწეოდნენ და მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთების გასაღვივებლად მუშაობდნენ, ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ამ პატარა ქვეყანათაგანი მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული აღმოჩნდა, რამაც საქართველოსა და სომხეთს მოაკლო რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს - ბათუმით მომავალი საქონელი. აღარას ვამბობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხ-თა-

თართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. სასურველი არ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა" (ტ. 5, გვ. 104-105).

ი. სტალინის შეფასებით, „ნაციონალიზმის ამ გადმონაშთების" სიძლიერე ის უმთავრესი დამაბრკოლებელი მოვლენა იყო, რომელიც „ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო (და სამხედრო) ღონისძიებათა გაერთიანების საქმეს უაღრესად უშლიდა ხელს" „ასეთი გაერთიანების განუხორციელებლად" კი მას შეუძლებლად მიაჩნდა ამ რესპუბლიკათა, განსაკუთრებით კი საქართველოს სამეურნეო წარმატების მიღწევა. ამიტომაც იყო, რომ კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში სტალინმა საქართველოს კომუნისტთა „მორიგ ამოცანად" საქართველოში „ნაციონალიზმის გველეშაპის გასრესა და ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა" მიიჩნია. ამის მისაღწევად კი საჭირო იყო „ულმობელი ბრძოლა ნაციონალიზმთან, იმ ძველი ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღდგენა, რაც ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობის გაჩენამდე არსებობდა" (იქვე, გვ. 105).

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ამდაგვარი გაერთიანება, სტალინის თქმით, არამც და არამც „არ ნიშნავდა იმას, რომ აღარ უნდა არსებულიყო დამოუკიდებელი საქართველო ან დამოუკიდებელი აზერბაიჯანი". იგი პრინციპულად ეწინააღმდეგება იმ პროექტის ავტორებს, რომლებიც მოითხოვდნენ მათ სანაცვლოდ აღდგენილ ყოფილიყო „ძველი გუბერნიები (თბილისის, ბაქოს, ერევნის) ამიერკავკასიის ერთი მთავრობის მეთაურობით" ამ აზრს სტალინი „რეაქციულ უტოპიას" უწოდებს. მისი თქმით, „ასეთი პროექტი, უეჭველია, ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალების სურვილიდან გამომდინარეობს", რაც „რევოლუციის მონაპოვრის გაუქმებას" ნიშნავდა. ამიტომაც, ეს რომ ასე არ მომხდარიყო, სტალინი დაბეჯითებით მოითხოვდა აუცილებლად შეენარჩუნებინათ როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობა.

სტალინის ამ პარტიულმა დირექტივამ რამდენიმე თვეში სათანადო ნაყოფი გამოიღო და 1922 წლის 12 მარტს ოფიციალურად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შევიდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკები. 1922 წლის 13 დეკემბერს კი ამ ფედერაციას აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც შეუერთდა, რომელიც 1921 წლის 16 დეკემბერს თბილისში გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე ე. წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკად შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

თავის მხრივ, 1922 წლის 30 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაცია სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა. როგორც ცნობილია, 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილებით „ აზეთს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი ჩამოერთვა და იგი საქართველოს სსრ შემადგენლობაში უკვე ავტონომიური რესპუბლიკის სახით გაერთიანდა; 1936 წლის 5 დეკემბერს კი ამიერკავკასიის ფედერაციაც დაიშალა და სამივე რესპუბლიკა დამოუკიდებელი რესპუბლიკების სტატუსით ცალ-ცალკე შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

***

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით კი საქართველოში, „ნაციონალური პროგრამის სწორად განსახორციელებლად“ სტალინს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა აქ არსებულ „ნაციონალურ დაბრკოლებათა“ წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა. მისი თქმით, ეს „დაბრკოლებანი მემკვიდრეობით გადმოგვცა ნაციონალური ჩაგვრის გავლილმა პერიოდმა“ და ისინი „არ შეიძლებოდა მოკლე ხანში, ერთი დაკვრით, ყოფილიყო გადალახული“

მემკვიდრეობით მიღებულ ამ დაბრკოლებათაგან, რომლებიც სტალინმა საკმაოდ ვრცლად და კრიტიკულად დაახასიათა რკპ(ბ) მე-12 ყრილობისათვის წარდგენილ და პარტიის ცენტრალური კო-

მიტეტის მიერ მოწონებულ თეზისებში (1923 წ.), საქართველო გამოცხადებულია „წმინდა წყლის შოვინისტურ“ ქვეყანად, სადაც „ქართულ შოვინიზმს“ არნახული მასშტაბები აქვს შეძენილი. „ზოგიერთ რესპუბლიკაში, რომელთაც თავის შემადგენლობაში რამდენიმე ეროვნება ჰყავთ, - ნათქვამია თეზისებში, - თავდაცვითი ნაციონალიზმი ხშირად იქცევა შეტევით ნაციონალიზმად, უფრო ძლიერი ეროვნების წმინდა წყლის შოვინიზმად, რომელიც მიმართულია ამ რესპუბლიკების სუსტ ეროვნებათა წინააღმდეგ“ (ტ. 5, გვ. 208).

ამდაგვარი „შეტევითი ნაციონალიზმის“ უპირველეს მაგალითად სტალინს ქართული შოვინიზმი მოჰყავს, რომელიც თითქოსდა სომხების, ოსების, აჭარლებისა და აფხაზების წინააღმდეგაა მიმართული. როგორც ვხედავთ, ხსენებულ თეზისებში სტალინმა მისი ადრინდელი ნაწერების მსგავსად აჭარლები კვლავ ცალკე ეროვნებად მოიხსენია და ქართველი ხალხი მათ მჩაგვრელ ერად გამოაცხადა. მისი შეფასებით, ამდაგვარი შოვინიზმი „წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკას ჩხუბისა და კინკლაობის ასპარეზად გადაქცევას უქადის“

ამავე თეზისებში სტალინი „ადგილობრივ კომუნისტებს შორის ნაციონალურ თავისებურებათა გაზვიადებით შეფასებისაკენ განსაზღვრული გადახრის“ შესახებაც საუბრობს და ამ მოვლენას განსაკუთრებით საშიშად იმ რესპუბლიკებში მიიჩნევს, სადაც რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს. ასეთ პირობებში ეს მოვლენა, მისი აზრით, „ხშირად იღებს უფრო ძლიერი ეროვნების კომუნისტთა შოვინიზმისაკენ გადახრის ფორმას, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია სუსტ ეროვნებათა კომუნისტების წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 211). სტალინი არც ამჯერად არღვევს სამწუხარო ტრადიციას და ამდაგვარი „ნაციონალისტური გადახრისა და შოვინიზმის“ უპირველეს მაგალითად კვლავ საქართველოს ასახელებს.

ქართული შოვინისტური ნაციონალიზმის წინააღმდეგ სტალინმა კიდევ უფრო მწვავედ გაილაშქრა რკპ(ბ) XII ყრილობაზე 1923 წლის 17-25 აპრილს. აქ მან განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკა ნაციონალ-უკლონისტების სახელით ცნობილი ქართველ კომუნისტთა

ის ჯგუფი, რომელსაც ბუდუ მდივანი ედგა სათავეში. ამ კრიტიკის უმთავრესი საფუძველი უწინარეს ყოვლისა მდივნისა და მისი ჯგუფის „ნაციონალიზმი“ იყო. სტალინის მკაცრი შეფასებით, ამ ჯგუფის წევრებს, „რომლებიც მუშაობენ საბჭოთა ტერიტორიის ერთ ნაწილზე, საქართველო რომ ეწოდება, იქ, ზედა სართულში, ყველაფერი რიგზე ვერა აქვთ (ტ. 5, გვ. 256).

ქართული ნაციონალიზმი, ისევე როგორც „ადგილობრივი შოვინიზმის“ სხვა გამოვლინებანი, სტალინმა „ველიკოროსული შოვინიზმის“ საწინააღმდეგო მოვლენად მიიჩნია და მას „საბოლოო ანგარიშით ანტირუსული ნაციონალიზმის მოგერიებითი ფორმა, ველიკოროსული ნაციონალიზმის, ველიკოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ თავდაცვის მახინჯი ფორმა“ უწოდა. მისი აზრით, „ეს ნაციონალიზმი მარტო თავდაცვითი რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა არ აგვეტეხა მის გამო განგაში“ დიახ, ეს ასე იქნებოდა, ადგილობრივად ანტირუსული ნაციონალიზმი ველიკოროსული ნაციონალიზმის საწინააღმდეგო რეაქციაზე უფრო შორს რომ არ მიდიოდეს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი შემტევ ნაციონალიზმად იქცევა“ (ტ. 5, გვ. 275-276).

სამწუხაროდ, ამ მოვლენის კლასიკურ მაგალითად ი. სტალინს პირველ ყოვლისა ისევ საქართველო მოჰყავს და ამბობს: „იქ არის 30%-ზე მეტი არაქართული მოსახლეობა. მათ შორის: სომხები, აფხაზები, აჭარლები (კვლავ - აჭარლები! - ა.ნ.), ოსები, თათრები. სათავეში ქართველები დგანან. ქართველ კომუნისტთა ერთ ნაწილში დაიბადა და ვითარდება იდეა - მაინცდამაინც დიდი ანგარიში არ გაუწიონ ამ წვრილ ეროვნებებს: ისინი ნაკლებ კულტურულნი, ნაკლებ განვითარებულნი არიანო, ამიტომ შეიძლება მათ არც გავუწიოთ ანგარიში. ეს არის შოვინიზმი, - მავნე და საშიში შოვინიზმი, ვინაიდან მას შეუძლია საქართველოს პატარა რესპუბლიკა კინკლაობის ასპარეზად გადააქციოს. თუმცა მან უკვე გადააქცია იგი კინკლაობის ასპარეზად“ (იქვე, გვ. 276).

ამ საქმეში სტალინი მთავარ ბრალდებას, როგორც ითქვა, ბუდუ მდივანსა და მის ჯგუფს უყენებს. მართალია, ქართველ კომუნისტთა

ეს ჯგუფი „იმის წინააღმდეგი არ არის, რომ საქართველო გაერთიანდეს რესპუბლიკათა კავშირთან, მაგრამ წინააღმდეგია იმისა, რომ ამ გაერთიანებამ გაიაროს ამიერკავკასიის ფედერაცია“ ამას ისინი იმით ხსნიან, რომ „ქართველებსა და რესპუბლიკათა კავშირს შორის ეს შუაკედელი ამიერკავკასიის ფედერაციის სახით საჭირო არ არის“

სტალინი პრინციპულად არ ეთანხმება ამ აზრს (თუმცა მოგვიანებით, 1936 წელს, სწორედ მისივე დასტურით გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია), ვინაიდან ქართველი „უკლონისტების“ ამდაგვარ განზრახვას ფარულ ნაციონალურ ქვეტექსტს უძებნის. მისი შეფასებით, „ეს განცხადებანი მოწმობენ, რომ საქართველოში ნაციონალური საკითხის სფეროში რუსებთან დამოკიდებულებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ ამხანაგ უკლონისტებს არაფერი არა აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ საქართველო პირდაპირ გაერთიანდეს კავშირთან, ე.ი. არ ეშინიათ ველიკოროსული შოვინიზმისა, რადგან ფიქრობენ, რომ ის ასე თუ ისე მოკვეთილია, ანდა მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მათ, ცხადია, ამიერკავკასიის ფედერაციისა უფრო ეშინიათ“ (იქვე, გვ. 279).

ამ შიშს სტალინი იმით ხსნის, რომ „ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნა საქართველოს ართმევს იმ პრივილეგიური მდგომარეობის წილს, რაც მას შეეძლო დაეკავებინა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. თვითონ განსაჯეთ. საქართველოს აქვს თავისი ნავსადგური - ბათუმი, საიდანაც შემოდის დასავლეთის საქონელი, საქართველოს აქვს ისეთი სარკინიგზო კვანძი, როგორიც არის თბილისი, რასაც ვერ ასცდებიან სომხები, ვერ ასცდება აზერბაიჯანი, რომელიც თავის საქონელს ბათუმიდან იღებს. საქართველო ცალკე რესპუბლიკა რომ იყოს, იგი ამიერკავკასიის ფედერაციაში რომ არ შედიოდეს, მას შეეძლო ერთგვარი პატარა ულტიმატუმი წაეყენებინა სომხეთისთვისაც, რომელიც უთბილისოდ ვერ გაძლებს და აზერბაიჯანისთვისაც, რომელიც უბათუმოდ ვერ გაძლებს. აქ ერთგვარი სარგებლობა იქნებოდა საქართველოსთვის. შემთხვევითი როდია, ამხანაგებო, რომ ყველასთვის ცნობილი ველური დეკრეტი სა-

საზღვრო კორდონების შესახებ სწორედ საქართველოში შემუშავდა“ (იქვე, გვ. 279-280).

ანალოგიური თვალსაზრისი ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ი. სტალინმა სხვაგანაც გამოთქვა. კერძოდ, ქართველი უკლონისტების სურვილს, გამოსულიყო საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციიდან, მან „სახიფათო გზა“ უწოდა. მისი თქმით, ამით „ისინი არღვევდნენ პარტიის ყველა კანონს“, რაც „უეჭველი სიკვდილია მთელი ჩვენი პოლიტიკისა და საბჭოთა ხელისუფლებისა კავკასიაში“ (იქვე, გვ. 283). ამიტომაც დასახა სტალინმა, და მისი სახით მთელმა ყრილობამ, ქართველი კომუნისტების უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანად პრინციპული ბრძოლა „ადგილობრივი შოვინიზმისა“ და „ნაციონალიზმის “ ისეთი მავნე გამოვლინების წინააღმდეგ, როგორიც „ქართული შოვინიზმი და ნაციონალიზმი“ იყო. ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა, მისი აზრით, იმიტომაც იყო სასწრაფოდ აუცილებელი, რომ „უამისოდ ვერ მივიღებდით ვერავითარ ინტერნაციონალიზმს ვერც სახელმწიფოებრივ და ვერც პოლიტიკურ მშენებლობაში“ (გვ. 296).

ვფიქრობ, სტალინის ანტიქართული პოზიცია დამოწმებულ მაგალითებში იმდენად მკვეთრად და ცხადადაა გამოხატული, რომ მას არავითარი კომენტარი აღარ სჭირდება. როგორც მისი სიტყვიერი განცხადებებით ჩანს, იგი კატეგორიულად წინააღმდეგია, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა თუ სხვა ფაქტორების გამო საქართველომ სხვებთან შედარებით თუნდაც მცირედი სარგებელიც კი რომ ნახოს და „პრივილეგირებული მდგომარეობის რაიმე წილი“ მიიღოს.

სტალინი ასეთივე კატეგორიულობით ეწინააღმდეგება „უკლონისტებისა“ და მათი თავკაცის ფარულ „ნაციონალისტურ“ განზრახვას თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გაქართულების შესახებ. ნათქვამის დასტურად კვლავ დავიმოწმებ ფრაგმენტს ყრილობაზე გაკეთებული მისი მოხსენებიდან: „თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მაგრამ იქ ქართველებია არა უმეტეს 30%, სომხები არა ნაკლებ 35%, მერე მოჰყვებიან ყველა დანარ-

ჩენი ეროვნებანი. ესეც თქვენი საქართველოს დედაქალაქი, – ხაზგასმული ნიშნისმოგებითა და აშკარად გამოხატული ცინიზმით დაასკვნის მომხსენებელი და განაგრძობს: – საქართველო ცალკე რესპუბლიკას რომ წარმოადგენდეს, იქ შეიძლებოდა მოსახლე ობის ერთგვარი გადანაცვლება, – მაგალითად, სომეხი მოსახლეობისა თბილისიდან. აკი მიიღეს საქართველოში ცნობილი დეკრეტი თბილისში მოსახლეობის „რეგულირების“ შესახებ... გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ერთგვარი გადანაცვლება მოეხდინათ ისე, რომ სომხები წლითი-წლობით ნაკლები აღმოჩენილიყვნენ თბილისში, ვიდრე ქართველები, და, ამრიგად, თბილისი გადაექციათ ნამდვილ ქართულ დედაქალაქად. მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ დეკრეტი გადასახლების შესახებ მათ მოხსნეს. მაგრამ მათ ხელთ აქვთ მრავალი შესაძლებლობა, მრავალი ისეთი მოქნილი ფორმა, – მაგალითად, „განტვირთვა“, – რომელთა მეოხებით შეიძლებოდა, ინტერნაციონალიზმის მოჩვენებითობის დაცვით, ისე მოეწყოს საქმე, რომ სომხები თბილისში ნაკლები აღმოჩენილიყვნენ“ (იქვე, გვ. 280).

მე აქ შეგნებულად და მიზანმიმართულად მივმართავ ვრცელ ციტირებებს, რათა ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ნათლად და მკაფიოდ წარმოვაჩინო იმ აღშფოთებისა და გულისწყრომის არსი, რასაც სტალინში საქართველოს დედაქალაქის შესაძლო გაქართველება იწვევს.

ქართველი „უკლონისტები“ სტალინს თბილისელ სომხებთან დამოკიდებულების საკითხში მენშევიკების პირდაპირ მემკვიდრეებად მიაჩნია, ვინაიდან მათ მიერ შემუშავებული დეკრეტი თბილისის მოსახლეობის „რეგულირების“ შესახებ, რასაც, მისი თქმით, საქართველოს დედაქალაქში „ქართველთა არახელსაყრელი მდგომარეობა“ უნდა გამოესწორებინა, ფაქტობრივად იმავე პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომელსაც თავის დროზე მენშევიკები ატარებდნენ თბილისში. ისინი ხომ „პირდაპირ ასახლებდნენ“ იქიდან სომხებსა და თათრებს. ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დროს გადასახლება აღარ შეიძლებოდა, სტალინის აზრით, „უკლონისტებმა“ ის გამოსავალი გამოძებნეს, რომ დასვეს საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციი-

დან საქართველოს გამოყოფის შესახებ, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდათ, „დამოუკიდებლად მოეხდინათ ზოგიერთი ისეთი ოპერაცია, რომლებიც გამოიწვევდნენ იმას, რომ ქართველების ხელსაყრელი მდგომარეობა სავსებით გამოყენებული ყოფილიყო აზერბაიჯანისა და სომხეთის წინააღმდეგ. ყოველივე ამის შედეგად კი შეიქმნებოდა ქართველების პრივილეგიური მდგომარეობა ამიერკავკასიის შიგნით. ამაშია მთელი საშიშროება“ (იქვე, გვ. 281).

ასეთია, სტალინის შეფასებით, ნამდვილი არსი ქართველი ნაციონალისტების მოღვაწეობისა, რომლის ვრცელი გაანალიზების შედეგად იგი ასეთ დასკვნას აკეთებს: „შეგვიძლია თუ არა ჩვენ უგულვებელვყოთ ნაციონალური მშვიდობის ინტერესები ამიერკავკასიაში და შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც ქართველები პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მიმართ? არა ჩვენ არ შეგვიძლია ეს დავუშვათ“ (სტალინსა და ქართველ უკლონისტებს შორის არსებულ უთანხმოებათა შესახებ დაწვრილებით იხ.: ლ. თოიძე, დასახ. წიგნი, გვ. 171).

ყრილობის ტრიბუნიდან სტალინის კრიტიკას ვერც ფ. მახარაძე აცდა. თუმცა მახარაძესთან მისი პოლემიკის შინაარსი პრინციპულად განსხვავებული ხასიათისაა. სტალინის თქმით, მახარაძეს იგი ჯერ კიდევ 1917 წელს შებრძოლებია აპრილის კონფერენციაზე. ამ ბრძოლის საფუძველი ის ყოფილა, რომ მახარაძე „წინააღმდეგი იყო ერების თვითგამორკვევისა, წინააღმდეგი იყო ჩვენი პროგრამის საფუძვლისა, წინააღმდეგი იყო ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებისა. ის ამ თვალსაზრისზე იდგა და იბრძოდა პარტიის წინააღმდეგ. შემდეგ მან შეიცვალა თავისი შეხედულება, მაგრამ... ის უკვე იყო არა ძველი ბოლშევიკი ნაციონალურ საკითხში, არამედ მეტად თუ ნაკლებად ახალგაზრდა ბოლშევიკი“ (იქვე, გვ. 256).

ქართველი ხალხის „ნაციონალისტური“ გრძნობებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი თავისი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია სტალინმა 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების

სისხლში ჩახშობის შემდეგაც გამოხატა. კერძოდ, 1924 წლის 23 ოქტომბერს, სოფლის უჯრედთა მდივნების საკავშირო თათბირზე გამოსვლის დროს, მან მწვავედ ისაუბრა საქართველოში ორიოდე თვის წინათ მომხდარი ამ ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ და ეს მოვლენა მასებისაგან პარტიის მოწყვეტის ლოგიკურ შედეგად მიიჩნია.

მართალია, სტალინმა ამ აჯანყებას „ბუტაფორიული", „არასახალხო" და „ბანდიტური" ამბოხება უწოდა, მაგრამ, ამასთან ერთად, იქვე ისიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზოგიერთ ადგილას გლეხთა მასასთან კომპარტიის უხეირო კავშირის გამო მენშევიკებმა მაინც შეძლეს გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაბმა აჯანყებაში (ი. სტალინი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ, 1934 წ. გვ. 173).

ამ შემთხვევაში სტალინის შეშფოთებას უწინარეს ყოვლისა ის ფაქტი იწვევდა, რომ აჯანყებულებმა განსაკუთრებულ წარმატებებს „კომუნისტური ძალებით მდიდარ ადგილებში" მიაღწიეს. მისი თქმით, კომუნისტებს „სწორედ აქ გამოეპარათ და ვერ შენიშნეს, ვერ დაინახეს, რომ გლეხობაში დრტვინვა იყო, რომ გლეხები რაღაცისთვის ემზადებოდნენ, რომ მათში უკმაყოფილება იყო, რომ ეს უკმაყოფილება დღითი დღე გროვდებოდა, ხოლო პარტიამ ამის შესახებ არაფერი არ იცოდა"

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აჯანყება იმხანად უკვე სისხლში იყო ჩახშობილი, სტალინი მაინც მკაცრად ტუქსავდა პარტიულ ხელმძღვანელებს, ვინაიდან, მისი თქმით „ის, რაც საქართველოში მოხდა, შეიძლებოდა მთელ რუსეთშიც განმეორებულიყო, თუ ძირფესვიანად არ შეცვლიდნენ მიდგომას გლეხობისადმი, თუ პარტიასა და უპარტიოებს შორის არ შექმნიდნენ სრული ნდობის ატმოსფეროს, თუ ყურს არ ათხოვებდნენ უპარტიოთა ხმას" (იქვე, გვ. 173).

როგორც ვხედავთ, სტალინმა საქართველოში 1924 წლის აგვისტოში დატრიალებულ ტრაგედიას ფართო განზოგადება მისცა და მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული

სიფრთხილე და სიფხიზლე მოითხოვა პარტიული ხელმძღვანელებისაგან. თათბირზე ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული მისეული კომენტარების უმთავრესი პათოსი და სულისკვეთება მოვლენის სწორედ ამდაგვარი თვალთახედვით განსჯა-შეფასება რომ იყო, ამაზე მოხსენების ამ მონაკვეთის მისეული დასათაურებაც ნათლად მეტყველებს – „საქართველოში აჯანყების გაკვეთილები" სათაურის ასეთი ფორმულირებით სტალინმა თავიდანვე ცხადად და არაორაზროვნად გამოკვეთა მისი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია მსგავსი ხასიათის მოვლენებისადმი და პარტიასა და ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდა მეტი სიფხიზლისა და სახელმწიფოებრივი წესრიგისაკენ.

ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეისდან სსრ კავშირის შექმნის გადაწყვეტილების მიღებამდე

როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, სტალინის ეროვნული თვალთახედვა დროთა განმავლობაში გარკვეულად იცვლებოდა და ტრანსფორმირდებოდა რუსეთში განვითარებულ მოვლენათა შესაბამისად. ამდაგვარი ცვლილებები სიტყვიერად პირველ ყოვლისა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული უფლებებისადმი მეტი პატივისცემისა და მხარდაჭერისაკენ იყო მიმართული.

ადრე ყოველგვარი ფედერალიზმის წინააღმდეგ პრინციპულად მებრძოლი სტალინი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მისაღებ ფორმად, რომელიც წარმატებით გადაჭრიდა იქ არსებულ ნაციონალურ პრობლემებს, ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას მიიჩნევდა. საბჭოთა კავშირის შექმნამდე ორიოდე წლით ადრე კი იგი იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ ახალი სახელმწიფოს ყველაზე კარგი მოდელი საბჭოთა

რუსეთის შემადგენლობაში შემავალ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა თანასწორუფლებიანი კავშირის შექმნა იქნებოდა.

ვნახოთ, რით და როგორ ასაბუთებს სტალინი ამ თვალსაზრისს. ვიდრე აღნიშნული შეხედულების აღიარებამდე მივიდოდა, მან გარკვეულწილად შეცვალა მის მიერ ადრე ფართოდ დეკლარირებული ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ და ამ ლოზუნგს უფრო მეტი მასშტაბები შესძინა, როცა მის ნაცვლად უპირატესობა უკვე „ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებას" მიანიჭა (ტ. 5, გვ. 21). რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულმა ამდაგვარმა ნაციონალურმა პოლიტიკამ, სტალინის აზრით, „გადააბრუნეს ურთიერთობა რუსეთის ეროვნებათა მშრომელ მასებს შორის, ძირი გამოუთხარეს ძველ ნაციონალურ მტრობას, ნიადაგი გამოაცალეს ნაციონალურ ჩაგვრას"

ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებას სტალინმა კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული დებულების სახე მისცა რკპ(ბ) X ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში. მან ხაზგასმით განაცხადა, რომ კომუნისტები უკვე ორი წელიწადია „გამოეთხოვენ ლოზუნგს ნაციონალურ თვითგამორკვევაზე, რომელიც ფუჭ ლოზუნგად გადაიქცა" ახლა მათ „პროგრამაში ლაპარაკია არა ნაციონალურ თვითგამორკვევაზე, - ლოზუნგი სრულიად ბუნდოვანია, - არამედ უფრო გამოკვეთილ და გარკვეულ ლოზუნგზე - ხალხთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებაზე - ეს ორი სხვადასხვა რამაა" (ტ. 5., გვ. 46).

თუმცა იქვე, ყოველივე ამასთან ერთად, ისიც არაორაზროვნად ხდება ცხადი, რომ ერთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის ეს ლოზუნგი ფაქტობრივად სიტყვიერი დეკლარირების ფარგლებს არ უნდა გაცდენოდა და საქმე რეალურ გამოყოფამდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისულიყო. სტალინის თქმით, ის ფაქტი, რომ „საბჭოთა სახელმწიფოები ფედერაციაში ერთიანდებიან ნებაყოფლობით საფუძველზე" (სინამდვილეში ეს გაერთიანება რამდენად „ნებაყოფლობითი" იყო, ეს საქართველოს მაგალითზეც ნათლად ჩანს! - ა.ნ.), ერთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის ეს უფლება ფაქტობრივად

„გამოუყენებელი რჩება რსფს რესპუბლიკაში შემავალი ხალხების ნებასურვილით“ (იქვე, გვ. 46).

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებას სტალინი ფაქტობრივად მხოლოდ სიტყვიერად აღიარებს და არავითარ შემთხვევაში არ უჭერს მხარს რუსეთის დაშლას ცალ-ცალკე სახელმწიფოებად. იგი ყველგან და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული არსებობა მერყევია, სიმტკიცეს მოკლებულია, რადგან მათს არსებობას კაპიტალისტური სახელმწიფოები ემუქრებიან. საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის საერთო ინტერესები, ერთის მხრივ, ომით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენა, მეორე მხრივ, და საჭირო სასურსათო დახმარების გაწევა უპურო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პურიანი რესპუბლიკების მიერ, მესამე მხრივ, – დაჟინებით გვიკარნახებენ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან ხსნის ერთადერთ გზას“ (იქვე, გვ. 23). ეს შეხედულება სტალინმა 1921 წლის 10 თებერვალს გამოთქვა და ამ დროიღან მოყოლებული, საბჭოთა რესპუბლიკების ამდაგვარი ფედერაციის (კავშირის) შექმნის იდეას იგი დაბეჯითებით იცავს ყველგან და ყოველთვის.

რესპუბლიკათა ამდაგვარი კავშირის შექმნის უმთავრეს პირობად სტალინს მათი სრული თანასწორუფლებიანობა მიაჩნია. ის პრინციპულად წინააღმდეგი იყო მათგან რომელიმესთვის რაიმე პრი‹ ‹ ‹

დაესახიჩრებინათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი და, ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი რუსიფიკაცია. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო ამ ხალხთა განუვითარებლობა და პოლიტიკური ჩამორჩენილობა" (იქ: ე, გვ. 26).

მკაცრად აკრიტიკებს რა ცარიზმის ამ პოლიტიკას, სტალინი იქვე სიამაყით იმასაც აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ეს პრობლემა მოხსნა და პარტიის უმთავრეს ამოცანად იმას მიიჩნევს, „დაეხმაროს არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მასებს - დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმარონ მათ:

ა) განავითარონ და განამტკიცონ თავის ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ ხალხების ნაციონალურ სახეს შეესაბამებიან;

ბ) შექმნან თავის ქვეყანაში დედაენაზე მოქმედი სასამართლო ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილნი ადგილობრივი ადამიანებისაგან, რომელთაც იციან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება და ფსიქოლოგია;

გ) განავითარონ თავის ქვეყანაში პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საზოგადოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დედაენაზე" (იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ითქვა, სტალინი პრინციპულად ეწინააღმდეგება საბჭოთა რესპუბლიკების ცალკე სახელმწიფოებად არსებობას, მისეულ თეორიულ მოთხოვნებში ძალზე ბევრი რამ დღევანდელი თვალთახედვითაც აშკარად მისაღებია და მხარდასაჭერი. ამ შემთხვევაში სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ეს და მსგავსი მოთხოვნები, რომელთაც საბჭოთა კავშირის შექმნამდეც და შემდგომშიც სტალინი და ქვეყნის სხვა ლიდერები საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის უმთავრეს პრინციპებად აღიარებდნენ, ხშირ შემთხვევაში რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და პრაქტიკულად არ ტარდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აქვე ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებასაც უსათუოდ უნდა მიექცეს ყურადღება: საბჭოთა კავშირში უმაღლესი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის

შემდეგ თუ დიდი კულტურულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ხალხების ეროვნული თავისუფლება და კულტურულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივა პარტიულ-იდეოლოგიური ჩარჩოებით შეიბოჭა და ბევრ რამეში რუსეთის ინტერესებს აღმოჩნდა დაქვემდებარებული, რუსეთში მცხოვრებ არაერთ ხალხს, რომელთაც ისტორიულად არც საკუთარი სახელმწიფოებრიობა ჰქონია, არც ნაციონალური კულტურა და ეკონომიკურადაც განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა, ერთბაშად ამ პრობლემათა წარმატებით გადაჭრის ნანატრი შესაძლებლობები მიეცა.

ამ შემთხვევაში მხედველობიდან არც ის ფაქტი უნდა გამოგვრჩეს, რომ რუსეთში მცხოვრებმა ბევრმა ხალხმა საკუთარი დამწერლობა და წიგნიერი კულტურა ფაქტობრივად მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკის წყალობით შექმნა.

ეროვნულ პრობლემათა განსჯა-გააზრებამ ზემოთ ნახსენები პრინციპების საფუძველზე კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობაზე (1921 წლის 8-16 მარტი) სტალინის მიერ გაკეთებულ მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში. საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის უპირატესობის კიდევ ერთხელ აღიარების შემდეგ სტალინი კვლავაც ხაზგასმით იმეორებს იმას, რომ „საბჭოთა რეჟიმის დროს რუსეთში და რუსეთთან დაკავშირებულ რესპუბლიკებში უკვე აღარ იყვნენ არც გაბატონებული, არც უუფლებო ერები, არც მეტროპოლია, არც კოლონიები, არც ექსპლოატირებულნი და არც ექსპლოატატორნი“ და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, სტალინის თქმით, „ნაციონალური საკითხი კვლავაც არსებობდა რუსეთში“

ამ საკითხის არსს იგი იმაში ხედავდა, რომ აქ მცხოვრები ზოგიერთი ერი თავისი კულტურული, სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების დონით აშკარად ჩამორჩებოდა სხვა ერებს. „ძველი რეჟიმის დროს, - განაცხადა მან მოხსენებაში, - მეფის ხელისუფლება არ ცდილობდა და ვერც შეეცდებოდა განევითარებინა სახელმწი-

ფოებრიობა უკრაინაში, აზერბაიჯანში, თურქისტანში და სხვა განაპირა მხარეებში. ის ებრძოდა სახელმწიფოებრიობის განვითარებას განაპირა მხარეებში. ისევე, როგორც მათს კულტურულ განვითარებას და ცდილობდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ძალდატანებით ასიმილირებას" (ტ. 5, გვ. 42).

საბჭოთა ხელისუფლებამ კი პრინციპულად და არსებითად რომ შეცვალა ამ ხალხებისადმი დამოკიდებულება, ამის ნიმუშად სტალინს ბელორუსი და უკრაინელი ხალხების მაგალითი მოჰყავს. იგი კატეგორიულად არ დაეთანხმა ყრილობის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებას, თითქოს ის და მისი თანამოაზრენი „ხელოვნურად ნერგავდნენ ბელორუსთა ეროვნებას" სტალინის აზრით, „ეს არ იყო სწორი, იმიტომ, რომ არსებობდა ბელორუსთა ერი, რომელსაც ჰქონდა თავისი, რუსულისგან განსხვავებული ენა, რის გამო ბელორუსი ხალხის კულტურის ამაღლება მხოლოდ მის დედაენაზე შეიძლებოდა" (იქვე, გვ. 52).

იმავე აზრისა იყო იგი უკრაინის შესახებაც. სტალინი პრინციპულად არ იზიარებდა იმათ პოზიციას, ვინც თვლიდა, რომ „უკრაინული რესპუბლიკა და უკრაინელი ერი გერმანელების გამოგონილი იყო. მისი თქმით, უკრაინელი ერი ნამდვილად არსებობდა და „მისი კულტურის განვითარება კომუნისტების მოვალეობას შეადგენდა... თუ უკრაინის ქალაქებში აქამდე კიდევ ჭარბობდნენ რუსული ელემენტები, დროთა მსვლელობაში აუცილებლად მოხდებოდა ამ ქალაქების უკრაინიზაცია. მისი თქმით, ორმოციოდე წლის წინათ რიგა გერმანული ქალაქი იყო, მაგრამ რადგან ქალაქები სოფლების ხარჯზე იზრდებიან, ხოლო სოფელი ეროვნების შემნახველია, ამიტომ დღეს რიგა წმინდა ლატვიური ქალაქია" სტალინის თვალთახედვით, „იგივე დაემართებოდა ბელორუსიასაც, რომლის ქალაქებში ჯერ კიდევ არაბელორუსნი ჭარბობდნენ" (იქვე).

სტალინის აზრით, პრობლემა იყო ისიც, რომ „ველიკოროსი ერის მდგომარეობამ, რომელიც გაბატონებულ ერს წარმოადგენდა, თავისი გავლენის კვალი დატოვა რუს კომუნისტებშიც კი, რომელთაც არ შეუძლიათ ან არ სურთ დაუახლოვდნენ ადგილობრივი მო-

სახლეობის მშრომელ მასებს, გაიგონ მათი საჭიროებანი და დაეხმარონ მათ იმაში, რომ თავი დააღწიონ ჩამორჩენილობასა და უკულტურობას“ აქვე სტალინი საპირისპირო ვითარებასაც უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ არარუს ეროვნებათა მდგომარეობამ ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსულ კომუნისტებზეც მოახდინა გავლენა. მათ რიგებში, მისი თქმით, „ზოგჯერ თავს იჩენს ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა“

პარტიის წინაშე მდგარ ერთ-ერთ მთავარ ნაციონალურ საკითხად სტალინი იმასაც მიიჩნევს, რომ „აუცილებლად უნდა დაიხსნან გადაშენებისაგან ყირგიზები, ბაშკირები და ზოგიერთი მთიელი ტომი, უზრუნველყონ ისინი საჭირო მიწით კულაკ-კოლონიზატორების ხარჯზე“ (იქვე, გვ. 43). ასეთია, მისი განმარტებით, ის საკითხები და ამოცანები, რომლებიც იმხანად „ერთად შეადგენდნენ ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური საკითხის არსს“

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი საბჭოთა რესპუბლიკების კვლავ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეამდე სტალინი ერთბაშად არ მისულა. ვიდრე ამდაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მან საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო (ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: ლ. თოიძის დასახ. წიგნი). იმისათვის, რომ უფრო ნათლად გავერკვეთ მოვლენის არსში, მოკლედ გავიხსენოთ ზოგიერთი მომენტი.

1922 წლის 11 აგვისტოს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მოემზადებინა პროექტი რუსეთის ფედერაციისა და სხვა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ. მართალია, კომისიის თავმჯდომარედ კუიბიშევი იყო დანიშნული, მაგრამ მთავარი სამუშაოს შესრულება ფაქტობრივად სტალინს მოუხდა.

კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს, რომლის უმთავრესი ავტორი სტალინი იყო, საფუძვლად დაედო რუსეთის ფედერაციის

შემადგენლობაში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიურ რესპუბლიკათა სტატუსით შეყვანის მოთხოვნა. საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის პროექტი 23-24 სექტემბერს განსახილველად წარედგინა პლენუმს.

მანამდე კი სტალინის მიერ თეზისებად ჩამოყალიბებული ზემოთ აღნიშნული პროექტი რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაეგზავნათ. მათგან ყველამ, გარდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შეთავაზებულ ფორმას.

საქართველროს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1922 წლის 15 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში კი ზემოთ აღნიშნული პროექტი პრინციპულად იყო დაწუნებული. ქართველი კომუნისტების განცხადებით, ამდაგვარ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას ისინი მხოლოდ „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნების შემთხვევაში დაუჭერდნენ მხარს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებამ, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა სხვა რესპუბლიკების ანალოგიური ხასიათის დოკუმენტებისგან, „დადებითი როლი შეასრულა რესპუბლიკათა გაერთიანების ფორმის შერჩევაში. დასაშვებია, რომ იგი საფუძვლად დაედო ავტონომიზაციის იდეის ლენინისეულ კრიტიკას. უფრო მეტიც, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება რომ არა, ავტონომიზაციის იდეის გატარებას, ვინ იცის, წინ, იქნებ, არც არაფერი დასდგომოდა“ (ლ. თოიძე, დასახ. წიგნი, გვ. 225).

1922 წლის სექტემბრიდან ლენინი უკვე აქტიურად ჩაერთო ახალი სახელმწიფოს პროექტის შექმნის პროცესში და წამოაყენა წინადადება დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის რუსეთისაც, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ მასში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სრული დაცვით. თავდაპირველად, ლენინი ფიქრობდა, რომ ამ ახალ საკავშირო სახელმწიფოს ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი დარქმეოდა, მაგრამ შემდგომში მისი წინადადებით

ახალ სახელმწიფოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) ეწოდა.

ასე შეიცვალა კომისიის მიერ წარდგენილ პროექტში ავტონომიზაციის იდეა რესპუბლიკათა სრული სუვერენული კავშირის შექმნის იდეით, რაც გულისხმობდა ამ რესპუბლიკების არა რუსეთის ფედერაციაში შესვლას, არამედ სრულიად ახალ სახელმწიფოდ მათ თანაბარუფლებიან გაერთიანებას.

პლენუმის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სტალინმა უკვე პრინციპულად შეიცვალა ძველი პოზიცია და იგი აქტიური მხარდამჭერი გახდა ახალი სახელმწიფოს ამდაგვარი ფორმით შექმნის იდეისა. ეს ნათლად გამოჩნდა იმ ინტერვიუშიც, რომელიც მან 1922 წლის 18 ნოემბერს მისცა „პრავდის" კორესპონდენტს (ტ. 5, გვ. 152, გვ. 152-159).

სტალინმა დაწვრილებით წარმოაჩინა ამ კავშირის არსი და ხაზგასმით განაცხადა, რომ აღნიშნული „მოძრაობის ინიციატივა თვით რესპუბლიკებს ეკუთვნოდა". ამ იდეისათვის სტიმულის მიმცემ ფაქტად, მისი თქმით, სამიოდე თვის წინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა „ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება" იქცა. სტალინის შეფასებით, ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის იდეამ რესპუბლიკებში „უმაგალითო ენთუზიაზმი გამოიწვია" და ამ მოძრაობას „აშკარად აღტაცებით შეხვდნენ" როგორც ამიერკავკასიაში, ისე უკრაინასა და ბელორუსიაში.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის შექმნის ინიციატორებად სტალინი ყველა რესპუბლიკას ასახელებს, გარდა რუსეთისა და ვითარებას ისე წარმოაჩენს, თითქოს ეს რესპუბლიკა ამ საქმეში არავითარ აქტიურობას არ იჩენდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სსრ კავშირი ფაქტობრივად აღრინდელი რუსული იმპერიის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა, ადვილი ასახსნელია, რატომ არ ხდება რუსეთის ნამდვილი სახელმწიფოებრივი ინტერესების აფიშირება და წამოწევა წინა პლანზე.

კორესპონდენტის კითხვაზე, „რესპუბლიკის ამდაგვარი გაერთიანება საბოლოოდ რუსეთთან მათი შეერთებით ხომ არ დამთავ-

რდებაო“, სტალინი კატეგორიული ტონით ამბობს: „არა, არ ნიშნავს!... ნაციონალური რესპუბლიკების გაუქმება აბსურდი იქნებოდა, რაც მოითხოვს არარუს ეროვნებათა გაუქმებას, მათს გარუსებას“

სტალინს ამის დაშვება პრინციპულად მიუღებელ ფაქტად მიაჩნია. მისი აზრით, მანამ, სანამ ნაციონალურ რესპუბლიკებს მათი არსებობის „ნაციონალური საფუძველი“ გააჩნიათ, „ვიდრე არსებობენ მათი წარმომშობი ეროვნებანი, ვიდრე არსებობს ნაციონალური ენა, ნაციონალური კულტურა, ყოფაცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი“, ამ რესპუბლიკათა ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამთავრდეს რუსეთთან მათი შეერთება-შერწყმით.

გაერთიანების შექმნის უმთავრეს საფუძვლად სტალინი რესპუბლიკათა ნებაყოფლობით სურვილს მიიჩნევს. გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში, მისი აზრით, მთლიანად უნდა ყოფილიყო გამორიცხული ყოველგვარი ძალდატანება, თვითეულ ნაციონალურ რესპუბლიკას ასევე უნდა ჰქონოდა კავშირის შემადგენლობიდან თავისუფალი და შეუზღუდველი გასვლის უფლება.

ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება თავდაპირველად მხოლოდ რუსეთის ფედერაციას, ამიერკავკასიის ფედერაციას, უკრაინასა და ბელორუსიას შორის უნდა გაფორმებულიყო. იმის გამო, რომ ბუხარა და ხორეზმი სახალხო რესპუბლიკები იყვნენ და არა სოციალისტური, ისინი, სტალინის თქმით, მათ სოციალისტურ რესპუბლიკებად გარდაქმნამდე „ამ გაერთიანების გარეთ დარჩებოდნენ“

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი საგანგებოდ იქნა განხილული სრულიად რუსეთის საბჭოების მე-10 ყრილობაზე 1922 წლის 26 დეკემბერს. სტალინმა ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში უკვე საბოლოოდ განსაზღვრა ამ გაერთიანების ძირითადი პარტიულ-სახელმწიფოებრივი პრინციპები. მან კიდევ ერთხელ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნას რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაბეჯითებით თხოვდნენ ამიერკავკასიის, უკრაი-

ნისა და ბელორუსიის საბჭოების ყრილობები. „ამ კამპანიის“ ინიციატორებად, სტალინის თქმით, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს რესპუბლიკები მოგვევლინენ, უწინარესად ამიერკავკასიის რესპუბლიკები და არა რუსეთი. „იქონია რა მსჯელობა“ რესპუბლიკებიდან მოსულ ამდაგვარ დადგენილებებზე, რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ასეთი „გაერთიანება დროულად სცნო“

რესპუბლიკების მოთხოვნათა გათვალისწინებით სტალინმა ყრილობის წინაშე დასვა საკითხი ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის შესახებ „აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხასიათის სათანადო საკავშირო ორგანოებით, კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტითა და სახალხო კომისართა საბჭოთი“

ამდაგვარი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას სტალინი „სამი ჯგუფის გარემოებებით“ ასაბუთებდა. პირველი ჯგუფი, მისი თქმით, „ჩვენს შინაგან სამეურნეო მდგომარეობას შეეხებოდა“ (სამეურნეო რესურსების სიმცირე, მთელ ფედერაციაში მიმოსვლის ძირითად საშუალებათა ერთიანობა, ფინანსური სახსრების სიმცირე...), მეორე ჯგუფს განსაზღვრავდნენ საგარეო მდგომარეობასთან დაკავშირებული ფაქტები (დამოკიდებულება უცხოეთის კაპიტალთან, საგარეო ვაჭრობა, დიპლომატიური ურთიერთობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, სამხედრო ხასიათის საფრთხე, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური იზოლაციის საშიშროება...) და ბოლოს, „მესამე ჯგუფი ფაქტებისა, რომლებიც აგრეთვე მოითხოვდნენ გაერთიანებას, დაკავშირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების აღნაგობის ხასიათთან, საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივ ბუნებასთან“ განსხვავებით კაპიტალისტური სამყაროსაგან, სადაც, სტალინის თქმით, „საქმე გვქონდა მრავალეროვან სახელმწიფოთა თანდათან დაცემასთან და შემადგენელ ნაწილებად დაშლასთან“, „ჩვენს ფედერაციაში, პირიქით, ჩვენ საქმე გვქონდა დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცების პროცესთან, პროცესთან, რომელსაც მივყავდით დამოუკიდებელ ეროვნებათა

სულ უფრო და უფრო მჭიდრო შეკავშირებისაკენ ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“

ასეთია სტალინის მიერ მოცემული არგუმენტაცია ახალი საკავშირო სახელმწიფოს შექმნისა. დრომ და მოვლენათა ისტორიული განვითარების პროცესმა იმდენად ნათლად და არაორაზროვნად წარმოაჩინა ამ არგუმენტაციის ნაკლოვანი მხარეები, რასაც საბოლოო შეღეგად სსრ კავშირის დაშლა მოჰყვა, რომ მათზე საგანგებო ყურადღების გამახვილება ამჯერად, ვფიქრობ, საჭირო უკვე აღარაა.

თავის მოხსენებაში ი. სტალინმა სახელდებულად გამიჯნა ერთმანეთისაგან საკავშირო ცენტრისა და რესპუბლიკების კომპეტენციები.

სტალინის მიერ შემუშავებული სახელმწიფოებრივი მოდელი საბოლოოდ განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობამ 1922 წლის 30 დეკემბერს. ამ ყრილობაზე სტალინის მიერ კაკეთებული მოხსენება და მის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტები: „დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“ და „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“ უკვე გადაწყვეტილად ამცნობდა ყველას სსრ კავშირად წოდებული ახალი სახელმწიფოს შექმნას.

ყრილობაზე ოფიციალურად მიღებულ „დეკლარაციასა“ და „ხელშეკრულებას“ საფუძვლად პირველ ყოვლისა სტალინის მიერ შემუშავებული და განსაზღვრული ზემოთ უკვე განხილული პრინციპები და დებულებები ედო.

***

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის შექმნის შემდგომ ეროვნული პრობლემა ქვეყანაში მწვავედ აქტუალურ საკითხს ერთი შეხედვით თითქოს უკვე აღარ წარმოადგენდა, სტალინი ამ საკითხზე მაინც ხშირად ამახვილებდა ხოლმე ყურადღებას.

ამ მხრივ ერთ-ერთი უაღრესად საინტერესოა 1923 წლის 24 მარტს „პრავდაში“ გამოქვეყნებული „ნაციონალური მომენტები

პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, თეზისები რკპ (ბ) XII ყრილობისათვის, მოწონებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ" პარტიის ეროვნული პროგრამის იდეოლოგიზებულ განხილვა-დახასიათებასთან და ქვეყნის წინაშე მდგარი ნაციონალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მოპოვებული მიღწევების წარმოჩენასთან ერთად მასში სტალინი ყურადღებას იმ სირთულეებზეც ამახვილებს, რომლებიც, მისი აზრით, ჯერ კიდევ იდგა მწვავედ და მტკივნეულად პარტიისა და ხელისუფლების წინაშე.

ძველი დროისაგან მემკვიდრეობით მიღებულ იმ დაბრკოლებათაგან, რომელთა დაძლევა სასწრაფოდ იყო აუცილებელი, სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას ორ უმთავრეს წინააღმდეგობაზე ამახვილებს.

პირველი მათგანია დიდმპყრობელური შოვინიზმი, რომელსაც იგი „ველიკოროსების ყოფილი პრივილეგიური მდგომარეობის ანარეკლს" უწოდებს. სტალინის აზრით, „ეს გადმონაშთები ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა მუშაკების თავში, ისინი დაბუდებული იყვნენ ჩვენს ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში" (ტ. 5, გვ. 205).

ობიექტურობა მოითხოვს ხაზგასმით აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ი. სტალინი აქაც და სხვაგანაც საკმაოდ მკაცრად და პრინციპულად აკრიტიკებს რუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს, რომელიც მას არა მარტო ძველი დროის გადმონაშთად მიაჩნია, არამედ ახალი. სოციალისტური ყოფის პირობებშიც საკმაოდ მომძლავრებულ მანკიერებადაც. ამიტომაც უწოდებს იგი „ველიკოროსული შოვინიზმის გადმონაშთებთან ბრძოლას პარტიის პირველი რიგის ამოცანას"

მეორე რიგის დაბრკოლება, რომელიც ნაციონალური პროგრამის განხორციელების გზაზე არანაკლებ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენს, სტალინის აზრით, „წინათ ჩაგრულ ხალხთა ერთგვარი ნაციონალური განკერძოება და რუსებისაგან მომდინარე ღონისძიებებისადმი სრული ნდობის უქონლობაა" ესაა „თავდაცვითი ნაციონალიზმი", რომელიც „ხშირად შეტევით ნაციონალიზმად

იქცევა“ და „უფრო ძლიერი ეროვნების წმინდა წყლის შოვინიზმად“ გადაიქცევა (იქვე, გვ. 207-208).

„ადგილობრივი შოვინიზმის“ სწორედ ასეთ გამოვლინებებად მიაჩნია სტალინს „ქართული შოვინიზმი, მიმართული სომხების', ოსების, აჭარლებისა (?) და აფხაზების წინააღმდეგ; აზერბაიჯანული შოვინიზმი, მიმართული სომხების წინააღმდეგ, უზბეკური შოვინიზმი (ბუხარასა და ხორეზმში), მიმართული თურქმენებისა და ყირგიზების წინააღმდეგ“ მისი თქმით, „ყველა ამ სახის შოვინიზმი... წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკას ჩხუბისა და კინკლაობის ასპარეზად გადაქცევას უქადის“

სტალინი პარტიული სიმკაცრით საუბრობდა იმაზე, რომ სსრ კავშირის შექმნას ბევრი საბჭოთა მოხელე „თანასწორუფლებიან სახელმწიფოებრივ ერთეულთა ისეთ კავშირად“ კი არ მიიჩნევდა, რომელიც „ნაციონალური რესპუბლიკების თავისუფალი განვითარების საფუძველი“ გახდებოდა, არამედ „როგორც ნაბიჯს ამ რესპუბლიკების ლიკვიდაციისაკენ“ (გვ. 209). სტალინმა ამგვარ თვალსაზრისს „ანტიპროლეტარული და რეაქციული“ უწოდა და მკაცრად გააკრიტიკა ყველა, ვინც ამ შეხედულებას იზიარებდა.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად და დასაბუთებულად წარმოეჩინა ამდაგვარი თვალსაზრისის უსაფუძვლობა, მან წინადადება წამოაყენა, „კავშირის უმაღლესი ორგანოები ისე აეგოთ, რომ მათ სავსებით გამოეხატათ არა მარტო კავშირის ყველა ეროვნების საერთო საჭიროებანი და მოთხოვნილებები, არამედ აგრეთვე ცალკეულ ეროვნებათა სპეციალური საჭიროებები და მოთხოვნილებები“ (გვ. 209).

ამ მიზნით სტალინმა მიზანშეწონილად მიიჩნია „კავშირის ცენტრალური ორგანოების გვერდით“ „გამოუკლებლივ ყველა ნაციონალური რესპუბლიკისა და ნაციონალური ოლქის ეროვნებათა წარმომადგენლობის სპეციალური ორგანოც შექმნილიყო ცალკე თანასწორობის საფუძველზე“

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებზე მსჯელობას სტალინმა კიდევ უფრო მეტი სიმწვავე და მასშტაბურობა შესძინა რკპ (ბ) XII ყრილობაზე (1923 წლის 17-25 აპრილი) გამოსვლების დროს.

მოხსენებაში მან ისევ აქცია მკაცრი კრიტიკის საგნად ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: ველიკოროსული შოვინიზმი, ადგილობრივი შოვინიზმი, სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებულ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შეზღუდვა-არშეზღუდვის საკითხი და ა.შ.

ამ უკანასკნელ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პარტიის XII ყრილობამდე გამოქვეყნებულ თეზისებში სტალინმა პრინციპულად უარყო რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მინიმალური შეზღუდვის ყოველგვარი შესაძლებლობა. ამჯერად კი ზემოთქმული თვალსაზრისი შემდეგნაირად დააზუსტა: „ზოგიერთები წმინდა სქოლასტიკურ კითხვას იძლევიან: როგორ, გაერთიანების შემდეგ რესპუბლიკები განა დამოუკიდებელნი რჩებიან? ეს სქოლასტიკური კითხვაა. მათი დამოუკიდებლობა იზღუდება, ვინაიდან ყოველი გაერთიანება, ერთგვარი შეზღუდვაა წინათ ქონებული უფლებებისა იმათთვის, ვინც გაერთიანდა. მაგრამ დამოუკიდებლობის ძირითადი ელემენტები, უეჭველია, რჩება თვითეულ რესპუბლიკას, თუნდაც იმიტომ, რომ თვითეულ რესპუბლიკას აქვს კავშირის შემადგენლობიდან ცალმხრივი გამოსვლის უფლება“ (იქვე, გვ. 268-269).

ვფიქრობ, მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და შეზღუდვის პრობლემა ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო რეალისტურადაა განსჯილ-შეფასებული, ვიდრე „თეზისებში“ გამოთქმულ თვალსაზრისში.

მოვლენათა რეალისტური შეფასების ამ ტენდენციამ მოხსენების იმ ეპიზოდებშიც იჩინა თავი, სადაც ველიკოროსული შოვინიზმია ქცეული მკაცრი კრიტიკის საგნად. სტალინის თქმით, „ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ჩვენში დღეობით კი არა, საათობით იზრდება დიდმპყრობელური შოვინიზმი, რომელიც ცდილობს წაშალოს ყოველივე არარუსული, თავი მოუყაროს მმართველობის ყველა ძაფს რუსული საწყისის გარშემო და გასრისოს არარუსული... ასეთი პოლიტიკის დროს ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ის

ნდობა რუსი პროლეტარებისადმი ყოფილი ჩაგრული ხალხების მხრივ, რომელიც მათ მოიპოვეს ოქტომბრის დღეებში... ეს საფრთხე, ამხანაგებო, ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა დავანარცხოთ მიწაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვემუქრება წინათ დაჩაგრულ ხალხთა მუშებისა და გლეხების ნდობის დაკარგვის პერსპექტივა" (იქვე, გვ. 271).

ეროვნული თანასწორუფლებიანობის დამყარების პრობლემებზე მსჯელობის დროს სტალინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ „საბჭოთა ხელისუფლება ჩვენში არა მარტო რუსული, არამედ საეროვნებათაშორისოც" ყოფილიყო. „ამისთვის, - განაცხადა მან, - საჭიროა არა მარტო სკოლები, არამედ აგრეთვე ყველა დაწესებულება, ყველა ორგანო, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა, თანდათანობით გაეროვნულდეს, რათა ისინი მოქმედებდნენ მასებისათვის გასაგებ ენაზე... მხოლოდ ამ პირობით მივიღებთ შესაძლებლობას - საბჭოთა ხელისუფლება რუსული ხელისუფლებიდან გადავაქციოთ საეროვნებათაშორისო, ახლობელ, გასაგებ და მშობლიურ ხელისუფლებად ყველა რესპუბლიკათა მშრომელი მასებისათვის" (იქვე, გვ. 285).

როგორც ითქვა, სტალინის ეროვნული მრწამსის საფუძველთა საფუძველი უპირველეს ყოვლისა მოვლენათა კლასობრივ-პარტიული თვალთახედვით განსჯაა. ეს პოზიცია მან რკპ(ბ) მე-12 ყრილობაზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაშიც მკვეთრად და არაორაზროვნად გამოხატა. მისი თქმით, მათთვის, „როგორც კომუნისტებისათვის, მთელი მუშაობის საფუძველს წარმოადგენს მუშაობა მუშათა ხელისუფლების განსამტკიცებლად და მხოლოდ ამის შემდეგ დგება მათ წინაშე მეორე საკითხი, ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ პირველისადმი დაქვემდებარებული საკითხი, - ნაციონალური საკითხი" (იქვე, გვ. 292).

ამ განმარტებით სტალინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მისი მსოფლმხედველობის საფუძვლად ქცეული კლასობრივი პრინციპის პარტიულ-იდეოლოგიურ ხასიათს. პირველ ყოვლისა, სწორედ კლასობრიობის ამ პრინციპზე დაყრდნობით სჯიდა და აფასებდა იგი ყველა მოვლენას, მათ შორის ნაციონალურ საკითხსაც.

ეს თვალსაზრისი სტალინმა კიდევ ერთხელ შეახსენა ყრილობის დელეგატებს თავის საბოლოო სიტყვაში და ჩვეული კატეგორიულობით განაცხადა: „უნდა გვახსოვდეს, რომ, გარდა თვითგამორკვევის უფლებისა, არსებობს კიდევ მუშათა კლასის უფლება - განამტკიცოს თავისი ძალაუფლება, და ამ უკანასკნელი უფლებისადმი დაქვემდებარებულია თვითგამორკვევის უფლება. არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც თვითგამორკვევის უფლება წინააღმდეგობაში ექცევა მეორე, უმაღლეს უფლებასთან, - ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი მუშათა კლასის უფლებასთან - განამტკიცოს თავისი ძალაუფლება. ასეთ შემთხვევაში, - ეს პირდაპირ უნდა ითქვას, - თვითგამორკვევის უფლება არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს დაბრკოლება იმ საქმისათვის, რომ მუშათა კლასმა განახორციელოს თავისი დიქტატურის უფლება. პირველმა უნდა დაიხიოს უკან მეორის წინაშე" (იქვე, გვ. 293).

აქ ყველაფერ ისე ცხადად და არაორაზროვნადაა ნათქვამი, რომ ავტორისეული პოზიციის შესაფასებლად, ვფიქრობ, არავითარი კომენტარის გაკეთება აღარაა საჭირო.

ახლადშექმნილი საბჭოთა ქვეყნის წინაშე მდგარი ეროვნული პრობლემების შესახებ საფუძვლიანი მსჯელობა გაიმართა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე თათბირზეც 1923 წლის 9-12 ივნისს. ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან გამართულ ამ შეხვედრაზე გამოსვლების დროს ი. სტალინი მწვავედ შეეხო ახალი სახელმწიფოს ორგანიზაციის ბევრ პრობლემატურ საკითხს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის საკითხები იყო, რომლებიც ქვეყნის არარუსი მოსახლეობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასა და შემდგომ განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად.

ისაუბრა რა ქვეყნის წინაშე მწვავედ მდგარ ეროვნულ პრობლემებზე, სტალინმა შემდეგნაირად განსაზღვრა პარტიის მიზანდასახულების არსი ამ პრობლემათა წარმატებით გადასაწყვეტად:

„ა) სახელმწიფო და პარტიული აპარატების წმინდა ნაციონალისტური ელემენტებისაგან (იგულისხმებიან, პირველ რიგში, ველიკოროსი, აგრეთვე ანტირუსი და სხვა ნაციონალისტები)....

ბ) სისტემატური და განუხრელი მუშაობა რესპუბლიკებსა და ოლქებში სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებათა ნაციონალიზაციისათვის, საქმის წარმოებაში ადგილობრივი ენების თანდათან შემოღების აზრით, ამასთან, სავალდებულოა, რომ პასუხისმგებელმა მუშაკებმა ადგილობრივი ენები შეისწავლონ" (ტ. 5, გვ. 328).

ამას ემატება ხაზგასმული მოთხოვნა დედაენაზე პერიოდული პრესისა და ყველა საფეხურის სასწავლებელთა ქსელის აუცილებლად არსებობისა, ადგილობრივი კადრების მომზადებისა და ა.შ.

ნაციონალური კადრების დაწინაურებაზე ზრუნვა რომ მხოლოდ სიტყვიერი საუბრით არ შემოიფარგლებოდა, ამის დასტურად თათბირის მონაწილეებს სტალინმა კონკრეტული მაგალითებიც დაუსახელა. კერძოდ, მან გაიხსენა ორი წლის წინათ ყირგიზეთის რესპუბლიკაში სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნული პესტკოვსკი, რომელმაც ყირგიზული ენა არ იცოდა და „ამ გარემოებამ ჯერ კიდევ მაშინ წარმოშვა უდიდესი სიძნელენი ყირგიზელ გლეხთა მასებთან ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობის კავშირურთიერთობის განმტკიცების საქმეში" სტალინი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პარტიამ წარმატებით გადაჭრა ეს პრობლემა და „ახლა ყირგიზეთის რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე არის ყირგიზი" (იქვე, გვ. 353). მისი აზრით, ამდაგვარი მაგალითები გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო და „მთავრობის დაწესებულებათა თანდათანი ნაციონალიზაციის ეს ხაზი ყველა ნაციონალურ რესპუბლიკასა და ოლქში" უნდა გატარებულიყო განუხრელად.

საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა ნაციონალური საჯარისო ნაწილების შექმნის პრობლემაც. სტალინმა ამ პრობლემის გადაწყვეტა პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია და მოითხოვა „ადგილობრივი ადამიანებისაგან გარკვეულ ვადაში მოემზადებინათ მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც შემდგომში ნაციონალური საჯარისო ნაწილების ბირთვად გადაიქცეოდა" მისი აზრით, „ნაციონალური საჯარისო ნაწილების შექმნის საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა" როგორც გარესახელმწიფო-

თა შესაძლო თავდასხმების მოგერიების თვალსაზრისით, „ისე მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ რესპუბლიკების კავშირის შესაძლო იძულებითი გამოსვლის აზრითაც“ (იქვე. გვ. 330).

სსრ კავშირის შექმნის საწყის ეტაპზე სტალინის მიერ ესოდენ ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული და ბევრი რამის მიხედვით დღესაც მისაღები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროგრამა, სამწუხაროდ, რაც დრო გადიოდა უფროდაუფრო შორდებოდა რეალურ სინამდვილეს და ფაქტობრივად ძნელად თუ სცილდებოდა სიტყვიერი დეკლარაციის ფარგლებს.

პარტიულ ფორუმებზე გამოსვლების დროს სტალინი სსრ კავშირში მცხოვრებ ხალხთა არათანაბარ კულტურულ განვითარებაზეც ხშირად ამახვილებდა ხოლმე ყურადღებას. მაგალითად, ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მეოთხე თათბირზე (1923 წლის 9-12 ივნისი) წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში მან კონკრეტულად მიმოიხილა ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთაგან, სტალინის აზრით, „ყველაზე უფრო განვითარებულ და მოწინავე რესპუბლიკად ხალხის ენასა და ყოფაცხოვრებასთან პარტიული და, განსაკუთრებით, სახელმწიფო აპარატის მიახლოების აზრით საქართველო უნდა ჩათვლილიყო“ (ტ. 5. გვ. 361), სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი 80-მდე აღწევდა. მას მოსდევდა სომხეთი (წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 40%), შემდეგ კი მოდიოდნენ „დანარჩენი რესპუბლიკები და ოლქები“ სტალინი ამ ინფორმაციას „უდავო დასკვნას“ უწოდებს და აღნიშნულ მოვლენას „საქართველოსა და სომხეთის მეტი კულტურულობით“ ხსნის. თავის გამოსვლაში ორატორს არ დაუკონკრეტებია ამ ჩამონათვალში კონკრეტულად რუსეთს რა ადგილი ეჭირა.

სამაგიეროდ სტალინი გულისტკივილით საუბრობს თურქისტანისა და უკრაინის მეტისმეტ კულტურულ ჩამორჩენაზე. მისი შეფასებით, თურქისტანში მდგომარეობა ამ თვალსაზრისით „ყველაზე უფრო ცუდია... კულტურული ჩამორჩენილობა, წერა-კითხვის მცოდნეთა საშინლად მინიმალური პროცენტი, სახელმწიფო აპარა-

ტის მოწყვეტილობა თურქისტანის ხალხთა ენისა და ყოფაცხოვრებისაგან, განვითარების საშინლად ნელი ტემპი“

სტალინის აზრით, „წერა-კითხვის მცოდნეობითა და სხვა მხრივ ასეთივე მდგომარეობა იყო უკრაინაშიც“ თათბირის მონაწილეთა ყურადღება სტალინმა იმ რუსი ხელმძღვანელი პირების კრიტიკასაც მიაპყრო, რომლებიც „ზოგჯერ გასაქანს არ აძლევდნენ ადგილობრივ ადამიანთა წრიდან გამოსულ მუშაკებს, აფერხებდნენ მათს დაწინაურებას განსაზღვრულ პოსტებზე, გზას უხშობდნენ მათ“ (გვ. 367).

თათბირზე მწვავე კრიტიკის საგნად იქცა „რესპუბლიკების კავშირის ხასიათის საკითხი“ სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა „უკრაინელი ამხანაგები“, კონკრეტულად კი რაკოვსკი, რომლებმაც სსრ კავშირის კონსტიტუციის მათეულ შესწორებულ ვარიანტში „ამოშალეს ფრაზა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ“ სტალინი აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ „უკრაინელებმა თავის კანონპროექტში ნულამდე დაიყვანეს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის ძალაუფლება“ „ზოგიერთი უკრაინელი ამხანაგის“ ამდაგვარ დაჟინებულ მოთხოვნებში სტალინი „ხედავს სურვილს - კავშირის ხასიათის განსაზღვრის მხრივ მიაღწიონ რაღაც საშუალოს კონფედერაციასა და ფედერაციას შორის, ამასთან უპირატესობა მიანიჭონ კონფედერაციას“ ეს მაშინ, როცა, სტალინის თქმით, „ჩვენ ვქმნით რესპუბლიკების არა კონფედერაციას, არამედ ფედერაციას, ერთ საკავშირო სახელმწიფოს, რომელიც არ ამცირებს ცალკეულ რესპუბლიკათა სუვერენობას“ (ტ. 5, გვ. 370).

სტალინმა პრინციპულად არ მოიწონა უკრაინელების მიერ შემოთავაზებული შესწორებული ვარიანტი, რომელიც, მისი აზრით, არსებითად ცვლიდა მოვლენის არსს. კერძოდ, ისინი მოითხოვდნენ სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობის მიერ მიღებულ კონსტიტუციაში ფორმულირებული განსაზღვრება - ესა და ეს რესპუბლიკები „ერთიანდებიან ერთ საკავშირო სახელმწიფოდ - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“ შეცვლილიყო ამ-

დგავარი ფორმულირებით: ესა და ეს რესპუბლიკები „შეადგენენ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს“

სტალინის აღშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ამ ფორმულირებიდან „ამოგდებული იყო სიტყვები „ერთიანდებიან ერთ საკავშირო სახელმწიფოდ“ რატომ? განა ეს შემთხვევითია? კითხულობს იგი - სადღაა აქ ფედერაცია? კონფედერალიზმის ჩანასახებს რაკოვსკისთან მე კიდევ იმაში ვხედავ, რომ მან I ყრილობის მიერ მიღებული კონსტიტუციის ცნობილ პუნქტში ამოაგდო სიტყვები პრეზიდიუმზე, როგორც „საერთაშორისო პერიოდში უმაღლესი ძალაუფლების მატარებელზე“ და გაყო ძალაუფლება ორი პალატის პრეზიდიუმებს შორის , ე.ი. ფიქციად აქცია საკავშირო ხელისუფლება. რატომ ჩაიდინა მან ეს? იმიტომ, რომ ის საკავშირო სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგია, ნამდვილი საკავშირო ძალაუფლების წინააღმდეგია“ (იქვე, გვ. 374-375).

ასეთი იყო სტალინის შეუვალად მტკიცე და მყარი პოზიცია სსრ კავშირის სახელმწიფოებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებით, პოზიცია, რომელიც მთლიანად და უალტერნატივოდ ეფუძნებოდა რესპუბლიკათა ისეთი ფედერაციის შექმნას, რომლის დროსაც მასში გაერთიანებულ რესპუბლიკებს ფაქტობრივად მხოლოდღა ფორმალურად რჩებოდათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ისინი ერთიანი უნიტარული სახელმწიფოს ნაწილებად იყვნენ ქცეულნი.

როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, ი. სტალინის მსოფლ მხედველობის საფუძველთა საფუძველს უპირველეს ყოვლისა კლასობრივ-პარტიული იდეოლოგია წარმოადგენს. უწინარესად სწორედ ამ თვალთახედვით სჯის და იაზრებს იგი მოვლენებს და ყოველი პრობლემის გააზრებას კლასობრივ პრინციპებზე დაყრდნობით ახდენს.

ეს ტრადიცია, ბუნებრივია, არც ეროვნული საკითხის განსჯა-გააზრების დროს ირღვევა. ნათქვამის ნათელსაყოფად ამ თვალსაზრისით უკვე მოშველიებული მაგალითების გარდა ერთსაც გავიხსენებ - სულიერი კულტურის ავტორისეულ განმარტებას, რომელსაც

საფუძვლად სწორედ ამდაგვარი კლასობრივ-პარტიული თვალთახედვა უდეკს.

ი. სტალინი პრინციპულად მიჯნავს ერთმანეთისაგან ნაციონალურ და პროლეტარულ კულტურას. მან კიდევ უფრო ?.ააღრმავა ლენინის თეორია ორი კლუტურის - ბურჟუაზიული და სოციალისტური კულტურების არსებობის შესახებ, ნაციონალური კულტურა ბურჟუაზიულად მიიჩნია და დირექტიული მითითებებით ცადა იმ პრინციპების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო პროლეტარული კულტურის შექმნა.

ასე ჩამოაყალიბა მან საბჭოთა ეპოქაში ფართოდ პოპულარული ფორმულა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნის აუცილებლობის შესახებ. სტალინის თქმით, „პროლეტარული კულტურა თავისი შინაარსით სოციალისტური გამოხატულების სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს იღებს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხებში, ენის, ყოფაცხოვრების და სხვა განსხვავების მიხედვით. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური - ასეთია ის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი" (ტ.7, 1949 წ. გვ. 152).

ამ დროიდან მოყოლებული სტალინური თვალსაზრისი „შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის" შესახებ ფართოდ დეკლარირებულ ლოზუნგად დამკვიდრდა მთელ ქვეყანაში, როგორც საბჭოთა კულტურის შექმნის საფუძველთა საფუძველი. სტალინის არაერთგზისი განმარტებით, „სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის განვითარება საბჭოეთის საფუძველზე" უნდა მომხდარიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ნაციონალური კულტურის განვითარება ჩვენში შეფარდებული უნდა ყოფილიყო სოციალიზმის ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან" მისი თქმით, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ პარტია და ხელისუფლება ამით ნაციონალური კულტურის წინააღმდეგნი იყვნენ. პირიქით, ამ გზით კიდევ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო დაცული „სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურა, ნაციონალური ენა, სკოლა, პრესა და სხვ." (თხზ. ტ; 10, 1950 წ. გვ 73).

ყველა თანაპარტიელი, ვინც ნაციონალური კულტურისადმი ზრუნვის ამ ფუძემდებლურ პრინციპს დაარღვევდა, სტალინს ანტილენინელად მიაჩნდა და მკაცრად აკრიტიკებდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ზინოვიევი, რომლის ანტიეროვნულ თვალთახედვას მან 1927 წელს ამდაგვარი შეფასება მისცა: „ზინოვიევი ომს უცხადებს რა ნაციონალურ კულტურას, ფიქრობს ახლა გადააყირავოს ყოველივე ეს, წაშალოს, დაამხოს და ამ კოლონიზატორულ ჩმახვას ნაციონალურ საკითხზე უწოდებს ლენინიზმს! განა სასაცილო არ არის ეს, ამხანაგებო!" (იქვე. გვ. 74).

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნამ ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად სავსებით ბუნებრივად ენობრივი პრობლემაც მწვავედ დასვა დღის წესრიგში. ზოგიერთები, მაგალითად, კაუცკი, დაბეჯითებით იცავდნენ თეორიას ერთიანი საერთო-საკაცობრიო ენის შექმნისა და დანარჩენი ენების სიკვდილის შესახებ. ი. სტალინი არაორაზროვნად ეწინააღმდეგება ამ თვალსაზრისს და თავის შეხედულებას ერთგან ამგვარად აყალიბებს: „მე ნაკლებად მჯერა ეს ერთიანი ყოვლისმომცველი ენის თეორია. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება ამ თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს და არა მის სასარგებლოდ. დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ სოციალისტური რევოლუცია კი არ ამცირებდა, არამედ ზრდიდა ენათა რაოდენობას, ვინაიდან.. ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს მთელ რიგ ახალ ეროვნებებს, რომლებიც წინათ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ მეფის ძველი რუსეთი სულ ცოტა 50 ერსა და ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენდა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ძველი ბორკილები გაგლიჯა და ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ხალხები და ეროვნებანი" (ტ. 7. გვ. 152-153).

მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისში ბევრი რამ უთუოდ მართალია და ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ კულტურულად და ინტელექტუალურად ჩამორჩენილ ბევრ ხალხს მართლაც გაუღვივა ეროვნული თვითშეგნება და მისცა დიდ ასპარეზზე გამოსვლის შესაძლებლობა, სტალინი იქვე არც იმის შესაძ-

ლებლობას გამორიცხავს, რომ დროთა განმავლობაში „ზოგიერთმა ეროვნებამ შეიძლება ასიმილაციის პროცესი განიცადოს და ალბათ ნამდვილადაც განიცდის ამ პროცესს“ მაგრამ ეროვნებათა ასიმილაციის ეს პროცესი, მისი თქმით, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს „საწინააღმდეგო პროცესს, მთელი რიგი ცოცხალი და განვითარების გზაზე მდგარი ერების გაძლიერებისა და განვითარების პროცესს, ვინაიდან ცალკეულ ეროვნებათა ასიმილაციის ნაწილობრივი პროცესი ერთა განვითარების საერთო პროცესის შედეგია“ (იქვე, გვ. 154).

როგორც სტალინის ნაწერების გაცნობა ადასტურებს, მას არაერთგზის მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნული პრობლემისთვის და ერების ასიმილაციისა და ერთი საერთო ენის შემოღების საკითხი მეტისმეტად შორეული მომავლის საქმედ მიაჩნდა. 1927 წელს, მაგალითად, იგი წერდა: „შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდის განმავლობაში, ე.ი. სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებამდე, აუცილებლად გაქრებიან ჩვენში ერები და შეერთდებიან ერთი საერთო ენის მქონე ერად? ვფიქრობ, რომ არ შეიძლება. უფრო მეტიც, პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შედეგადაც კი დიდხანს იარსებებს ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი (თხზ. ტ. 10, 1950 წ. გვ. 160).

მანამდე კი, კაპიტალისტური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სსრ კავშირში პარტია, სტალინის თქმით, ყველა პირობას შექმნიდა ერთა თავისუფალი და შეუზღუდველი განვითარებისთვის. მრავალეროვანი ცენტრალიზებული საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, მისი მტკიცებით, ჩვენში უკვე აღარ „არსებობდნენ მეორე თანრიგის ერები, „არასახელმწიფო“ ერები, არასრულუფლებიანი ერები... მოსპობილი იყო ეროვნული უთანასწორობისა და ეროვნული ჩაგვრის ყველა ატრიბუტი“ და „წინათ გაბატონებული ველიკოროსი ერის ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრივილეგიები“ (ტ. 10, გვ. 133).

ერთა ამგვარ თანასწორუფლებიანობაზე საუბრის დროს სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ ეს ყველაფერი ჩვენში სიტყვიერი დეკლარაციების დონეზე კი არ რჩებოდა, არამედ პრაქტიკულადაც ხორციელდებოდა, რამაც შესაძლებელი გახადა ერებს შორის ურთიერთუნდობლობის აღმოფხვრა და ნებაყოფლობის საფუძველზე მათი ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება.

სტალინი ხაზგასმული სიამაყით აცხადებს იმ ფაქტს, რომ ამ მრავალეროვანი სახელმწიფოს უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების ხელმძღვანელებად, გარდა რუსებისა, ხშირად არარუსი ეროვნების ადამიანებიც ინიშნებოდნენ და კონკრეტულად ასახელებს ამის მაგალითებს. მისი თქმით, „ეს ფაქტი ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იყო და ასეთ ნაბიჯს არც ერთი ბურჟუაზიული რესპუბლიკა არ გადადგამდა“ (იქვე გვ. 134).

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ასეთი პოლიტიკის წყალობით საკავშირო ხელისუფლების მაღალ პოსტებზე მართლაც ინიშნებოდნენ არარუსი ეროვნების ადამიანები, ამ შემთხვევაში მთავარი მათი ეროვნული წარმომავლობა კი არ იყო, არამედ ის საქმე, რასაც ისინი უძღვებოდნენ და ემსახურებოდნენ. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ჩვენში ცნებები რუსი და საბჭოთა იმდენად იყო ერთმანეთთან გაიგივებული, რომ ფაქტობრივად ისინი სინონიმებადაც კი აღიქმებოდა.

ამიტომაცაა, რომ სსრ კავშირის მაღალ სახელისუფლებო პოსტებზე აღზევებულ თითქმის ყოველ არარუს პარტიულ მუშაკს, უნდოდა მას ეს თუ არა, უღალატო ერთგულებით პირველ ყოვლისა სწორედ ის პოლიტიკა უნდა გაეტარებინა, რომელიც პარტიასა და ხელისუფლებას ჰქონდა შემუშავებული. ამ პოლიტიკის არსსა და მიმართულებას კი უწინარესად რუსი და რუსული ცნობიერების მქონე პარტიული ელიტის წარმომადგენლები ქმნიდნენ და განსაზღვრავდნენ სოციალისტური იდეოლოგიის ფუძემდებლურ კლასობრივ პრინციპებზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პოლიტიკის შემოქმედნი არც სსრ კავშირში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნულ ინტერესებს უგულვებელყოფდნენ და ივიწყებდნენ, აღნიშნული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზების დროს სხვა ერებთან შედარებით წინა პლანზე უპირველეს ყოვლისა მაინც რუსეთისა და ყოველივე რუსულის ჰეგემონისტურად პრიორიტეტული როლი იწევდა ხოლმე ცხადად და არაორაზროვნად.

ველიკოროსული შოვინიზმისა და „ადგილობრივი ნაციონალიზმის" კრიტიკას სტალინმა 1930 წელს გამართულ საკავშირო კპ (ბ) XVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაშიც დაუთმო საგულისხმო ადგილი. ამ თვალსაზრისით პარტიაში არსებული გადახრები მან ქვეყნის წინაშე მდგარ ძნელად დასაძლევ სირთულეებად მიიჩნია და კიდევ ერთხელ ამხილა კრიტიკულად მათი არსი. კერძოდ, მისი განმარტებით, „ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრის არსს' შეადგენს მისწრაფება - უგულვებელყონ ენის, კულტურის, ყოფაცხოვრების ეროვნული განსხვავებანი; მისწრაფება - მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია, მისწრაფება - ძირი გამოუთხარონ ეროვნული თანასწორუფლებიანობის პრინციპს და სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას აპარატის ნაციონალიზაციის, პრესის, სკოლისა და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში" (თხზ. ტ.12, 1950 წ.გვ. 394).

სტალინი მკაცრად დაუპირისპირდა „უკლონისტების" სახელით მონათლულ მის იმ თანაპარტიელებს, რომლებიც, „ემყარებოდნენ რა იმას, რომ სოციალიზმის გამარჯვების დროს ერები ერთ ერად უნდა შეერთებულიყვნენ, ხოლო მათი ეროვნული ენები ერთ საერთო ენად უნდა გადაქცეულიყვნენ", აქტიურად სვამდნენ საკითხს, უკვე „მოეხდინათ ეროვნულ განსხვავებათა ლიკვიდაცია და ხელი აეღოთ წინათ ჩაგრული ხალხების ეროვნული კულტურის განვითარებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკაზე" ასე დაუპირისპირდნენ „უკლონისტები" ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ცალკე გამოყოფას სსრ კავშირის შემადგენლობაში და სასწრაფოდ მოითხოვეს მათი გაუქმება.

სტალინი პარტიაში საკმაოდ მძლავრად ფეხმოდგმულ ამდაგვარ გადახრას, რომელსაც მისი მიმდევრები „ინტერნაციონალიზმის ნიღაბით და ლენინის სახელით ფარავდნენ", „ველიკოროსული ნაციონალიზმის ყველაზე მოქნილ და ამიტომ ყველაზე საშიშ სახეს" უწოდებს.

მათგან განსხვავებით, იგი, პირიქით, პარტიის ეროვნული პოლიტიკის მაგისტრალურ მიმართულებად ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურის დაცვა-განმტკიცებისათვის აქტიურ ზრუნვას აღიარებს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად სტალინს კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს სსრ კავშირში მცხოვრებ ხალხთა ყოფიდან. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ბელორუსები და უკრაინელები, რომლებიც მცირე რამით დგანან ახლოს ველიკოროსებთან, „პროლეტარული რევოლუციის შედეგად კი არ გარუსდნენ, არამედ პირიქით, აღორძინდნენ და განვითარდნენ, როგორც დამოუკიდებელი ერები" (იქვე, გვ. 396).

ანალოგიურ ვითარებაში იმყოფებიან საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვა ერებიც, რომელთა შორის სტალინი ქართველებსაც მოიხსენიებს. „მოჩვენებით ინტერნაციონალიზმს გამოღევნებული ჩვენი უკლონისტები" კი, მისი თქმით, ამ დროს „ერთი საერთო ენისათვის იბრძვიან ერთი სახელმწიფოს ფარგლებში", რითაც „არსებითად ცდილობენ აღდგენილ იქნას წინათ გაბატონებული ენის, სახელდობრ ველიკოროსული ენის პრივილეგიები" (იქვე. გვ. 397).

სტალინის ამდაგვარი ბრძოლა „უკლონისტების" წინააღმდეგ და პარტიის ნაციონალური პროგრამის უმთავრეს მიმართულებად საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერებისა და ეროვნული ენების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის აქტიური ზრუნვის გამოცხადება მეტად მნიშვნელოვანი პოზიტიური ფაქტია, რომლის უგულვებელყოფა და სათანადო შეუფასებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მან პირდაპირ და გარკვევით განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან, რომ „ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების მოსპობა ნიშნავდა სსრ კავშირის ხალხთა მილიონიან მასებს მოსპობოდათ შესაძლებლობა – მიეღოთ განათლება დედაენაზე, მოესპოთ მათი შესაძლებლობა – ჰქნოდათ სკოლა, სასამართლო, ადმი-

ნისტრაცია, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები დედაენაზე" (იქვე. გვ. 398).

სტალინის მტკიცებით, სოციალისტური კულტურა არათუ უეროვნო კულტურა არ არის, არამედ, პირიქით, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი სსრ კავშირში ეროვნულ კულტურათა გაშლა-გაფურჩქვნის ხანაა, დრო „შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ეროვნულ კულტურათა აყვავებისა".

აქვე, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, სტალინი არც იმ მოჩვენებით წინააღმდეგობას ტოვებს უყურადღებოდ, რომელიც შეიძლება მოვლენათა არსში სათანადოდ გაუცნობიერებელმა კაცმა აღმოაჩინოს მის ეროვნული მოძღვრებაში. როგორც თავადვე ამბობს, „იქნებ ვისმე უცნაურად ეჩვენოს, რომ ჩვენ, მომხრენი იმისა, რომ მომავალში ეროვნული კულტურები შეერთდნენ ერთ საერთო (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურად, ერთი საერთო ენით, ამავე დროს მხარს ვუჭერთ ეროვნული კულტურების აყვავებას ამჟამად, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. მაგრამ აქ უცნაური არაფერია. ეროვნულ კულტურებს შესაძლებლობა უნდა მივცეთ განვითარდნენ და აყვავდნენ, გამოავლინონ მთელი თავისი პოტენცია, რათა შევქმნათ პირობები იმისათვის, რომ ისინი მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში შეერთდნენ ერთ საერთო კულტურად, ერთი საერთო ენით" (იქვე, გვ. 401).

ველიკოროსულ შოვინიზმთან ერთად სტალინმა ასევე მკაცრად გააკრიტიკა მისი საპირისპირო მოვლენაც - „ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა", რომლის არსს, მისი განმარტებით „შეადგენს მისწრაფება - განცალკევდნენ და ჩაიკეტონ თავიანთი ეროვნული ნაჭუჭის ჩარჩოებში, მისწრაფება - მიჩქმალონ კლასობრივი წინააღმდეგობანი თავიანთი ერის შიგნით" და ა.შ. (იქვე. გვ. 403).

საბოლოო დასკვნა, რომელიც ორივე ამ „გადახრის" კრიტიკული განხილვა-შეფასების შემდეგ გამოაქვს სტალინს, ასეთია: „პარტიის ამოცანა ის არის, რომ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ამ გადახრასთან და უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა მშრომელი მასების ინტერნაციონალისტური აღზრდისათვის საჭირო პირობები" (იქვე. გვ. 404).

ერებისა და ეროვნული ენების მომავლის პრობლემა

სსრ კავშირის შექმნის შემდგომ ეროვნულ საკითხებზე მსჯელობის დროს სტალინის ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი ერებისა და ენების მომავალი ბედის განსაზღვრის პრობლემამ დაიკავა. საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებით სტალინი თვლიდა, რომ ეროვნული პრობლემის მოგვარების გზაზე უმთავრესი სირთულენი უკვე წარმატებით იყო დაძლეული. ახლა მთავარი და არსებითი იმის გარკვევა იყო, მომავალში როგორ უნდა წარმართულიყო საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერთა მომავალი.

მიუხედავად იმისა, რომ ის კლასობრივ-პარტიული მოძღვრება, რომელიც სტალინის მსოფლმხედველობას ედო საფუძვლად, თავისი არსით ანტიეროვნული იყო, არასოდეს, არც ოქტომბრის რევოლუციამდე და არც მის შემდგომ, მას ეს პრობლემა უმნიშვნელოდ და მეორეხარისხოვნად არ მიუჩნევია. მართალია, სტალინის ეროვნული თვალთახედვის განმსაზღვრელი ბევრი ფუძემდებლური დებულება უწინარეს ყოვლისა კლასობრივ-პარტიულ პრინციპებსაა დაქვემდებარებული, მაგრამ ისიც უდავო ფაქტია, რომ იგი იმავდროულად ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და შემდგომი გაღრმავების გზებსაც აქტიურად ეძებდა და აშკარად ილაშქრებდა ნაციონალური ნიჰილიზმის წინააღმდეგ.

ხომ არ ნიშნავს ეს სტალინის ეროვნული თვალთახედვის გაორებასა და შინაგან წინააღმდეგობას? ვფიქრობ, რომ არა. ჩემის აზრით, სტალინის ეროვნული მოძღვრების არსი ორ უმთავრეს ფუძემდებლურ პრინციპს ეფუძნებოდა: პირველი, მიუხედავად იმისა, რომ იგი თეორიულად ერთა თვითგამორკვევისა და თვითგამოყოფის უფლების აქტიური დამცველი იყო, რეალურად მუდამ და ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის დაშლას და მის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოების შექმნას, ვინაიდან კლასობრივ-პარტიული იდეოლოგია ცალსახად ავალდებულებდა გეზშეუცვლელად მდგარიყო რუსეთის ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწი-

ფოს დამცველთა რიგებში. ამიტომაცაა, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი დაშლის შემდეგ მისი, როგორც ახალი წყობილების ერთ-ერთი უპირველესი ლიდერის, უმთავრესი მიზანსწრაფვის საგანი ამ იმპე'რიის მოდერნიზებული ფორმით აღდგენა იყო.

ამ გზის ძიებამ იგი, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის შექმნის იდეამდე მიიყვანა. თავისი ხანგრძლივი პარტიულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შედეგად სტალინმა ყველაფერი გააკეთა ამ კავშირის სახელმწიფოებრივი მთლიანობის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მისი აქტიური ინიციატივით სსრ კავშირის კონსტიტუცია მოკავშირე რესპუბლიკებს კავშირიდან შეუზღუდველი და თავისუფალი გამოყოფის უფლებასაც უკანონებდა, სინამდვილეში ეს მხოლოდ ფორმალურად მინიჭებული უფლებამოსილება იყო, რომელსაც იმჟამად რეალური განხორციელების არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა.

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე სტალინის ეროვნული მოძღვრების მეორე ფუძემდებლური პრინციპიც უსათუოდ უნდა გავიხსენოთ - აქტიური პრაქტიკული ზრუნვა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული ინტერესებისა და თვითმყოფადობის დასაცავად და შესანარჩუნებლად, რისი გაკეთებაც მას მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს პირობებში მიაჩნდა დასაშვებად და არავითარ შემთხვევაში ამ ერთიანობისაგან განცალკევებულად. ამიტომაც იცავს იგი ასე ხშირად საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების ეროვნულ ინტერესებს ასე დაბეჯითებით და მკაცრად აკრიტიკებს ყველას, ვინც ამ ინტერესებს უგულვებელყოფს და ერების ასიმილაციას უჭერს მხარს.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიული თვალსაზრისით სტალინის ეროვნულ მოძღვრებაში, როგორც უკვე ითქვა, ბევრი რამ დღესაც მისაღებია და მხარდასაჭერი, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ამ მოძღვრების ყველა არსებითი პრინციპის პრაქტიკული განხორციელება

ვერ მოხერხდა და თეორიულად ფორმულირებული იდეები და რეალური სინამდვილე ზოგჯერ დიამეტრალურადაც კი დაშორდა ერთმანეთს.

***

ერებისა და ენების მომავალი ბედის განსჯა-გააზრებას სტალინმა განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო ცნობილ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ (1929 წ.), რომელიც ზოგიერთი მისი პარტიელი ამხანაგის მიერ ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებით გამოთქმული „ანტილენინური“ შეხედულებების მკაცრ კრიტიკას ისახავს მიზნად.

სტალინი კიდევ ერთხელ შეეხო ერის რაობის განსაზღვრის პრობლემას და პრინციპულად არ გაიზიარა მისი ოპონენტების განსხვავებული შეხედულებანი. კერძოდ, მის მიერ გამოყოფილ ერის რაობის განმსაზღვრელ ოთხ ნიშანს - ენის ერთობას, ტერიტორიის ერთობას, ეკონომიკური ცხოვრების ერთობასა და ფსიქიკურ ერთობას ზოგიერთებმა მეხუთე ნიშანიც დაუმატეს - „საკუთარი განკერძოებული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა“

სტალინი ამ მოსაზრებას „უაღრესად მცდარს“ უწოდებს და თვლის, რომ მისი გამართლება არც თეორიულად შეიძლება და არც პრაქტიკულად, ვინაიდან, თუ ამ შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ ყველა ჩაგრული ერი, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო არა აქვს, უნდა ამოვშალოთ ერების რიცხვიდან. ამდაგვარი თვალსაზრისის აბსურდულობის დასტურად სტალინს სსრ კავშირში მცხოვრებ ხალხთაგანაც მოჰყავს მაგალითები. კერძოდ, ამ თეორიის მიხედვით ეს ხალხები არც მეფის რუსეთის შემადგენლობაში მათი ყოფნის პერიოდში უნდა მიგვეჩნია ერებად და არც საბჭოთა კავშირში გაერთიანების შემდეგ.

ჩემის აზრით, თუ ეს თვალსაზრისი სავსებით სწორია და მისაღები, სამაგიეროდ პრინციპულად მცდარია და კლასობრივ-პარტიული კონიუნქტურული განსჯის ნაყოფი ხალხების დაყოფა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ ერებად. ერების ამ ორ სახეობას

სტალინი იმისდა მიხედვით მიჯნავს ერთმანეთისაგან, თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფებიან ისინი. ასე რომ, სტალინის აზრით, მეფის რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ხალხები: რუსები, უკრაინელები, თათრები, სომხები, ქართველები და სხვანი „სანამ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა წყობილება დამყარდებოდა, ბურჟუაზიულ ერებად უნდა მივიჩნიოთ", საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ისინი უკვე სოციალისტურ ერებად ჩამოყალიბდნენ და „ძირეულად განსხვავდებოდნენ ძველი, რუსეთის შესაბამისი ძველი ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც თავიანთი კლასობრივი შემადგენლობითა და სულიერი სახით, ისე თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებითა და მისწრაფებებით" (თხზ. ტ. 11, 1950 წ. გვ. 376).

სტალინი მკაცრად აკრიტიკებს მის ოპონენტებს იმის გამო, რომ „ისინი არ ეთანხმებიან თეზისს იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის ლიკვიდაციასთან ერთად მოისპობიან ძველი ბურჟუაზიული ერები... განა ძნელი გასაგებია, რომ კაპიტალიზმის გაქრობასთან ერთად უნდა გაქრნენ მის მიერ წარმოშობილი ბურჟუაზიული ერები? ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ ძველ, ბურჟუაზიულ ერებს შეუძლიათ იარსებონ და განვითარდნენ საბჭოთა წყობილების დროს, პროლეტარიატის დიქტატურის დროს? ესღა გვაკლია..." (იქვე).

ვფიქრობ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ერების ამდაგვარი კლასიფიკაცია კლასობრივ-პარტიული იდეოლოგიური თვალთახედვის შედეგია და პრინციპულად მცდარია და მიუღებელი. ერი მრავალი ხილული თუ უხილავი ნიშან-თვისებით შედუღაბებულ ადამიანთა ისეთ მყარ ერთობას წარმოადგენს, რომლის არსებობა-არარსებობის პრობლემას არავითარ შემთხვევაში არ წყვეტს ამა თუ იმ წყობილების შეცვლა-არშეცვლის საქმე. ასე რომ, კაპიტალიზმის ლიკვიდაცია და მის ნაცვლად სოციალისტური წყობილების დამყარება არამც და არამც არ ნიშნავს ძველი ერების ლიკვიდაციასა და მის ნანგრევებზე თვისობრივად ახალი ერების წარმოშობას. საკითხის ამდაგვარი დასმა, ჩემის აზრით, სრულიად უსაფუძვლოა და გაუმართლებელი.

ოპონენტებთან განსაკუთრებით მძაფრი კამათის საგნად იქცა ერებისა და ეროვნული ენების მომავალი ბედის პრობლემაც. სტალინს პრინციპულად მიუღებლად მიაჩნია თვალსაზრისი იმის შესახებ, თითქოს „როცა სოციალიზმი გაიმარჯვებს ერთ ქვეყანაში, შესაძლებელი და აუცილებელია ეროვნულ განსხვავებათა და ეროვნულ ენათა მოსპობა, ერების ერთმანეთთან შერწყმა და ერთიანი საერთო ენის შექმნა (ტ. 11, გვ. 378).

სტალინმა ჯერ კიდევ 1925 წელს გაილაშქრა „მარქსისტისათვის სრულიად შეუწყნარებელი" ამ მოსაზრების წინააღმდეგ და ამ „შეუწყნარებლობის" უმთავრეს არგუმენტად ასეთი ფაქტი მოჰყავს: „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ იგი სერიოზულად ასუსტებს მსოფლიო იმპერიალიზმს, მაინც არ ქმნის და ვერც შექმნის პირობებს, რომლებიც აუცილებელია მსოფლიოს ერებისა და ეროვნული ენების ერთ საერთო მთლიანობად შერწყმისათვის"

სტალინის რწმენით, ასეთი პირობები მხოლოდ „მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში" შეიქმნება, „ყველა ქვეყანაში იმპერიალიზმის ლიკვიდაციის" შემდეგ, რაც საბოლოოდ მოსპობს „როგორც მისწრაფებას სხვა ერების დაპყრობისაკენ, ისე შიშს ეროვნული დამონების საფრთხის წინაშე, საფუძველს მოუსპობს ეროვნულ უნდობლობასა და ეროვნულ შუღლს", რითაც „შექმნის რეალურ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ყველა ერის ერთ მთლიანობად შერწყმისათვის" (იქვე, გვ. 380).

ერებისა და ეროვნული ენების ამდაგვარი შერწყმის პერსპექტივა სტალინს მეტად შორეული მომავლის საქმედ მიაჩნია. მისი აზრით, „არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეროვნულ განსხვავებათა მოსპობა და ეროვნული ენების კვდომა მოხდებოდა მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხებისთანავე ერთი დაკვრით, ასე ვთქვათ, ზემოდან, დეკრეტების გზით. ასეთ შეხედულებაზე უფრო მცდარი არაფერია" (ტ. 11 გვ. 384). სტალინის თქმით, „ასიმილაციის ამდაგვარი პოლიტიკა უთუოდ გამორიცხულია მარქსიზმ-ლენინიზმის არსენალიდან, როგორც ანტიხალხური, კონტრრევოლუციური პოლიტიკა, როგორც დამღუპველი პოლიტიკა"

ერებისა და ეროვნული ენების ასიმილაციის შორეულ წარსულში გადატანას სტალინი იმითაც ხსნის, რომ „ერები და ეროვნული ენები უაღრესი გამძლეობით და ასიმილაციის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით განიჩევიან". ამის დასტურად მას მრავალი კონკრეტული მაგალითი მოჰყავს და ამბობს: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის პირველი ეტაპი, ერებისა და ეროვნული ენების კვდომის დასაწყისი, ერთიანი საერთო ენის ჩამოყალიბების დასაწყისი იქნება. პირიქით, პირველი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც საბოლოოდ მოისპობა ეროვნული ჩაგვრა - ეს იქნება წინათ ჩაგრული ერებისა და ეროვნული ენების ზრდისა და აყვავების ეტაპი, ერთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების ეტაპი, ერთა ურთიერთუნდობლობის ლიკვიდაციის ეტაპი, ერთა შორის ინტერნაციონალური კავშირის დამყარებისა და განმტკიცების ეტაპი.

პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის მხოლოდ მეორე ეტაპზე, იმის მიხედვით, რაც ჩამოყალიბდება ერთიანი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობა - დაიწყებს ჩამოყალიბებას საერთო ენის მსგავსი რამ, ვინაიდან მხოლოდ ამ ეტაპზე იგრძნობენ ერები იმის აუცილებლობას, რომ თავიანთ ეროვნულ ენებთან ერთად ჰქონდეთ ერთი საერთო საეროვნებათაშორისო ენა, - ურთიერთობის გასაადვილებლად და ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის გასაადვილებლად. მაშასადამე, ამ ეტაპზე ეროვნული ენები და საერთო საეროვნებათაშორისო ენა პარალელურად იარსებებენ" (იქვე. გვ. 385-386).

სტალინის ვარაუდით, კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე შესაძლებელია შეიქმნას „არა ყველა ერისათვის საერთო ერთი მსოფლიო ეკონომიური ცენტრი ერთი საერთო ენით, არამედ რამდენიმე ზონალური ეკონომიკური ცენტრი ერთა ცალკეული ჯგუფებისათვის, ცალკე საერთო ენით ერთა თვითეული ჯგუფისათვის და მხოლოდ შემდეგში ეს ცენტრები გაერთიანდებიან სოციალისტური მეურნეობის ერთ საერთო მსოფლიო ცენტრად ყველა ერისათვის საერთო ერთი ენით" მხოლოდ ამ დროს დაიწყება, ი. სტალინის აზრით,

„ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა და ისინი ადგილს დაუთმობენ ყველასათვის საერთო მსოფლიო ენას“ (იქვე, გვ. 386).

„ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომის“ ამდაგვარი პერსპექტივა სტალინს შორეული მომავლის საქმედ მიაჩნია, მხოლოდ „სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების პერიოდში“ განსახორციელებელ საქმედ. ამ პერიოდში ენათა შერწყმა-შეერთების შედეგად წარმოქმნილი ერთი საერთო ენა, მისი წინასწარმეტყველებით, „არც ველიკოროსული ენა იქნებოდა და არც გერმანული, არამედ იქნებოდა რაღაც ახალი ენა“ (ტ. 13 გვ. 5).

მიუხედავად იმისა, რომ მოვლენათა განვითარების პროცესი თანამედროვე მსოფლიოში ანტისოციალისტური გზით მიემართება და სტალინის მიერ იდეალად დასახული „პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის“ დადგომა, რასაც შედეგად ერებისა და ეროვნული ენების შერწყმა და საერთო ენის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა, დღეს მხოლოდ უტოპიური წარმოსახვის ნაყოფია, კაცობრიობა ნელ-ნელა და თავისთავად მაინც იქითკენ მიდის, რომ ერებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის გასაადვილებლად ეროვნული ენების გვერდით პრიორიტეტული ენებიც თავისთავად გამოიყოფიან. ამ ენათაგან დღევანდელ მსოფლიოში, როგორც ცნობილია, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ენა ინგლისურია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ცოცხალ ენობრივ ორგანიზმს წარმოადგენს და არა სტალინის მიერ ნაწინასწარმეტყველევ სხვადასხვა ენების შერწყმის გზით მიღებულ „საერთო ენას“

„პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის“ დადგომამდე, რასაც შედეგად ყველასათვის საერთო მსოფლიო ენის“ შექმნა მოჰყვებოდა, სტალინს პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ერებისა და ეროვნული ენების თვითმყოფადობის გასაძლიერებლად აქტიური ზრუნვა მიაჩნია. მისი აზრით, პირველ ყოვლისა სწორედ პარტია უნდა დახმარებოდა „ჩვენი ქვეყნის აღორძინებულ ერებს - ფეხზე დამდგარიყვნენ და წელში გამართულიყვნენ, გამოეცოცხლებინათ და განევითარებინათ თავიანთი ნაციონალური კულტურა, მოეწყოთ სკოლები, თეატრები და სხვა კულტურული

დაწესებულებანი დედაენაზე, შემადგენლობით ეროვნული გაეხადათ პარტიული, პროფკავშირული, კოოპერაციული, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატები" (ტ. 11, გვ 391).

ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ I ტალინი ყოველივე ამის განხორციელებას პარტიის აქტიური პრაქტიკული მოქმედების ამოცანად მიიჩნევდა და „არა ტყუილუბრალო ლაყბობის" საგნად. ამ გარემოებას აქ ასე დაბეჯითებით ხაზს იმიტომაც ვუსვამ, რომ სტალინის მიერ ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საპროგრამო მოთხოვნები ხშირ შემთხვევაში სამწუხაროდ მხოლოდ სიტყვიერ ღაღადისად დარჩა და მართლაც ვერ გასცილდა „ტყუილუბრალო სიტყვიერი ლაყბობის" ფარგლებს.

სტალინური კონსტიტუცია - ილუზია და რეალობა

როგორც ცნობილია, 1936 წელს საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციის მიღებას წინ უძღოდა ამ კონსტიტუციის პროექტის თითქმის ხუთ თვიანი განხილვა.

ყრილობაზე 1936 წლის 25 დეკემბერს გაკეთებულ მოხსენებაში სტალინმა ფართოდ განიხილა კონსტიტუციის პროექტის როგორც ძირითადი თავისებურებანი, ისე მისი შესწორებანი და დამატებანი. მომხსენებელმა ასევე დიდი ადგილი დაუთმო სსრ კავშირის პირველი, 1924 წლის კონსტიტუციის მიღებიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში ქვეყანაში მომხდარ ცვლილებათა დახასიათებასა და ახალი კონსტიტუციის პროექტის მიმართ ბურჟუაზიულ შეხედულებათა კრიტიკას.

სტალინის მოხსენებაში ფაქტობრივად შეჯამებულ-განზოგადებული სახით გამოვლინდა ის ეროვნული პრინციპები, რომელ-

თაც, მისი აზრით, სსრ კავშირის მრავალეროვანი სახელმწიფო უნდა დაფუძნებოდა.

ვინაიდან ჩემი საუბრის უმთავრეს საგანს ამჯერად სტალინის ეროვნული თვალთახედვა წარმოადგენს, მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთხელ მივაპყროთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმულ ზოგიერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შეხედულებას.

ეროვნულ საკითხს სსრ კავშირში, სადაც დაახლოებით 60 ერი, ეროვნული ჯგუფი და ეროვნება ცხოვრობდა, სტალინის თქმით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ 1922 წელს ეს მრავალეროვანი სახელმწიფო „სსრ კავშირის ხალხთა თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე შეიქმნა", სტალინი იმასაც აღიარებს, რომ იმხანადაც და 1924 წლის პირველი კონსტიტუციის მიღების დროსაც ჩვენს ქვეყანაში „ხალხთა ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ მოგვარებული", ვინაიდან, „ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი ველიკოროსებისადმი უნდობლობის ნაშთები" და საკმაოდ აქტიურად „მოქმედებდნენ ცენტრიდანული ძალები" (ი. სტალინი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, თბ. 1953 წ. გვ. 12).

პარტიისა და მთავრობის უმთავრესი მიზანი, სტალინის თქმით, მაშინ ის იყო, „გაგვეერთიანებინა ისინი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ" და აი, პირველი კონსტიტუციიდან განვლილი 14 წელიწადი სავსებით საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ „სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრებულიყო"

„ლენინური ეროვნული პოლიტიკის ამ უეჭველი გამარჯვების" დასტურად სტალინი სიამაყით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამ დროის მანძილზე „აყვავდა სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე. გაქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა", რის შედეგადაც საბოლოოდ „მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში" (იქვე, გვ. 13).

თავის მოხსენებაში სტალინმა „ბურჟუაზიულ კონსტიტუციებთან“ დაპირისპირებულად წარმოაჩინა საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი. მისი შეფასებით, „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი უაღრესად ინტერნაციონალისტური“ იყო, რომელიც საქვეყნოდ აღიარებდა ყველა ერისა და რასის თანასწორუფლებიანობას მიუხედავად მათი „კანის ფერისა ან ენისა, კულტურული დონისა ან სახელმწიფო განვითარების დონისა“

ახალი კონსტიტუციის განსაკუთრებულ ღირსებად სტალინი იმასაც მიიჩნევდა, რომ „იგი მოქალაქეთა ფორმალური უფლებების მარტო ფიქსირებას კი არ სჯერდებოდა, არამედ სიმძიმის ცენტრი ამ უფლებების გარანტიათა საკითხზე და მათი განხორციელების საშუალებათა საკითხზეც გადაჰქონდა“ (იქვე, გვ. 19).

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიულ შეფასებათა კრიტიკას. სტალინის განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს ის ფაქტიც, რომ „უცხოეთის ბურჟუაზიულმა პრესამ“ კონსტიტუციას მხოლოდღა „ფარატინა ქაღალდი და ფუჭი დაპირება“ უწოდა, „პოტიომკინის სოფელი“ და „ადამიანთა მოსატყუებლად“ შექმნილი ფსევდოდოკუმენტი.

მოხსენებაში კონკრეტულადაა გაანალიზებული კონსტიტუციის განხილვის დროს შესული წინაადადებები და გამოთქმულია მოსაზრებები მათ მიღება-არმიღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სტალინი პრინციპულად არ დაეთანხმა კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღებას, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკას სსრ კავშირის შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლებას უნარჩუნებდა. მისი თქმით, „ეს წინადადება სწორი არ იქნება, ვინაიდან სსრ კავშირი თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია“ და ამის გაკეთება „ამ კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათის დარღვევა იქნებოდა“ (იქვე, გვ. 34). თუმცა მან იქვე ისიც ხაზგასმით განაცხადა, რომ „ჩვენში არ იყო არც ერთი რესპუბლიკა, რომელსაც სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა ნდომოდა“

საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა ავტონომიური რესპუბლი-

კის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხიც. ამდაგვარი შესაძლებლობის დაკანონება კონსტიტუციურ დონეზე სტალინს გამართლებულად არ მიაჩნია, ვინაიდან სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ვერც ერთი ავტონომიური რესპუბლიკა ვერ აკმაყოფილებდა თავად მის მიერ ამ რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკათა კატეგორიაში გადასაყვანად აუცილებლად საჭირო სამ უმთავრეს ნიშანს. სტალინის აზრით, ეს ნიშნებია: „ჯერ ერთი, საჭიროა, რომ რესპუბლიკა იყოს განაპირა, რომ მას ყოველი მხრიდან გარს არ ეკრას სსრ კავშირის ტერიტორია" და სურვილის შემთხვევაში მას მართლაც მიეცეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან რეალურად გამოყოფის შესაძლებლობა. მართალია, „ჩვენში ასეთი რესპუბლიკები არ იყვნენ", მაგრამ „რაკი მოკავშირე რესპუბლიკას რჩებოდა სსრ კავშირიდან გასვლის უფლება, საქმე ისე უნდა მოგვეწყო, რომ ეს უფლება ფარატინა და უაზრო ქაღალდად არ გადაქცეულიყო" (იქვე, ავ. 35-36).

ცალკე რესპუბლიკად არსებობისათვის სტალინის აზრით ასევე აუცილებლად სავალდებულო იყო ისიც, რომ „ეროვნება, რომლის სახელიც საბჭოთა რესპუბლიკას ეწოდებოდა, ამ რესპუბლიკაში ცოტად თუ მეტად კომპაქტური უმრავლესობა" ყოფილიყო.

და ბოლოს, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მესამე სავალდებულო პირობად სტალინმა მოსახლეობის რაოდენობა მიიჩნია. მისი აზრით, თუ რესპუბლიკის მოსახლეობა მილიონზე ნაკლები იქნებოდა, მას ასეთი სტატუსი არ უნდა მიეღო, ვინაიდან „მინიმალური რაოდენობის მოსახლეობის მქონე ასეთ საბჭოთა რესპუბლიკას", რომელსაც ასევე „უმნიშვნელო არმიის" ყოლის შესაძლებლობა ექნებოდა, სურვილის შემთხვევაში „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის არავითარი იმედი" არ შეიძლებოდა ჰქონოდა და „იმპერიალისტური მტაცებლები მას მყისვე ჩაიგდებდნენ ხელში" (იქვე, გვ. 36).

სტალინმა პრინციპულად არ გაიზიარა მოსაზრება „ეროვნებათა საბჭოს მოსპობის შესახებ. მმართველობის ერთპალატიან სისტემაზე გადასვლა მისი აზრით მხოლოდ მაშინ იქნებოდა უკეთესი, სსრ

კავშირი ერთიანი ეროვნული სახელმწიფო რომ ყოფილიყო. მაგრამ ვინაიდან საბჭოთა კავშირი მრავალეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა, მის შემადგენლობაში შემავალ „ეროვნებებს საერთო ინტერესების გარდა ჰქონდათ კიდევ თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული იყო მათს ეროვნულ თავისებურებებთან“ (იქვე, გვ. 37). იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ამ ინტერესების უგულვებელყოფა და უფრო მეტად ყოფილიყო შესაძლებელი მათი დაცვა, სტალინი აუცილებლად თვლიდა ქვეყნის მმართველობით სტრუქტურაში ისეთი სპეციალური უმაღლესი ორგანოს არსებობას, როგორიც ეროვნებათა საბჭო იყო.

იმის ნათელსაყოფად, ყრილობის მონაწილეებმა როგორი სულისკვეთებით მოისმინეს სტალინის აღნიშნული მოხსენება, მინდა მკითხველს ის ინფორმაციაც მივაწოდო, რომელიც მისი გამოსვლის ტექსტს აქვს ბოლოში დართული: „მქუხარე ოვაცია - მთელი დარბაზი ფეხზე დგება, მჭექარე „ვაშა“ საერთო შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“ ყრილობა ფეხზე ამდგარი მღერის „ინტერნაციონალს“ „ინტერნაციონალის“ შესრულების შემდეგ ოვაცია ახლდება, შეძახილები: „ვაშა!“ „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს!“

ასეთი ზარ-ზეიმით დასრულდა სტალინის მოხსენება და რამდენიმე დღის შემდეგ კონსტიტუცია უკვე ოფიციალურადაც იქნა მიღებული. სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალმა 11 მოკავშირე რესპუბლიკამ: რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ, აზერბაიჯანმა, საქართველომ, სომხეთმა, თურქმენეთმა, უზბეკეთმა, ტაჯიკეთმა, ყაზახეთმა და ყირგიზეთმა საქვეყნოდ დაადასტურა ქვეყნის უზენაესი კანონის ამოქმედების ფაქტი.

კონსტიტუციაში ნათლად და მკაფიოდ იყო განსაზღვრული ის სფეროები, რომელნიც საკავშირო ხელისუფლების განმგებლობას უნდა დაქვემდებარებოდნენ. ესენი იყო: საერთაშორისო ურთიერთობანი, სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადება-რატიფიკაცია, ომისა და ზავის საკითხები, უზრუნველყოფა იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, ახალი მხარეებისა და

ოლქების შექმნა, თავდაცვა და შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობა, საგარეო ვაჭრობა, სახელმწიფო უშიშროების დაცვა, სახალხო სამეურნეო გეგმების დადგენა, ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, გადასახადებისა და შემოსავლების ოდენობის განსაზღვრა, საერთო-საკავშირო ბანკები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და საწარმოების, აგრეთვე სავაჭრო საწარმოთა მმართველობა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მმართველობა, ფულადი და საკრედიტო სისტემის ხელმძღვანელობა, სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაცია, სესხის აღება და გაცემა, მიწათსარგებლობის, აგრეთვე მიწის წიაღის, ტყეებისა და წყლების სარგებლობის ძირითადი საფუძვლების დადგენა, განაოლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში ძირითადი საფუძვლების დადგენა, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ერთიანი სისტემის ორგანიზაცია, შრომის კანონმდებლობის საფუძვლების დადგენა, კანონმდებლობა სასამართლო წყი ’ილებისა და სასამართლო წარმოების შესახებ, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსები, ამნისტიის შესახებ საერთო-საკავშირო აქტების გამოცემა...

მართალია, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, კონსტიტუციაში ისიც იყო აღნიშნული, რომ „სსრ კავშირი იცავდა მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებებს“ და „თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას რჩებოდა სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება“, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ფაქტობრივად ეს ამდაგვარ სუვერენულ უფლებათა მხოლოდღა სიტყვიერი დეკლარირება იყო, ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკათა ხელისუფლებას რეალურად არა თუ კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფის თაობაზე საკითხის დასმის უფლება ჰქონდათ წართმეული, არამედ თავიანთი რესპუბლიკის დამოუკიდებელი მართვა-გამგებლობისაც.

კონსტიტუციით კიდევ ერთხელ დაკანონდა და განმტკიცდა ქვეყანაში რეალურად არსებული ვითარება და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თითქმის ყველა საკითხის გადაწყვეტა ფაქტობრივად საკავშირო ხელისუფლების კომპეტენციაში მოექცა.

ბოლოთქმა

მოკლედ, ასეთია იოსებ სტალინის ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი არსებითი მხარე. წინამდებარე ნაშრომის ავტორს არამცდაარამც არა აქვს ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის სრულად და ამომწურავად გაშუქების პრეტენზია. სტალინის ეროვნულ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი იმდენად ფართო მასშტაბების მომცველია, რომ ამის გაკეთება გაცილებით დიდ ძალისხმევასთან იქნებოდა დაკავშირებული.

აქვე ერთ არსებით გარემოებასაც უსათუოდ უნდა მიექცეს კიდევ ერთხელ ყურადღება: ეროვნული პრობლემის არსის სტალინური გაგების წარმოჩენა წიგნში უწინარეს ყოვლისა მის თეორიულ ნააზრევზე დაყრდნობით მოხდა. ჩემი მიზანი იყო შეძლებისდაგვარად, ყოველგვარი მიკერძოებისა და სუბიექტივიზმის გარეშე, წარმომეჩინა სტალინის ეროვნული მრწამსი.

როგორც საბჭოთა კავშირში მოვლენათა ისტორიული განვითარების პროცესმა ცხადად და დაუეჭვებლად დაადასტურა, ეროვნული პრობლემის სტალინური თეორიული გააზრება და რეალური ეპოქალური სინამდვილე ხშირ შემთხვევაში დიამეტრალურადაც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სტალინის მიერ სიტყვიერად დეკლარირებულ ეროვნულ პრინციპებსა და ცხოვრებისეულ რეალობას შორის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ შეუსაბამობებზე ამჯერად კონკრეტულად თითქმის არაფერი თქმულა, ვინაიდან ამის გაკეთება ეპოქალური სინამდვილის საგანგებო საფუძვლიან შესწავლასა და მიუკერძოებელ გაანალიზებას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინიცა და მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერიაც დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებადაა ქცეული, მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსისა და ამ იმპერიის ისტორიის ბევრი პრობლემატური საკითხი მკითხველისათვის ადვილად გასაგები მიზეზების გამო ჯერ კიდევ არაა გააზრებული ღრმად,

ძირფესვიანად და ობიექტურად. მომავალი თაობების მიერ გასაკეთებელი ეს საქმე დიდ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს, რის შედეგადაც ყოველგვარი ტენდენციურობისა და დეიდეოლოგიზაციის გარეშე, ნიღაბახდილად და მიუკერძოებლად, წარმოჩინდება საბჭოთა ეპოქისა და ამ ეპოქის ერთ-ერთი უპირველესი მესაძირკვლის ნამდვილი სახე და ბუნება.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

ნაწილი პირველი: საბჭოთა ხელისუფლებამდელი პერიოდი 7

ადრინდელი ნაწერები. 7

„ნაციონალიზმის გზით. წერილი კავკასიიდან“ 15

„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ 18

1917 წლის მარტიდან აგვისტომდე. 37

ნაწილი მეორე: საბჭოთა პერიოდი. 46

ფინეთის საკითხი. .47

უკრაინის საკითხი. 49

ახალი რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი
მოწყობის სტალინური გეგმა. 52

საქართველოსა და კავკასიის პრობლემა. .64

ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეიდან სსრ
კავშირის შექმნის გადაწყვეტილების მიღებამდე. 87

ერებისა და ეროვნული ენების მომავლის პრობლემა. 115

სტალინური კონსტიტუცია ილუზია და რეალობა. 122

ბოლოთქმა. .128

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

დაიბადა 1948 წელს ქანის რაიონის სოფელ ბორაში. 1971 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიისა და ნიუ-იორკის საერთაშორისო სწავლულთა აკადემიის აკადემიკოსი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ქართული ლიტერატურის კათედრის გაეგე.

გამოცემული აქვს მონოგრაფიები და ლიტერატურული ნარკვევები გიორგი ლეონიძეგე, პაოლო იაშვილგე, ტიციან ტაბიძეგე, ნიკო ლორთქიფანიძეგე, დავით და გერცელ ბააგოვებსა და მეორე საუკუნის სხვა მწერალთა შემოქმედებაგე. მინიჭებული აქვს ქართულ-ევროპულ ურთიერთობათა ინსტიტუტის (პარიგი), ნიკო ნიკოლაძისა და გერცელ ბააგოვის ლიტერატურული პრემიები.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ძირითადი წიგნების სია

1. ლექსები, 1975 წ.
2. გამოძახილი. კრიტიკული წერილების კრებული, 1978 წ.
3. ფიქრები თანამედროვე ქართულ ლირიკაზე, 1981 წ.
4. ნაკადები. ლიტერატურული წერილების კრებული, 1982 წ.
5. ქართული საბჭოთა ლირიკა. 60-იანი წლები, 1984 წ.
6. თვალთახედვა. ლიტერატურული წერილების კრებული, 1987 წ.
7. ლიტერატურული ეტიუდები, 1988 წ.
8. გაბრიელ ეპისკოპოსი. მონოგრაფია, 1990 წ.
9. ნიკო ლორთქიფანიძე. მონოგრაფია, 1992 წ.
10. გიორგი ლეონიძის ლირიკა, 1993 წ.
11. მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, 1, 1994 წ.
12. მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაუა“, 1994 წ.
13. პაოლო იაშვილი. ცხოვრება და შეეოქმედება, 1995 წ.
14. დავით და გერცელ ბაასოვები. მონოგრაფია, 1995 წ.
15. მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. II. 1997 წ.
16. ქართული ლიტერატურა, XI კლასი, 1999 წ.
17. მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. III. 2000 წ.

წიგნი დაიბეჭდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში